ლელო
გამოცემის 75-ე წელიწადი
№ 050 (12729) 3 მარტი სამშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რიბერი ბარსაში?



30 მილიონი და გლები » 6

# კრიტიკის ქარცეცხლში

## გრანდები და კრიზისი

ქაოსი მილანსა და ბარსაში » 7,10



ანჩელოტი უკვე გაათავისუფლეს, ჯერჯერობით პრესაში...

გვარდიოლა პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს



## ცინცაძე ჟალგირისთანაც სნაიპერია

ერთი ტყორცნა გმირობამდე

სალეგიონო ამბები » 12

## ჟოზე ფერგის მემკვიდრედ?



» 6

## ლაპორტა, საქართველო, ხინკალი და საფერავი



სასარგებლო კავშირები » 4





### მეგრელაძეს გაფრთხილებას მოუხსნიან?

» 3 საგანგებო სხდომა



### სირაძე სტიაუაში გადადის?

» 4 ტრანსფერის მოლოდინში



### ალექსიძის პირველი დუბლი

» 4,5 ლეგიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XXI ტურის მიმოხილვა

# შეცვლებისა და... მცველების ფასი

| XXII ტური | |
|---|---|
| **28 თებერვალი, შაბათი** | |
| ვიტ ჯორჯია-სიონი | 1:1 |
| ოლიმპი-ლოკომოტივი | 0:0 |
| **1 მარტი, კვირა** | |
| ზესტაფონი-სპარტაკი | 4:1 |
| მესხეთი-გაგრა | 2:0 |
| დინამო-მგლები | 2:1 |

*ბორჯომი ისვენებდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 19 | 12 | 6 | 1 | 32-12 | 42 |
| 2. დინამო | 19 | 13 | 2 | 4 | 41-15 | 41 |
| 3. ზესტაფონი | 19 | 11 | 3 | 5 | 24-13 | 36 |
| 4. ოლიმპი | 19 | 8 | 9 | 2 | 22-11 | 33 |
| 5. სიონი | 19 | 7 | 8 | 4 | 22-16 | 29 |
| 6. ლოკომოტივი | 19 | 8 | 3 | 8 | 23-19 | 27 |
| 7. მესხეთი | 19 | 5 | 6 | 8 | 14-24 | 21 |
| 8. მგლები | 19 | 5 | 4 | 10 | 17-25 | 19 |
| 9. გაგრა | 20 | 4 | 4 | 12 | 14-34 | 16 |
| 10. სპარტაკი | 19 | 3 | 3 | 13 | 17-34 | 12 |
| 11. ბორჯომი | 19 | 2 | 6 | 11 | 16-39 | 12 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მერებაშვილი (დინამო) | 11 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 9 |
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 8 |

**XXII ტური**

**6 მარტი, პარასკევი**

სპარტაკი-მესხეთი
მგლები-ვიტ ჯორჯია
ბორჯომი-დინამო

**7 მარტი, შაბათი**

ლოკომოტივი-ზესტაფონი
სიონი-ოლიმპი

*გაგრა ისვენებს*

ვერაფერს ვიტყვით - საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატში გაზაფხული მართლაც „ხმაურიანად" შემოვიდა! ჰო, წინასწარვე ვივარაუდეთ, საინტერესო და დამაინტრიგებელი ტური რომ გველოდებოდა; ისე, მართლაც უცნაური ტური იყო - ზამთარში დაიწყო და... გაზაფხულზე დასრულდა! თუმცა მთავარი მაინც XXI ტურში განვითარებული მოვლენები იყო: დანიშნული თუ არდანიშნული პენალტების გამო ატეხილი აჟიოტაჟი, მცველების შესაშური შედეგიანობა, შეცვლაზე შემოსული ფეხბურთელებისგან მატჩის ბედის გადაწყვეტა, ზოგიერთი გუნდისგან ნავსის გატეხა და ასე შემდეგ. ალარაფერს ვამბობთ ტურის უმთავრეს მოვლენაზე - მოქმედი ჩემპიონი თბილისის „დინამო" ცხრილის ერთპიროვნულ ლიდერს „ვიტ ჯორჯიას" მხოლოდ ერთი ქულითღა ჩამორჩება!..

ახლა კი, ალბათ, ჯობია თანმიმდევრულად მივყვეთ და ჯერ შაბათს ჩატარებულ ორ მატჩზე ვისაუბროთ. იმის გარდა, რომ ორივე შეხვედრა საყაიმო ანგარიშით დასრულდა, სხვა მხრივაც ბევრი საერთო ჰქონდა; თუმცა პენალტების თემა და უსიამოვნო ტრადიციის დარღვევა მაინც უფრო აქტუალური იყო. ჯერ გორის მატჩზე ვთქვათ, სადაც „ვიტ ჯორჯიამ" ესოდენ ძვირფასი ორი ქულა დაკარგა. რა თქმა უნდა, **ლაშა ჯაფარიძისა** და **ჯაბა ლიპარტიას** არყოფნა „ვეტერინართათვის" სერიოზული დანაკლისი იყო, მაგრამ **რამაზ მუმლაძის** გუნდს ეს მაინც ვერ გაამართლებს. ყველაზე უცნაური კი, ალბათ, ის არის, რომ „ვიტ ჯორჯიამ" მეორე ეტაპი, ცოტა არ იყოს, მძიმედ დაიწყო - სამ შეხვედრაში მხოლოდ ხუთი ქულა მოიპოვა. ჰოდა, კონკურენტები ასეთ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდნენ და ახლა „ვიტ ჯორჯიას" მაქსიმალური კონცენტრაციით ასპარეზობა მოუწევს. რა თქმა უნდა, ბოლნისის „სიონი" ნამდვილად არ არის სუსტი გუნდი; პირიქით - **ოთარ კორღალიძეს**, ალბათ, ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს; გუნდიც ისეთია, ნებისმიერი მეტოქის გამწარება რომ შეუძლია, მაგრამ „სიონს" არასტაბილურობა ახასიათებს. ჰო, „დინამოსთან" თუ „ვიტ ჯორჯიასთან" სოლიდურ და ღირსეულ ასპარეზობას მერე აშკარა ჩავარდნა მოჰყვება ხოლმე; თანაც, ბევრად სუსტ გუნდებთან. გორის მატჩში უპირობო ფავორიტად მასპინძლები მიიჩნეოდნენ, მაგრამ ბოლნისურმა გუნდმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონობისთვის მებრძოლ მეტოქეს. ეგ კი არა, ანგარიში სულაც „სიონმა" გახსნა, მაგრამ XX ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა **დავით ლომაიამ** საპასუხო გოლი მალე გაიტანა. აი, მეორე ტაიმში კი ერთობ საკამათო ეპიზოდი მოხდა: მასპინძელთა საუკეთესო ბომბარდირის **ვახტანგ კვარაცხელიას** წაქცევისათვის „სიონის" კარში პენალტი დაინიშნა. სტუმრები დიდხანს აპროტესტებდნენ მსაჯის ამ გადაწყვეტილებას - მათი აზრით, წესების დარღვევა საჯარიმოს გარეთ იყო. თუმცა ჩვენთან მსაჯები გადაწყვეტილებას არ ცვლიან ხოლმე და ბურთთან ვინ მივიდოდა, თუ არა „ვეტერინართა" შტატიანი პენალტისტი **ლუკა რაზმაძე**; სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ბურთი ძელს გაარტყა და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ „ვიტ ჯორჯიამ" საშინაო მატჩში „სიონი" ვერ დაამარცხა.

პენალტის გამო არანაკლები კი არა, უფრო მეტი ვნებათაღელვა იყო რუსთავშიც, სადაც „ოლიმპმა" ვერაფრით მოახერხა ახალგაზრდული „ლოკომოტივის" ძლევა. არადა, **ვარლამ კილასონიას** გუნდს ამისათვის მცდელობა არ დაუკლია - **გიორგი მეგრელაძეს, გაგა ჩხეტიანსა** და **გიორგი სეთურიძეს** არაერთი მშვენიერი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ საქართველოს ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაია** იმ დღეს უშეცდომოდ თამაშობდა. გუნდის კაპიტნის ასეთმა დამაჯერებელმა ასპარეზობამ „ლოკომოტივის" ახალგაზრდა ფეხბურთელებზეც დადებითად იმოქმედა - სტუმრებმა ერთი-ორჯერ მწვავე კონტრშეტევაც განახორციელეს. მოკლედ, იმის მიუხედავად, რომ გოლი არ გავიდა, მაინც საინტერესო პაექრობა ვიხილეთ; ამასთან, ისევე როგორც ბოლო მატჩებში, კვლავაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს სტუმართა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა - **კახა მახარაძემ** და **შალვა კვანტალიანმა**. და მაინც: არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო და გამოცდილ არბიტრს **ალექსანდრე კრიჭაშვილს** მეტად საკამათო გადაწყვეტილება რომ არ მიეღო! ყველაფერი კი პირველ ტაიმში „ლოკომოტივის" საჯარიმოში მომხდარ ეპიზოდს მოჰყვა - მასპინძელთა შორის უდავოდ საუკეთესო გიორგი მეგრელაძისა და გიორგი ლომაიას ორთაბრძოლა „ოლიმპის" ფორვარდის წაქცევით დასრულდა. ვინც ამ შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს უცქირა, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ წესების დარღვევა აშკარა იყო, თუმცა კრიჭაშვილმა პენალტი არ დანიშნა და უფრო მეტიც - მეგრელაძე... სიმულაციისთვის გააფრთხილა! ჰოდა, ამიტომაც ვერ მალავდა აღშფოთებას რუსთავული კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **ზურაბ ჯაფარიძე** (იქნებ, ვინმემ, ამ პიროვნების ზუსტი თანამდებობა გვითხრას?..), ვისი აზრითაც, „ოლიმპს" მსაჯთა შეცდომების გამო უკვე ოთხი ქულა დააკარგვინეს. სხვათა შორის, „ლოკომოტივმა" როგორც იქნა, ნავსი გატეხა და „ოლიმპთან" დაპირისპირებებში ქულა პირველად მოიპოვა.

ახლა კი კვირის სამ მატჩზეც ვთქვათ და აქაც გარკვეულ თანხვედრასთან გვაქვს საქმე - სამივე შემთხვევაში მასპინძლებმა იმარჯვეს. თუმცა ვერც ერთზე ვიტყვით, იოლად მოახერხესო! სამივე შეხვედრაში უშეღავათო ბრძოლა იყო. განსაკუთრებულ ინტერესს აუტსაიდერთა დაპირისპირება იწვევდა: გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა „მესხეთმა" ახალგაზრდულ „გაგრას" პრინციპული მატჩი მოუგო და მეტოქე ხუთი ქულით ჩამოიტოვა. სამწუხაროდ, ამ შეხვედრაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით, რამეთუ ჩვენს გაზეთში სულ სხვა სურათია „დახატული", ხოლო საფეხბურთო კლუბ „გაგრას" ვებგვერდზე აშკარად განსხვავებული. სამწუხაროდ, ჩვენც ვეღარ გაგვირკვევია, რომელ ინფორმაციას დავეყრდნოთ და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ შეცვლაზე შემოსულმა **გურამ სამადაშვილმა** „დუბლი" შეასრულა. არანაკლებ დასაფასებელია ასევე შეცვლაზე შემოსულის, „მესხეთის" ახალწვეულის **გიორგი მიქაბერიძის** კარგი თამაში - ახალგაზრდა ფორვარდმა ორი საგოლე პასიც მიითვალა და საერთოდაც, აქტიურობით გამოირჩეოდა.

არანაკლებ პრინციპული იყო „ზესტაფონისა" და „სპარტაკის" დაპირისპირებაც. სხვათა შორის, ორივე გუნდმა მეორე ეტაპი ჩინებულად დაიწყო: „ზესტაფონი" როგორც მოსალოდნელი იყო, მედლებისათვის ბრძოლაში ჩაერთო. აი, „სპარტაკმა" კი უიმედო აუტსაიდერის „სტატუსი" მოიშორა და შედეგთან ერთად თამაშის ხარისხიც გამოასწორა. ახლაც, სტუმრად ჩატარებულ მატჩში ფავორიტ მეტოქეს, ფაქტობრივად, ტაიმ-ნახევარი ტოლიტოლზე ეპაექრა. სხვათა შორის, მასპინძლებს სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდათ და **გია გეგუჩაძეს** უკვე მერამდენედ მოუხდა ძირითად შემადგენლობაში გარკვეული ექსპერიმენტების ჩატარება. ფაქტობრივად, ყველა მატჩში „ზესტაფონის" ახალწვეულებს ხან რომელ პოზიციაზე ვხედავთ, ხან - რომელზე. სამაგიეროდ, ასეთ როტაციას შედეგი მოაქვს და თავგანწირვით მოასპარეზე „სპარტაკი" სწორედ შეცვლაზე შემოსული ფეხბურთელის გოლმა გატეხა. ეს მოთამაშე კი ქართული ფეხბურთის, მართლაც, დამსახურებული ვეტერანი **ზურაბ იონანიძე** გახლდათ! ნურც **ლევან მელქაძეს** დავუკარგავთ გარჯას: „დუბლი" და საგოლე პასი, ვფიქრობთ, ნებისმიერი ფორვარდისათვის ჩინებული შედეგია. სასიამოვნოა, რომ ზედიზედ მეორე შეხვედრაში გოლი გააქვს **გიორგი ხიდეშელს**, ვინც მეორე ეტაპიდან ცენტრალურ მცველად მოგვევლინა. აი, „სპარტაკი" კი, „ზესტაფონისგან" განსხვავებით, გრძელი სათადარიგოთა სკამით ვერ დაიტრაბახებს. როგორც კი „სპარტაკის" კაპიტანმა და უდავო ლიდერმა **გიორგი თურმანიძემ** ტრავმა მიიღო, ყოველივე ამან სტუმრების თამაშზე უარყოფითად იმოქმედა.

დაბოლოს, „დინამოს" რთულ გამარჯვებაზეც: გუშინაც ვწერდით, რომ ერთპიროვნულ ლიდერთან მიახლოება მოქმედმა ჩემპიონმა ერთობ არადამაჯერებელი მოგებით შეძლო. ისე, როგორც ტურის უმრავლეს შემთხვევაში, აქაც გადამწყვეტი როლი შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა შეასრულეს: **ოლეგ გველესიანის** ფლანგურ გადაცემას **დონალ ჯუისის**, მართლაც, ეფექტური გოლი მოჰყვა. რა თქმა უნდა, **მათე ვაწაძის** არყოფნაც სერიოზული დანაკლისი იყო, ისევე როგორც სხვა საპატიო თუ არასაპატიო მიზეზი შეიძლება მოვიყვანოთ „დინამოს" არაშთამბეჭდავი თამაშის გასამართლებლად. თუმცა ამ ჯერზე ყველაზე მთავარი სასურველი შედეგის მიღწევა იყო და **რაინერ ცობელის** გუნდმაც ეს შეძლო. აი, მეტოქეს კი ნამდვილად ეკუთვნის კომპლიმენტი: ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ და კვლავაც სიამოვნებით გავიმეორებთ, რომ **ბესიკ შეროზიას** ნამდვილად საინტერესო გუნდი ჰყავს. ისიც თვალშისაცემია, რომ გუნდს მწვრთნელის ხელი ეტყობა; ყოველ შემთხვევაში, „მგლები" მუდამ ცდილობს ტაქტიკურად სწორი ფეხბურთი ითამაშოს. სამწუხაროდ, „მგლებმა" მეორე ეტაპზე მხოლოდ ერთი ქულა მოაგროვა, მაგრამ მეტოქეებიც საკმაოდ ძლიერი ჰყავდა. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ დროის განმავლობაში, ალბათ, შედეგიც იქნება. ყოველ შემთხვევაში, ასეთ სიმპათიურ გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს...

**გია ტუხაშვილი**






შეცვლაზე შემოსულმა დონალდ ჯუისმა დინამოს მეორედ მოაგებინა

| I ლიგა | |
|---|---|
| **აღმოსავლეთი** | |
| **XVIII ტური** | |
| ჩიხურა-კახეთი | 3:1 |
| ჰერეთი-სიონი 2 | 1:1 |
| ნ. დინამო-ამერი 2 | 0:0 |
| დინამო 2-დილა | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია 2-გაგრა 2 | 1:0 |
| **დასავლეთი** | |
| **XVIII ტური** | |
| ხობი-სამტრედია | 2:3 |
| მერანი-გურია | 2:1 |
| ბათუმი-კოლხეთი (ფ) | 3:1 |
| ტორპედო-მეშახტე | 4:0 |
| ზესტაფონი 2-ჭიათურა | 1:1 |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის მწვრთნელი

ოთარ კოროლალიძე

# არ მინდა მსაჯებზე ლაპარაკი...

## კოროლალიძისთვის მაქსიმუმი სამეულია

XXI ტურის მატჩებიდან „ვიტ ჯორჯია“-“სიონის“ დაპირისპირება ერთ-ერთი გამორჩეული იყო. ამ წყვილში ფავორიტად ვიტელებს მიიჩნევდნენ, რაც სრულიად ლოგიკურია. მაგრამ საქმე ისე წავიდა, რომ ბოლნისელები იგებდნენ კიდეც, თუმც საბოლოოდ ერთი ქულით მოუწიათ დაკმაყოფილებამ. სხვათა შორის, სწორედ ეს ქულა იყო ოთარ კოროლალიძისთვის ის პროგრამა-მინიმუმი, რასაც მატჩის წინ ისახავდა მიზნად. ამ შედეგის სხვა ასპექტი კი ის გახლავთ, რომ „სიონის“ გორულმა ფრემ სატურნირო ცხრილის თავში სიტუაცია მეტისმეტად დაძაბა. შესაბამისად, განვლილი ტურის საუკეთესო მწვრთნელად ბოლნისელთა თავკაცი ოთარ კოროლალიძე დავასახელეთ...


ოთარ კოროლალიძე

**- ბატონო ოთარ, „ლელომ“ ამ სეზონში მეორედ დაგასახელათ ტურის მწვრთნელად...**

- მადლობელი ვარ. ეს ჩემთვის ძალზე სასიხარულო ამბავია. სასიამოვნოა, როცა ხედავ, რომ შრომა გიფასდება. „ლელოზე“ გავიზარდე და როცა ასეთი გაზეთი გალიარებს, ეს უკვე დიდი სტიმულია, ესე იგი, მართლაც რაღაც ფასეული გააკეთე...

**- მოდი, გავიხსენოთ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩი...**

- ამ თამაშისთვის საგანგებოდ მოვემზადეთ. „ვიტ ჯორჯიასა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის ვიდეოფირს კიდევ ერთხელ დავაკვირდით და ბევრი რამ დავინახეთ, რაც დავამუშავეთ და გამოვიყენეთ კიდეც. თამაშამდეც ვთქვი, რომ ჩვენი პროგრამა-მინიმუმი ქულა იყო. მეტოქე სათანადოდ შევაფასეთ და შევისწავლეთ, ჩემი გუნდის შესაძლებლობებიც კარგად ვიცი და წაგებაზე ამიტომაც არ მიფიქრია... სხვათა შორის, თამაში ისე წარიმართა, შეიძლებოდა მოგვეგო კიდეც. ერთი კარგი შემსრულებელი გვაკლდა, თორემ... სამწუხაროდ, „სიონს“ არ ჰყავს გიორგი მერებაშვილი. სწორედ ასეთი ფეხბურთელი გვაკლდა იმ დღეს. თუმცა ისეც ნუ იფიქრებთ, რომ შემსრულებლები არ გვყავს, გვყავს, როგორ არა, მაგრამ მერებაშვილის დონის...

**- მართლაცდა, „სიონში“ არაერთი კარგი შემსრულებელია...**

- გეთანხმებით, მაგრამ ისინი სასურველ ფორმაში არ არიან. ყველა კარგად იცნობს და მეც სათანადოდ ვაფასებ მიხეილ ბობოხიძეს, ირაკლი შენგელიას, რევაზ გოცირიძეს... სხვებსაც, მაგრამ მიზეზთა გამო მათ გარკვეული პერიოდი გაუცდათ და ჯერ არ მიუღწევიათ ჩვეული კონდიციებისთვის. მოკლედ რომ ვთქვა, გორში მოპოვებული ქულითა და ჩემი ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. დაცვაში დაშვებულ შეცდომას თუ არ ჩავთვლით, როცა გოლი მივილეთ, ვიტყოდი, რომ ფეხბურთელებმა ჩემი დავალებები კარგად შეასრულეს.

**- გორში მეტოქეს სივრცე დაუთმეთ და აქცენტი კონტრიერიშებზე გააკეთეთ... ეს თავდაპირველი ჩანაფიქრი იყო თუ თამაშის მსვლელობამ გაიძულათ?**

- ეს ტაქტიკა-სტრატეგია მეტოქის შესწავლის შედეგად ავირჩიე. ამიტომაც იყო, ძირითადში მხოლოდ ერთი ფორვარდი რომ დავაყენე. სულიკო დავითაშვილის ნაცვლად კი ტანმაღალი ახალგაზრდა ნახევარმცველი ზაზა ჭელიძე ვარჩიე. ამან გაამართლა - „მეორე სართულზე“ ჭელიძემ ბევრი ორთაბრძოლა მოიგო. ამჯერადაც დიდი სამუშაო გასწია გივი დიდავამ, რომელმაც მეტოქის არაერთი შეტევა ჩაშალა... მოწინააღმდეგე ფლანგებიდან გვიტევდა, მაღალ ჩაწოდებებზე აკეთებდა აქცენტს, ეს კი სწორედ ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან შუა ხაზშიც და დაცვაშიც ჩვენ უფრო ტანმაღალი ფეხბურთელები გვყავს, ვიდრე „ვიტ ჯორჯიას“.

**- ეს ფრე ლოგიკურია თუ უბრალოდ გაგიმართლათ? რაზმაძემ ხომ პენალტი ვერ გაიტანა...**

- ჩვენს ხელთ არსებული რესურსი მაქსიმალურად გამოვიყენეთ. მიმაჩნია, რომ ფრე სამართლიანი შედეგია, თუმცა წელანაც გითხარით, რომ მოგებაც შეგვეძლო. მაგრამ ამასაც ვიტყვი - „ვიტ ჯორჯიას“ ლიპარტია და ჯაფარიძე რომ ჰყოლოდა, მაშინ უფრო დიდი შანსი იქნებოდა, რომ წაგვეგო. თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ ამ ორი ფეხბურთელის არყოფნა იყო ჩვენთვის გამართლება, მაშინ კი ბატონო - ნამდვილად გაგვიმართლა. ჩემი აზრით, ლიპარტია ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფორვარდია. „დინამოსთან“ თამაშის ვიდეოჩანაწერშიც ჩანს, რომ მან მეტოქეს მოსვენება არ მისცა, რაც კი დინამოელთა საჯარიმოში ხიფათი შეიქმნა, ყველა მათგანში ლიპარტიას წვლილი იყო.

**- ვახტანგ კვარაცხელიას წაქცევისას არბიტრმა „სიონის“ კარში პენალტი დანიშნა. წესების დარღვევაზე ბოლნისელებიც არ დავობთ, მაგრამ არსებობს განსხვავებული აზრიც - ბევრმა მიიჩნია, რომ კვარაცხელიაზე წესების დარღვევა არა საჯარიმოში, არამედ მის გარეთ იყო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- სადაც ვიდექი, იქიდან საჯარიმოს ხაზები თითქმის არ ჩანდა, შესაბამისად, გადაჭრით მტკიცებას ვერ დავიწყებ - კვარაცხელია საჯარიმოში წაიქცა თუ მის გარეთ. ისე კი არბიტრი შეყოვნდა, უმალ არ მიუღია გადაწყვეტილება და სწორედ ამან დამაეჭვა... რა დასამალია და, მასპინძელთა მიმართ მსაჯებს მცირედი სიმპათია ყოველთვის აქვთ და, ალბათ, გორშიც ასე იყო. თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ - არაფერს ვამტკიცებ და საერთოდაც, არ მინდა მსაჯებზე ლაპარაკი...

**- „ვიტ ჯორჯიასთან“ აღებული ქულით, როგორც იტყვიან, ორი კურდღელი დაიჭირეთ...**

- დიახ, თბილისის „დინამოსაც“ გავუკეთეთ საქმე... ჩემპიონატს ინტრიგა და დაძაბულობა შევმატეთ.

**- თუ შაბათს შინ რუსთაველებს დაამარცხებთ, მეოთხეადგილოსანთან სხვაობას ერთ ქულამდე შეამცირებთ...**

- მთავარი ის არის, რომ ამ ქულამ საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა, მით უმეტეს, რომ წინ ძალიან მძიმე მატჩები გველის - ჯერ „ოლიმპს“ ვმასპინძლობთ, მერე „მგლებს“ სტუმრად ვეთამაშებით, შემდეგ შინ „ზესტაფონს“... რესურსების სრული მობილიზაცია გვჭირდება.

**- განვლილი მატჩების მიხედვით, ვის დაასახელებდით „სიონის“ საკვანძო ფიგურებად?**

- ბევრი იშრომა გამოცდილმა დიდავამ, ჭელიძე და შალამბერიძეც სასარგებლო ფეხბურთელები არიან, ისევე, როგორც დავითაშვილი, მიკუჩაძე და სხვები... არ მინდა, ვინმე გამომრჩეს... უკვე ზედიზედ მეორე მატჩია, ლევან სანიკიძეს საჭირო გოლები გააქვს, კარში დგას გამოცდილი გია ჭანტურია, რომელიც მცველებსაც უდიდეს დახმარებას უწევს, ფაქტობრივად, მოთამაშე-მწვრთნელივითაა... დაცვაშიც ნელ-ნელა ლაგდება ვითარება, უფრო საიმედო ხდება. იყო უხეში შეცდომებიც, მაგრამ მჯერა, ეს მალე მინიმუმამდე დავა.

**- და მაინც, რისთვის იბრძოლებს „სიონი“ და ვის მიიჩნევთ კონკურენტებად?**

- ჩვენი პროგრამა-მინიმუმი ხუთეულია, მაქსიმუმი კი სამეული. რაც შეეხებათ კონკურენტებს, მათ ორ კატეგორიად დავყოფდი. „ვიტ „ჯორჯიასა“ და „დინამოს“ გარდა, საპრიზო ადგილებისთვის „ზესტაფონი“ და „ოლიმპი“ გვეცილებიან. ხუთეულისთვის ბრძოლაშიც ოთხი მეტოქე გვყავს - „ოლიმპი“, „ლოკომოტივი“, „მგლები“ და „მესხეთი“. რუსთაველები მხოლოდ ხუთეულს არ დასჯერდებიან და, ალბათ, ზედა ადგილებისთვის იბრძოლებენ. მიუხედავად იმისა, „რომ „ლოკომოტივში“ ცქიტიშვილი, ალექსიძე, დარასელია აღარ არიან, საკმაოდ სიმპათიურ ახალგაზრდულ გუნდად რჩება. „მგლები“ „დინამოსთან“ საკმაოდ მომეწონა. „მესხეთმა“ კი „გაგრასთან“ მოგებით ზემოთ აიწია და თუ „სპარტაკიც“ დაამარცხა, მერე ალბათ მადაც გაეზრდება.

**დავით ცაბაძე**

პენალტი თუ სიმულაცია?

# მეგრელაძეს ყვითელ ბარათს გაუუქმებენ?

„ოლიმპისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ შეხვედრის 33-ე წუთზე არბიტრ **ალექსანდრე კრიჭაშვილის** მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. თბილისელთა მეკარე **გიორგი ლომაიასთან** პირისპირ გასული **გია მეგრელაძე** ორთაბრძოლისას საჯარიმოში წაიქცა. კრიჭაშვილმა არ დანიშნა 11-მეტრიანი, სამაგიეროდ, ყვითელი ბარათი აუფრიალა ფორვარდს, რაკი მიიჩნია, რომ მისი მხრიდან სიმულაციას ჰქონდა ადგილი.

მეგრელაძე და „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია** კრიჭაშვილს მცდარი გადაწყვეტილების გამო ედავებიან. ლომაია კი ამტკიცებს - თავდამსხმელს არ შევხებივარო. თუ რომელი მხარეა მართალი, ამის გარკვევას დღეს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის საგანგებო სხდომაზე შეეცდებიან. ამის თაობაზე „ლელოსთან“ კომენტარი კომიტეტის თავმჯდომარე **ამირან კაჭახიძემ** გააკეთა.

*„საგანგებო სხდომას ჩავატარებთ, ვიმსჯელებთ და გავარკვევთ, სამართლიანად უჩვენეს თუ არა მეგრელაძეს ყვითელი ბარათი. ჩვენთან ყველაფერს მსაჯებს აბრალებენ. ისინიც ადამიანები არიან და შესაძლოა, შეცდომა დაუშვან. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ თუ შეგვიძლია, რომ შეცდომა გამოვასწოროთ, მაშინ ასეც უნდა მოვიქცეთ. თუ კომისია დაადგენს, რომ სიმულაცია არ ყოფილა, მაშინ „ოლიმპის“ თავდამსხმელს ყვითელ ბარათს გავუუქმებთ. მესმის ფეხბურთელისაც, რომელიც თავს დაზარალებულად მიიჩნევს. სხვათა შორის, როგორც შევიტყვე, ამ ეპიზოდის გამო კრიჭაშვილთან კამათის მიუხედავად, მატჩის შემდეგ მეგრელაძეს არბიტრთან დაკავშირება და ბოდიშის მოხდა სურდა. ეს მას კარგად ახასიათებს“.*



გია მეგრელაძე

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# შალვა ლონდაძე სპარტაკში გადავიდა

## აუტსაიდერებში ჩვენი ადგილი არ არის!


შალვა ლონდაძე

**ცხინვალის „სპარტაკი“ ამ ზამთარს მნიშვნელოვნად გაძლიერდა და ეს მის თამაშსაც დაეტყო. ჩემპიონატის განახლებისთანავე კლუბმა კიდევ ერთი სასურველი ტრანსფერი განახორციელა - „სპარტაკის“ დაცვას „ზესტაფონის“ ყოფილი ვიცე-კაპიტანი და ეროვნული ნაკრების წევრობის ასევე ყოფილი კანდიდატი შალვა ლონდაძე გააძლიერებს. სანამ უშუალოდ ამ ტრანსფერს შევეხებოდეთ, ერთი საინტერესო დეტალი: ლონდაძე საფეხბურთო გუნდში პირველად 19 წლისა მოხვდა, მანამდე კი მოცეკვავე იყო...**

- წყალტუბოს „სამგურალის“ მწვრთნელად გივი ბაბუნიძე მუშაობდა. შემთხვევით მნახა და გუნდში აყვანა შემომთავაზა - მონაცემები გაქვს და ითამაშებო. ფეხბურთი მიყვარდა, მაგრამ სერიოზულად არასდროს მითამაშია, მხოლოდ გივი ჩოხელის სახელობის და სხვა ასაკობრივ ტურნირებზე გამოვდიოდი. ბაბუნიძის წინადადებაზე კი სერიოზულად დავფიქრდი, „სამგურალში“ ამიყვანეს და მერე აეწყო ჩემი კარიერა. ასეთი მოულოდნელია ცხოვრება და ამიტომაც არ მიკვირს, ლიდერი გუნდიდან უცებ აუტსაიდერში რომ აღმოვჩნდი.

**- სხვა წინადადება არ გქონიათ?**

- ზუგდიდის „მგლები“, ქუთაისის „ტორპედო“ და მარტვილის „მერანი“ მიწვევდნენ, მაგრამ „სპარტაკი“ ყველაზე საინტერესო ვარიანტი იყო და კარგი პირობებიც შემიქმნეს. გუნდს გადასარჩენად აქვს საქმე და ამ მხრივ ეს ტრანსფერი აზარტულიცაა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რათა „სპარტაკმა“ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს.

**- „ზესტაფონიდან“ რატომ წახვედით?**

- კონტრაქტი დამიმთავრდა. პირველად დამიკავშირდა სერგო გაბელაია, რომელსაც ჯერ კიდევ ფოთის „კოლხეთში“ თამაშის დროიდან ვიცნობ და მასთან მუშაობაც საინტერესოდ მეჩვენა. რა თქმა უნდა, გული მწყდება... ძლიერი გუნდიდან ფეხბურთელები საკუთარი ნებით არ მიდიან, მაგრამ... თანაგუნდელებს ძალიან თბილად დავშორდი, ამ ოთხი წლის განმავლობაში იმდენი კარგი მოგონება დაგვიგროვდა, სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ასე მოხდა გია გეგუჩაძესთანაც. ის კარგი მწვრთნელი და ასეთივე ადამიანია, ერთად ცოტა ხანს ვიმუშავეთ, მაგრამ კარგ ურთიერთობებს შევინარჩუნებთ და ერთმანეთს თბილად მოვიკითხავთ ხოლმე. არა მარტო მასზე, მის სამწვრთნელო შტაბზეც კარგი შთაბეჭდილება დამრჩა. ვგულისხმობ გია ჭიაბრიშვილს, დათო ჯანელიძეს... ფეხბურთში ყველაფერი ხდება და მზად უნდა იყო იმისთვის, რომ ერთ დღესაც გუნდიდან გაუშვებენ. მაგრამ საწყენი არ უნდა იყოს, თუკი ასეთ დროს ნიჭიერ ახალგაზრდებს აწინაურებენ. მესმის გეგუჩაძის - „ზესტაფონში“ ბევრი ნიჭიერი ბიჭია და მათი წინსვლა აუცილებელია. დარწმუნებული ვარ, რომ მათი 99 პროცენტი დიდ ფეხბურთს ითამაშებს და ეს მეც ძლიერ გამახარებს. ხიდეშელს, ბენაშვილს, ლობჟანიძეს, კვასხვაძეს, ძარიას, გელაშვილს... თავში არ ავარდნიათ. მათთან თამაშიც სასიამოვნო იყო და ურთიერთობაც. ჩემი ყოფილი კლუბისა და მეგობრების წარმატება ყოველთვის გამიხარდება. სხვათა შორის, იმასაც ვიტყვი, რომ გეგუჩაძემ „ზესტაფონის“ თამაში უკეთესობისკენ შეცვალა. მგონი, დღეისთვის ის საუკეთესო ქართული კლუბია.

**- „ზესტაფონთან“ რატომ არ ითამაშეთ, ტრანსფერის დროს კლუბები ამაზე ხომ არ შეთანხმდნენ?**

- არანაირი შეთანხმება არ ყოფილა. ტემპერატურამ ამიწია და თავი შევიკავე, თან ცუდი ამინდიც იყო. ალბათ, შემდეგ ტურში ვითამაშებ.

**- „სპარტაკს“ გადარჩენის რეალური იმედი უნდა ჰქონდეს?**

- ამ ზამთარს გუნდში ისეთი ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა, წარმოუდგენელია უმაღლესში ადგილი არ შევინარჩუნოთ. აუტსაიდერებში ჩვენი ადგილი არ არის! სხვათა შორის, კლუბში არსებული სიტუაცია ძალიან მომეწონა. „ზესტაფონთან“ წაგების შემდეგ გასახდელში დიმიტრი სანაკოევი შემოვიდა და ხომ არ გგონიათ, რომ ჭკუის დარიგება დაგვიწყო? არა, მეგობრულად გველაპარაკა, გაგვამხნევა - არა უშავს, ლიდერთან წავაგეთ და ხასიათი არ გაიფუჭოთო. ამგვარი მიდგომა ფეხბურთელებს უკეთ თამაშის სტიმულს აძლევს. „სპარტაკში“ ჩემი ბიძაშვილი მამუკა ლონლაძე თამაშობდა. ის ამ ზამთარს უზბეკეთში წავიდა, მაგრამ სანაკოევი დღემდე არ ივიწყებს და ურეკავს ხოლმე...

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# ჩასემის მეორე გუნდში

წინა წლებში ლეგიონერებით ერთ-ერთი ყველაზე დახუნძლული ქართული გუნდი „ზესტაფონი“ იყო, მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა - ამ დროისთვის „ზესტაფონის“ პირველ გუნდში ერთ უცხოელსაც ვეღარ ნახავთ.

მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპის შემდეგ „ზესტაფონის“ მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** უარი თქვა კამერუნელ მცველ **ბოიომო ფრიდოლინზე**, რომელიც შუასასეზონო მოსამზადებელ ეტაპზე გუნდთან ერთად არ ყოფილა. სამაგიეროდ, გეგუჩაძემ თურქულ შეკრებაზე წაიყვანა ბოიომოს თანამემამულე, თავდამსხმელი **ერიკ ჩასემი**, რომელმაც საკონტროლო მატჩებშიც ითამაშა...

ამასობაში, სეზონიც განახლდა, „ზესტაფონმა“ ხუთი მატჩი ითამაშა, ჩასემი კი სათადარიგოებშიც არ გამოჩენილა. ჰოდა, დავინტერესდით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი და შევიტყვეთ - ჩასემი თურმე „ზესტაფონის“ მეორე გუნდში გადაუყვანიათ, სადაც მას ბოიომოც დახვდა.

ჩასემი და ბოიომო „ზესტაფონში“ შარშან გადავიდნენ თავისუფალი აგენტის სტატუსით. მანამდე ისინი ბოლნისის „სიონში“ თამაშობდნენ. როგორც ჩანს, კამერუნელები გეგუჩაძის გემოვნებასა და მონახაზში ვერ ჩაჯდნენ, თორემ საქართველოს ჩემპიონატში ურიგო ფეხბურთელებად როდი ითვლებოდნენ.

**დავით თავართქილაძე**



ერიკ ჩასემი

ლეგიონერი

# სირაძე სტიაუაში?

## რუმინელებმა საქართველოს ნაკრების ფორვარდი ტელევიზორში ნახეს

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი **დავით სირაძე** ისევ უგუნდოდაა, თუმცა ერთი ისეთი ვარიანტი გამოუჩნდა, შესაძლოა, რუსეთს ასცდეს და აღმოსავლეთ ევროპას მიაშუროს.

*„ინტერნეტით შევიტყვე, რომ ჩემით ტომსკის „ტომია“ დაინტერესებული, თუმცა არც მე და არც ჩემს აგენტს ამ კლუბიდან არავინ შეგვხმიანებია. მოგეხსენებათ, გროზნოს „ტერეკში“ რომ ვაპირებდი გადასვლას, ამ გუნდს თურქულ შეკრებაზე ჩავაკითხე, „ტერეკი“-“ზარიას“ ამხანაგურ მატჩშიც ვითამაშე და გოლიც გავიტანე. თურმე ამ შეხვედრის ტელეტრანსლაცია ერთ-ერთმა რუმინულმა არხმა მოაწყო, რაკი „ტერეკში“ რუმინელი ფეხბურთელებიც ისინჯებოდნენ. ეს მატჩი ბუქარესტის „სტიაუას“ მესვეურებსაც უნახავთ და ჩემმა აგენტმა მითხრა, რუმინული გრანდი შენით დაინტერესდაო. ერთი სიტყვით, ახლა საბოლოო პასუხს ველით. თუ „სტიაუას“ ვარიანტი არ გამოვიდა, აგენტი მპირდება, ისევ ნალჩიკის „სპარტაკში“ მოგიწევს თამაშიო“,* - გვითხრა სირაძემ.

რუმინეთის 18-გუნდიან ჩემპიონატში „სტიაუა“ ახლა მე-6 ადგილზეა. ის რუმინეთის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია. ქვეყნის მრავალგზის ტრიუმფატორმა 1986 წელს ჩემპიონთა თასიც მოიგო, დაამარცხა რა ფინალში „ბარსელონა“. სირაძე რუმინელთა პასუხს 10 მარტამდე დაელოდება, ვიდრე რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა არ დაიხურება.

**დავით თავართქილაძე**

# რევიშვილი რუბინში რჩება

საქართველოს ნაკრებში ნათამაშები მეკარე **ნუკრი რევიშვილი** ყაზანის „რუბინში“ კიდევ ერთი წლით დარჩება. ერთი თვის წინ 21 წლის გოლკიპერმა გვითხრა, რომ სხვა კლუბში იჯარით გადასვლის შესაძლებლობას იხილავდა. თუმცა გუშინ რომ დავუკავშირდით, ვითარება უკვე შეცვლილი იყო.

*„კლუბის ხელმძღვანელობას ვესაუბრე, მაინტერესებდა, რა პოზიცია ჰქონდათ ჩემთან დაკავშირებით. იყო ლაპარაკი, რომ ახალ კონტრაქტს გავაფორმებდი, მაგრამ ერთი წლით სხვა კლუბში გამანათხოვრებდნენ. მე ასეც მერჩივნა, მაგრამ ახლახან კიდევ ერთხელ დავილაპარაკეთ და ახალი შანსი მომცეს. იციან, რომ დიდი დრო ტრავმის გამო გამიცდა და თავის გამოჩენის შანსს მომცემენ. ასე რომ, „რუბინში“ კიდევ ერთი წელი დავრჩები. მართალია, ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია, მაგრამ ერთი წელი აქ დავრჩები. პირობებზე სიტყვიერად შევთანხმდით, მაგრამ ჯერ ხელშეკრულება არ გაგვიფორმებია“,* - გვითხრა რევიშვილმა.

ცოტა ხნის წინათ რევიშვილს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და აკი ამიტომაც უხმეს ეროვნულ ნაკრებში. ეს იყო მანამ, ვიდრე ნუკრი ყაზანის „რუბინში“ გადავიდოდა. მაგრამ სამი უმძიმესი ტრავმისა და ავტოავარიის შემდეგ, მისი საქმეები უკან-უკან წავიდა და ძირითად შემადგენლობაში ვეღარ დამკვიდრდა.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მგლები და ჯენარო?

არ არის პატარა საქმე, როცა ფეხბურთელი თავს რაღაცით დაგამახსოვრებს, რაღაცით იქნება გამორჩეული დანარჩენებისგან. არც ის არის იოლი, ისეთი მეტსახელი დაიმსახურო, რომელსაც ყველა მოიწონებს. საქართველოს ჩემპიონატიდან უცხოეთში წასვლაც არ არის ადვილი და არც ის, მერე დაბრუნდე და კვლავ ოღრო-ჩოღრო მოედნებზე სდიო ბურთს.

**პაატა დათუნაიშვილი** „ვიტ ჯორჯიაში“ 9 წლის წინ მივიდა. მაშინ ის 19 წლის იყო, ოთხ წელიწადში კი გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი გახდა. თანაგუნდელებმა მას „ჯენარო“ შეარქვეს, აქაოდა, **ჯენარო გატუზოსავით** შეუპოვარი მებრძოლი ხარო. პაატასაც შერჩა ეს თიკუნი, რომელიც თანაგუნდელებისა და ახლობლების გარდა, შეიძლება ითქვას, მთელ ჩვენს საფეხბურთო მილეთსაც მოეწონა. ახლაც „ვიტ ჯორჯიაში“ თამაშობს პაატას უმცროსი ძმა - **გიორგი**, რომელსაც „პატარა ჯენაროს“ ეძახიან.

შარშან პაატა დათუნაიშვილმა „ვიტ ჯორჯიადან“ ლატვიურ „დინაბურგს“ მიაშურა. 2008 წლის ბოლოს საქართველოში დაბრუნდა. ის კვლავ უცხოურ გუნდში აპირებდა წასვლას, მაგრამ...

როგორც თავად გვითხრა, უცხოური ვარიანტებიდან ამ ეტაპზე არაფერი გამოვიდა და სეზონის ბოლომდე რომელიმე ქართულ გუნდში სურს თამაში. „ჯენარო“ ჯერ „გაგრაში“ მივიდა და ივარჯიშა კიდეც ამ გუნდში, მაგრამ ტრანსფერი არც აქ გამოვიდა - კლუბის ხელმძღვანელობა და ფეხბურთელი ვერ შეთანხმდნენ.

ახლა პაატას აყვანა ცხინვალის „სპარტაკსაც“ სურს, თუმცა საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი. გამოჩნდა კიდევ ერთი გუნდიც - ზუგდიდის „მგლები“. დათუნაიშვილსაც გული უფრო ზუგდიდისკენ მიუწევს და „მგლებისგან“ ზუსტ პასუხს ელის.

თუ ტრანსფერი გამოვა, უფროსი დათუნაიშვილი უდავოდ გამოადგება **ბესიკ შეროზიას** გუნდს. პაატას დაცვისა თუ ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზეც შეუძლია თამაში და საყრდენ ნახევარმცველადაც.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

# ალექსიძის დუბლი

უჩვეულო სიცივის და თოვლის გამო უნგრეთში ჩემპიონატის ტური გადაიდო, თუმცა **დავით ოდიკაძისა** და **რატი ალექსიძის** „დიორი ეტო“ უქმად არ ყოფილა. მწვრთნელმა უმთავრესად იმ ფეხბურთელებს მისცა შანსი, რომელთაც სპარინგებში იშვიათად უწევდათ თამაში. ასე რომ, მესამე დივიზიონის „ლიპოტთან“ სპარინგმატჩში ოდიკაძეს არ უთამაშია, ალექსიძემ კი დუბლით გამოიჩინა თავი. ხელოვნურსაფარიან მოედანზე „ეტომ“ 5:1 იმარჯვა. შარშანდელი სეზონის მესამე პრიზიორი „დიორი ეტო“ 16-გუნდიან ლიგაში 18 ქულით მე-14 ადგილზეა. კლუბს გავარდნა ნაკლებად ემუქრება, რადგან ბოლოსწინა საფეხურზე მყოფ „შიოფოკს“ 10 ქულით უსწრებს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ მე-5 ადგილზე მყოფი „ნირედიჰაზა სპარტაკუსში“ ჩაირიცხა **დავით იმედაშვილი**, რომელმაც ერთ ოფიციალურ მატჩში უკვე ითამაშა.



რატი ალექსიძე

# ანანიძეს ისევ გააქვს

მოსკოვის „სპარტაკის“ ახალგაზრდული გუნდი შეკრებაზე თურქეთში იმყოფება. რუსული კლუბი შვეიცარიის სამოყვარულო კლუბ „კრომბახს“ შეხვდა და 10:0 მოუგო. „სპარტაკის“ სამმა ფეხბურთელმა დუბლი შეასრულა, ერთ-ერთი მათგანი ქართველი ნახევარმცველი **ჯანო ანანიძე** გახლდათ. მომდევნო სპარინგში „სპარტაკის“ დუბლები „ტერეკის“ ახალგაზრდულ გუნდს შეხვდებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სასარგებლო კონტაქტები

# ლაპორტა, საქართველო, ხინკალი და საფერავი

## ურთიერთობის ისტორია, ანუ როგორ შევუყვარდით ბარსელონას პრეზიდენტს

„ბარსელონას“ პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა** საქართველოს საპატიო კონსული გახდება. ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ასე რომ, ესპანეთში საქართველოს ელჩის **ზურაბ პოლოლიკაშილის** მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. ამ მუშაობის პირველი შედეგი პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილის** კატალონიური ვიზიტი იყო. ის „კამპ ნოუს“ ენვია. სასაცილოა ზოგიერთი კომენტარი, რაც ამ ვიზიტს მოჰყვა - სააკაშვილის ავტორიტეტი და რეიტინგი იმდენად დაეცა, „კამპ ნოუ“ მთლად ცარიელი იყო და მწვრთნელიც არ დახვედრიაო...

პოლიტიკა პოლიტიკოსებისთვის იყოს, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია თავად ფაქტი - ლეგენდარული „ბარსას“ თავკაცმა საქართველოს პრეზიდენტი დიდი პატივით მიიღო და „მიხეილ სააკაშვილის“ გვარსახელიანი მაისურაც აჩუქა. ამ ჟესტით ლაპორტამ თავად საქართველოს მიმართ გამოხატა პატივისცემა. ეს არის სწორედ მთავარი...

ბუნებრივია, შეხვედრა სპონტანურად ვერ შედგებოდა. ის სპეციალურად მომზადდა. ადრეც გვითქვამს, რომ ლაპორტა ესპანეთში საქართველოს ელჩთან მეგობრობს. „საბურთალოსა“ და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელ **გია ჭანტურიას** „ბარსელონაში“ აყვანა ამ მეგობრობის შედეგიცაა. და მაინც, რატომ არის ლაპორტა დაინტერესებული ამ ურთიერთობებით? „ბარსას“ პრეზიდენტი უშუალო ადამიანია. არადა, ბევრს შეიძლება ისეთი წარმოდგენაც ჰქონდეს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის პრეზიდენტი აუცილებლად ცხვირაბზუებული უნდა იყოს. ამ დროს კი ლაპორტა ურთიერთობებისთვის სრულიად გახსნილი, სტუმართმოყვარე ადამიანია. სასიამოვნო და მოულოდნელი აღმოჩნდა მისი თანხმობა, გამხდარიყო საქართველოს საპატიო კონსული. ეს წინადადება პოლოლიკაშვილმა მას შარშან, საქართველოს ხელისუფლებისგან თანხმობის მიღების შემდეგ შესთავაზა. თანხმობა განაცხადა თავად ლაპორტამაც, ოღონდ მას მერე, რაც „ბარსელონას“ პრეზიდენტი აღარ იქნება (2010 წლის აგვისტოდან). სხვათა შორის, კატალონიურ პრესაში მას დაუწერეს - ეტყობა, საქართველოში ბიზნესინტერესი აქვსო, არადა, ის წმინდა ადამიანური მოსაზრებით ცდილობს, რითიც შეუძლია გვერდში დაუდგეს პატარა ქვეყანას, ბიზნესინტერესებზე კი ნამდვილად არაფერი გვსმენია...

ალბათ, დაგებადათ კითხვა - რამ შეაყვარა ასე ლაპორტას საქართველო? ეს მისი მდივნის, ქალბატონ **მანანა გიორგაძის** დამსახურებაა. ის დიდი ხანია ლაპორტასთან მუშაობს, ჰოდა, შეაყვარა კიდეც ჩვენი ქვეყანა. „ბარსას“ ბოსმა სწორედ ქართველი ქალბატონის წყალობით გაიგო ხინკლის, ხაჭაპურისა და ქართული ღვინოს გემო (განსაკუთრებით, საფერავი მოსწონს თურმე).

ახლა, რაც შეეხება „საბურთალოსა“ და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელ ჭანტურიას. როგორც შევიტყვეთ, „ბარსელონას“ სკოლაში ჩასარიცხად მასზე ესპანეთში მეურვეობა ჩვენმა ელჩმა პოლოლიკაშვილმა იკისრა. იქაური წესებით, ქართველ ბავშვებზე მხოლოდ მოკლევადიანი ვიზა გაიცემა და საერთოდაც, ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალური ცხოვრების, სწავლისა და მუშაობის უფლების მიღება ჭირს. ჭანტურია კი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული - „ბარსას“ პრეზიდენტმა მისი თამაში **ხოსეპ გვარდიოლასთან** ერთად ნახა და იმდენად მოეწონა, კლუბში ყოველგვარი სასელექციო ფილტრის გარეშე ჩარიცხა. არადა, „ბარსელონაში“ რომ მოხვდე, საკმაოდ ვრცელი პროცედურა უნდა გაიარო. იქ მსოფლიოს ლამის ყველა ქვეყნიდან გზავნიან DVD-ჩანაწერებს, რომელთაც სპეციალისტები აკვირდებიან, სწავლობენ, აანალიზებენ და მოთამაშეთა 99 პროცენტს იწუნებენ. ლაპორტამ კი, ქართველებისადმი სიყვარულის ნიშნად, ჭანტურია „ბარსელონაში“ პირდაპირ ჩარიცხა. მაგრამ ისეც არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართველი ბიჭუნა „ბარსაში“ მხოლოდ ამ სიყვარულმა დატოვა. ფაქტია, რომ ჭანტურიამ მოწონება დაიმსახურა, ხოლო კატალონიურ გრანდში, „ზემოდან“ დარეკვითა თუ ათასგვარი პროტექციით უნიჭოები ნამდვილად არ აჰყავთ. ჭანტურიასთან კონტრაქტი მალე გაფორმდება. მანამდე, ტრანსფერის იურიდიული მხარეა მოსაგვარებელი. 16-წლამდელისთვის პროფესიული ხელშეკრულების დადება აკრძალულია, გია აპრილში გახდება 16 წლის და მერე კონტრაქტს წინ ალბათ ვერაფერი დაუდგება.

ელჩი ზურაბ პოლოლიკაშვილი ესპანეთში ქართულ საქმეს მასშტაბურად აკეთებს - არა მხოლოდ უშუალო კომპეტენციის ფარგლებში, რაც დიპლომატიურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებს ეხება, არამედ ფეხბურთშიც, ჩვენი ქვეყნისთვის ესოდენ სასარგებლო სფეროშიც. ვითომ, რა ინტერესი უნდა ჰქონდეთ მსოფლიოს საუკეთესო ლიგის კლუბებს საქართველოში? თურმე, შესაძლებელია, რომ აქაც იყოს ინტერესი, ეგ არის, სურვილი და მუშაობაა საჭირო...

სხვათა შორის, პოლოლიკაშვილს მარტო ლაპორტასთან როდი აქვს ახლო ურთიერთობა. ელჩობის პერიოდში ის დაუახლოვდა მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტსაც, მეგობრობა აკავშირებს „რეალის“, „მალაგასა“ და „დეპორტივოს“ მესვეურებთან. უშუალო საქმიანობის გამო, ზურაბს ესპანეთის საქმიან წრეებთან უწევს ურთიერთობა, ის ცდილობს, ისინი საქართველოთი დააინტერესოს და სწორედ რომ საფეხბურთო წრეების დახმარებით, მნიშვნელოვან კონტაქტებსაც ამყარებს. ვერ ვიტყვით, რომ ყველა ესპანური გუნდი დაინტერესდება ქართველი ფეხბურთელებით, ამის ილუზია არ უნდა გვქონდეს, მაგრამ კავშირებს წინ არაფერი უდგას და ამის შედეგებსაც, ალბათ, მალე დავინახავთ.

დაბოლოს - შესაძლოა, ლაპორტა საქართველოში ჩამოვიდეს. დაგვეთანხმებით, ეს ერთობ მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება, რასაც ფართოდ გააშუქებენ მსოფლიოს მედიასაშუალებები. ეს მნიშვნელოვანი იქნება იმ ფონზეც, რასაც რუსები ქმნიან საქართველოსთვის იმიჯის შელახვის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით პირად მაგალითს მოვიყვან: ერთ ჩემს რუს მეგობარსა და კოლეგას, რომელიც ცნობილ სპორტულ გამოცემაში მუშაობს, საქართველოს საპატიო კონსულად ლაპორტას დანიშვნის თაობაზე მივაწოდე ინფორმაცია. ის ყოველთვის ინტერესდება ქართული საფეხბურთო ამბებით, თუმცა, ჩემდა გასაკვირად, ამ ინფორმაციის გამოქვეყნება არ ისურვა და ამიხსნა კიდეც მიზეზი - ეს ფაქტი საქართველოს დადებით იმიჯს შეუქმნისო (?!). რუსულ ბეჭდვით თუ ელექტრონულ მედიას საქართველოზე პოზიტივის დაწერა და გადაცემა აკრძალული აქვს...



**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი




# დევდარიანი მარცხნივ და წინ

ის 21 წლისაა და ყველაფერი წინ აქვს. მოწესრიგებულ ქვეყანაში წავიდა და იქ პირველ სეზონს ატარებს. საქართველოს ჩემპიონატში თამაშით მყის მიიქცია ყურადღება და ინტერესით ვადევნებთ თვალს მის დანიურ თავგადასავალს...

დავით დევდარიანი რუსთავის „ოლიმპიდან“ დანიის სუპერლიგის „ორჰუსში“ შარშან გადავიდა. ახალგაზრდული ნაკრების გარდა, მას ეროვნულ გუნდშიც უთამაშია, როცა ჩვენს უპირველეს ნაკრებს დროებით პეტარ შეგრტი წვრთნიდა. ეს იყო პორტუგალიასთან ამხანაგურ მატჩში, როცა ხორვატმა დევდარიანი შეცვლაზე შეუშვა...

დევდარიანის სიმაღლე 188 სანტიმეტრია, თუმც ეს სულაც არ უშლის ხელს იმაში, რომ იყოს მოქნილი, ტექნიკური და ალღოიანი. დანიაში წასვლამდე მისი ნაკლი არასათანადო ათლეტურობა იყო, მაგრამ ეს ისეთი რამეა, რომლის გამოსწორება შეიძლება. აბა, წარმოიდგინეთ, ჯანზე მოსული დევდარიანი რარიგ სასარგებლო და ეფექტური ფეხბურთელი იქნება...

„ორჰუსი“ არის კლუბი, რომელსაც თავისი მკვეთრი გეზი აქვს - ეძებს ნიჭიერ ახალგაზრდებს, რათა მერე სარფიანად გაასხვისოს უფრო მდიდარ საფეხბურთო ქვეყანაში. „ორჰუსში“ ელიტურ ლიგებში გამობრძმედილი ხალხიც თამაშობს და ამასაც თავისი მიზანი აქვს - ახალგაზრდები სწორედ მათ გვერდით უნდა დაწინაურდნენ. მაგალითად, „ორჰუსის“ თავდამსხმელ ნანდო რაფაელს არაერთი სეზონი უთამაშია ბუნდესლიგაში.

„ორჰუსში“ დევდარიანის კარიერა თანდათანობით ვითარდება. შარშან, სეზონის პირველ ეტაპზე, მას პირველ გუნდში არ უთამაშია. დანიის ჩემპიონატი გასულ უქმეებზე განახლდა და დევდარიანმაც „რანდერსთან“ („ორჰუსი“ 1:2 დამარცხდა) სასტარტოში ითამაშა. სადებიუტო მატჩთან დაკავშირებით დავითს დანიაში შევეხმიანეთ.

**- კმაყოფილი დარჩი დებიუტით? „ორჰუსის“ პირველ გუნდში სათამაშოდ ხომ ფაქტობრივად ნახევარი წელი ემზადებოდი...**

- საინტერესო მატჩი გამოვიდა, უამრავი სახიფათო მომენტი შევქმენით მეტოქის კართან... ჩვენი მწვრთნელი ერიკ რასმუსენი მარცხის მიუხედავად გუნდის თამაშის ხარისხით კმაყოფილი დარჩა. რაც შეეხება ჩემს დებიუტს, ყველაფერი ნორმალურად იყო და ეს მწვრთნელმაც აღნიშნა.

**- მაინც რა მოგიწონა რასმუსენმა?**

- მთავარი ის იყო, რომ მწვრთნელის დავალება შევასრულე. კომბინაციებში, რომლებსაც სახიფათო მომენტები მოჰყვა, მეც ვმონაწილეობდი, არაერთი კარგი შეტევაც წამოვიწყე, რამდენჯერმე კარშიც დავარტყი, შეტევაში თავითაც მომიწია თამაშმა. აშკარა საგოლე მომენტი კი არ მქონია.

**- ტიპურ პლეიმეიკერად ითამაშე?**

- არა, მარცხენა ნახევარმცველი გახლდით.

**- დანიაში წასვლამდე ცაციათი თამაშით დიდად გამორჩეული არ ყოფილხარ, ფლანგზეც არასდროს გითამაშია. მიგაჩნია, რომ მარცხენა ნახევარმცველისთვის საჭირო ყველანაირი მონაცემი გაქვს?**

- „ორჰუსი“ 4-4-2 განლაგებით თამაშობს, მარცხენა ნახევარმცველი კი ვარ, მაგრამ ტიპური ფლანგელი რომ ვიყო, ამას არავინ მთხოვს. ცენტრისკენ ხშირად ვიწევ, ოღონდ, დაცვითი ფუნქციების შესრულებაც მევალება - კარგ ფორმაში ვარ და ამის გაკეთება სულაც არ მიძნელდება.

**- „ორჰუსს“, ალბათ, სხვა პლეიმეიკერი ჰყავს...**

- არა, ჩვენ გამთამაშებლის გარეშე ვთამაშობთ. მიწევს ფლანგური ჩაწოდებები, მაგრამ უშუალოდ ეს არ არის ჩემი საქმე. მწვრთნელის მთავარი დავალება ასეთია - ბურთი მივიღო და დავიჭირო, დრიბლინგს არ მოვერიდო, კარგი პასი გავაკეთო და კარში დავარტყა. ცაციათი კი ცუდად არასდროს ვთამაშობდი, მარცხენა ფლანგიდანაც უპრობლემოდ ვაწვდი ბურთს. მოკლედ, ამ პოზიციაზე თამაში არ მიჭირს.

**- საამისოდ მწვრთნელი ალბათ შუასასეზონო შეკრების დროს გცდიდა...**

- ასე იყო. შეკრებაზე იტალიაში ვიყავით, ბრეშასთან ახლოს... საერთოდ, დანიური და იტალიური შეკრებების დროს მთლიანობაში ყველა საკონტროლო თამაში მოვიგეთ, ერთის გარდა.

**- ათლეტიზმი, ძალისმიერი ორთაბრძოლები, გამძლეობა... ამ მხრივ თუ გაქვს მნიშვნელოვანი პროგრესი? თუ დანიიდან უკეთეს ლიგაში გადასვლაზე ფიქრობ, ეს კომპონენტი ხომ ძალიან მნიშვნელოვანია წინსვლისთვის...**

- ამ მხრივაც არის წინგადადგმული ნაბიჯი, მკვეთრი პროგრესი მაქვს და ვგრძნობ, რომ მომავალში უკეთეს ფორმაშიც ვიქნები.

**- ათლეტიზმში ინდივიდუალურად ვარჯიშობ?**

- არა, რადგან „ორჰუსში“ ამის აუცილებლობა არ არის. მოსამზადებელ პერიოდში მთელი გუნდი კვირაში ორჯერ ვვარჯიშობდით სატრენაჟორო დარბაზში, ახლა კი ეს კვირაში ერთხელ გვიწევს.

**- სადებიუტო შეხვედრაში 70-ე წუთზე შეგცვალეს. ეს გადაღლის ბრალი ხომ არ ყოფილა?**

- შესაძლოა, ოდნავ მაინც დამეტყო დაღლა, მაგრამ არა მგონია, ეს ყოფილიყოს შეცვლის მიზეზი. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთი ვარჯიშის დროს კუნთში მომარტყეს ფეხი და მსუბუქად დავშავდი. კუნთი ბოლომდე მორჩენილი არ მაქვს, ტკივილი სირბილში ხელს ისევ მიშლის და ვფიქრობ, მწვრთნელმაც ამიტომ გადაწყვიტა ჩემი შეცვლა.

**- როგორ ფიქრობ, დებიუტი ისეთი გამოგივიდა, რომ მომდევნო შეხვედრაშიც სასტარტოში იქნები?**

- ალბათ, ასე იქნება, იმედი მაქვს...

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი აზერბაიჯანი

# შეიძლება, მუჯირმა ჩემპიონატის ბედი გადაწყვიტა

აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში მე-16 ტურის ცენტრალურ მატჩს „შაფას“ სტადიონმა უმასპინძლა - ჩემპიონმა და ლიდერმა „ინტერმა“ „ბაქო“ მიიღო და მოულოდნელად 0:1 დამარცხდა. საოცარია, მაგრამ თამაშს მხოლოდ 800 მაყურებელი დაესწრო. **ამირან მუჯირი** და **გიორგი ადამია** სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ, ხოლო **გიორგი დემეტრაძე** - სათადარიგოთა სკამზე. მუჯირი 74-ე წუთზე, ხოლო ადამია 88-ეზე შეცვალეს, დემეტრაძეს თამაშის შანსი არ მიეცა. „ბაქომ“ **ფერნანდო პერესის** გოლის (25-ე წუთი) წყალობით მოიგო და 38 ქულით ხელთ იგდო ლიდერობა. ადამიას თავი არ გამოუჩენია, ხოლო მუჯირს... თუმცა მოდით, ციტატისთვის „აზერიფუტბოლს“ დავესესხოთ:

*„35 წლის ამირან მუჯირი პატარა ბიჭივით ატერორებდა შედარებით ახალგაზრდა ოპონენტებს. სწორედ ქართველს მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი იმ ეპიზოდში, რომელმაც მატჩის და, შესაძლოა, ჩემპიონატის ბედიც გადაწყვიტა. მუჯირმა თამაში თავის თავზე აიღო, შეიჭრა საჯარიმოში და ძლიერად დაარტყა, ბრაზილიელმა გოლკიპერმა უილსონმა ბურთი კი მოიგერია, მაგრამ იქვე მყოფმა პერესმა დაამატა“.*

ბადრი კვარაცხელიას „სტანდარდი“ აგდამში ესტუმრა „ყარაბახს“, რომელსაც ჩემპიონობაზე აქვს პრეტენზია. ქართველი მწვრთნელის გუნდმა **ფარიდ გულიევის** გოლის წყალობით 1:0 მოიგო. კვარაცხელიამ დაცვაში შეუცვლელად ათამაშა **დავით ჭიჭველიშვილი** და **ლევან სილაგაძე**. „სტანდარდი“ 23 ქულით მე-8 ადგილზეა.

ბაქოს „ოლიმპიკმა“ სტუმრად „ქარვანს“ მოუგო - 1:0. 55-ე წუთზე, კაპიტან **ქამალ გულიევის** ნაცვლად, მასპინძელთა რიგებში გამოჩნდა **მიხეილ მესხი**, თუმცა მან „ქარვანს“ ვერ უშველა. სტუმართა ქართული ლეგიონიც მხოლოდ შეცვლაზე ვიხილეთ - **რომან ახალკაცი** 66-ე წუთზე შევიდა, ხოლო 7 წუთის მერე - **ალექსანდრე გოგობერიშვილიც**. როგორც ჩანს, **რევაზ გეწაძე** კვლავ ტრავმირებულია. „ოლიმპიკი“ 28 ქულით მე-6 ადგილზე გადავიდა, „ქარვანი“ კი (26 ქულა) მეშვიდეზე ჩამოქვეითდა.

ზაქათალის „სიმურგმა“ ბაქოდან საინგილოში მნიშვნელოვანი 3 ქულა წაიღო. ქართული კვარტეტის გუნდმა მოიკ-ს 4:2 მოუგო. ოთხივე ჩვენებური სასტარტოში იყო, **გრიგოლ დოლიძე** 78-ე წუთზე შეცვალეს, **დავით ბოლქვაძე** 89-ეზე, ხოლო **მიხეილ მახვილაძემ** და **კახა ჩხეტიანმა** სრულად ითამაშეს. არადა, „სიმურგმა“ ტაიმზე მეტი 10 კაცით ჩაატარა. მე-15 წუთზე დოლიძის დარტყმული მეკარემ მოიგერია და სტუმართა ფორვარდმა მას საგოლედ დაამატა. სხვა გოლებში ქართველებს მონაწილეობა არ მიუღიათ. „სიმურგი“ 37 ქულით მესამეა, თუმცა მეორეზე მყოფ „ინტერს“ ქულებით გაუთანაბრდა.

**თორნიკე აფციაურისა** და **გოგა ბერაიას** „გაბალამ“ ქულები აართვა „ნეფთჩის“, თანაც ბაქოში - 0:0. თორნიკე 73-ე წუთზე შეცვალეს, გოგამ სრულად ითამაშა. მეორე ტაიმის დასაწყისში აფციაურს გოლის გატანა შეეძლო, მან მოახერხა, დაძვრენოდა რამდენიმე მცველს, მაგრამ მეკარესთან დუელში ველარ ივარგა. „გაბალა“ 19 ქულით მე-9 ადგილზეა.

„მუღანმა“ აუტსაიდერ „თურანს“ 2:1 მოუგო. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **გივი ჩხეტიანმა**, რომელმაც საგოლე პასი და ყვითელი ბარათი მიითვალა. „მუღანი“ 8 ქულით მე-12 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქალი და სპორტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელენე არაბული

# ქალი ბულტერიერივითაა, კაცზე ძლიერია...

3 მარტი დედის დღეა, ყველა დედას ვულოცავთ ამ დღეს და ახალი რუბრიკის დებიუტიც სწორედ ამ დღესასწაულს დავამთხვიეთ. რუბრიკაში „ქალი და სპორტი“ ჩვენი საზოგადოებისთვის მეტნაკლებად ცნობილ მანდილოსნებს წარმოგიდგენთ. დედის დღეა და შესაბამისად, შევეცადეთ, სპორტსმენი დედა წარმოგვეჩინა. ასეთად კი **ელენე არაბული** შევარჩიეთ. რატომ?

ყოფილი ხელბურთელი და ფეხბურთელი. სპორტის ორივე ამ სახეობაში ეროვნული ნაკრების წევრი, ყოფილი მწვრთნელი და ხელბურთში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი... ამასთან, ჩვენი ყოფილი კოლეგაა. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, თანაც პოტენციური სპორტსმენები - 15 წლის **თამაზი**, რომელიც თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემიის გუნდში შემტევი ნახევარმცველია და 10 წლის **მარიამი**, რომელიც ჩოგბურთითაა გატაცებული.

სპორტსმენის კარიერა 10 წლის ელენემ ხელბურთელობით დაიწყო. საბჭოური პერიოდის დასასრულს, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა მოიგო, ჯერ საქართველოს ახალგაზრდულ, მერე კი ეროვნულ ნაკრებში მოხვდა. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონია.

მერე ფეხბურთშიც მოსინჯა თავი. საქართველოს ქალთა ეროვნულ ნაკრებში 2 წელიწადზე მეტხანს გამოდიოდა. დებიუტი იუგოსლავიაში მარცხიანი გამოდგა. ბოლოს თურქეთთან ჩვენმა ნაკრებმა რუსთავში ფრე (1:1) ითამაშა. ის ერთადერთი გოლი ელენეს ჩინებული პასით გავიდა. სანაკრებო კარიერის შემდეგ, ოთხთა ტურნირი მოიგო და 10 გატანილი გოლით ბომბარდირი გახდა.

შემდეგ ისევ ხელბურთს დაუბრუნდა. ჯერ მწვრთნელი იყო (**ჯემალ ცერცვაძის** სახელობის ხელბურთის სპეციალიზებულ სკოლაში), მერე კი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიიღო და 2006 წელს ბოსნიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ისე გამოიჩინა თავი ფინალიც ამსაჯეს**ინა ჭკუასელთან** ერთად. სხვათა შორის, მსაჯთაგან ყველაზე მაღალი შეფასება იმ ტურნირზე სწორედ არაბულმა და ჭკუასელმა დაიმსახურეს. 2007 წელს, რამდენიმე თვის განმავლობაში, ტელეკომპანია „იმედის“ სპორტულ განყოფილებაში მუშაობდა **ლევან სალუქვაძესთან**.

*„სპორტით ჩემს გატაცებას მშობლები ჩვეულებრივ უყურებდნენ... კი არ მიშლიდნენ, პირიქით, მათგან ყველანაირი ხელშეწყობა მქონდა... ჩემს გოგონას ჩოგბურთი იტაცებს და სპორტსმენის გზა რომ აირჩიოს, ხელს ნამდვილად არ შევუშლი. სპორტი ჯანმრთელობის გარდა ადამიანში ბევრ კარგ თვისებას წინა პლანზე წამოწევს... ჩემს სპორტულ კარიერას ჩემთვის, როგორც მეუღლისთვის და დედისთვის ხელი არ შეუშლია, ყველაფერს ვასწრებდი. ხშირად მსმენია, ქალები ტრადიციული ქართული გაგების გამო დაჩაგრულები არიანო. ამ აზრს არ ვეთანხმები. ყველა თავად იჩაგრავს თავს. ვთვლი, რომ ქალი სულაც არაა სუსტი სქესის წარმომადგენელი. მამაკაცზე მეტი პოტენციალი აქვს. ქალი ბულტერიერივითაა, ბოლომდე იბრძვის. მსგავსი თვისებები კაცებსაც აქვთ, მაგრამ ქალებში ჭარბობს. ხელბურთელიც ვიყავი და ფეხბურთელიც. ჩემი აზრით, ამ ორ სახეობაში ქალთა ნაკრებები უკეთეს შედეგებს აჩვენებდნენ ხელშეწყობა და პირობები რომ ჰქონდეთ“.*

რა თქმა უნდა, კურიოზები მის სპორტულ ცხოვრებაშიც ყოფილა: *„ხელბურთის ეროვნული ნაკრებიდან ირანში მიგვიწვიეს საერთაშორისო ტურნირზე. გათამაშება უმწვრთნელოდ მოვიგეთ. მოგეხსენებათ რა კანონებიცაა ირანში. სადაც ქალია იქ კაცს რა უნდა? სხვათა შორის, ეს წესი იქ ხელბურთშიც ვრცელდება. ჩავფრინდით თუ არა უმალ დაგვირიგეს თავსაბურავები და გრძელი სამოსი... (იცინის)... „მაყვალასავით“ ჩაფუთნული დავდიოდით მე და ჩემი თანაგუნდელები. სპორტული დარბაზის გარეთ სახის გამოჩენა არ შეიძლებოდა. ქალთა ეროვნული ნაკრებს მწვრთნელად მამაკაცი გვყავდა, ამირან კომახიძე. თამაშებზე კი არა, ვარჯიშებზეც არ შემოუშვეს. კომახიძემ მოთამაშემწვრთნელად დამნიშნა და ჩვენმა ნაკრებმა ჩემი ხელმძღვანელობით ის ტურნირი მოიგო...*

*სპორტსმენობის გამო ხშირად მიწევდა უცხოეთში რამდენიმე დღით წასვლა. საოჯახო საქმეს ვასწრებდი, მაგრამ კერძების მომზადება არ ვიცოდი. დედას ვთხოვდი მასწავლე-თქო, მაგრამ ერთსა და იმავეს მიმეორებდა - ამხელა ქალი ხარ მე რა გასწავლო, დააკვირდი რომ ვაკეთებ და ისწავლი, მეც ასე ავითვისეო... მალე გავთხოვდი. მეუღლეს და მე შემწვარი კარტოფილიც გვეყოფოდა, მაგრამ მამამთილი გვეწვია. გადავწყვიტე ტოლმა გამეკეთებინა. მომზადების წესზე ზოგადი წარმოდგენა კი მქონდა, მაგრამ დეტალურად არ ვიცოდი. დედაჩემს დავურეკე და ვთხოვე, ამიხსენი როგორ გავაკეთო-თქო... დედაჩემმა მოკლედ მომიჭრა, ბურთი აიღე ქვაბში ჩააგდე და მოხარშეო... (იცინის)... შევეცადე და იმ საღამოს ტოლმა გავაკეთე... ცუდი ნამდვილად არ გამომსვლია“.*

სპორტსმენობამ ელენე არაბული ერთხელ უკვე გადაარჩინა გაძარცვას: *„როცა მოქმედი სპორტსმენი ვიყავი შტანგითაც ვვარჯიშობდი. მწვრთნელი გვეუბნებოდა ისე ძლიერები უნდა იყოთ, ორ კაცს მაინც რომ გაუმკლავდეთო... ავადმოსაგონარი წლები ყველას გეხსომებათ, ქუჩაში დღისით-მზისით დაყაჩაღებები რომ იყო. გლდანში, შვილთან ერთად ვიყავი, მარიამი მაშინ 3 წლისა იყო. ავტობუსს ველოდებოდი. ერთი უცნობი შეეცადა ოქროს ძეწკვი მოეგლიჯა. მკლავით დავიჭირე, მინაზე დავანარცხე და იმდენი ვურტყი, დავასისხლიანე... პატარა მარიამს შეეშინდა, მისმა კივილმა გამომაფხიზლა და შევეშვი“...*

აი, ასეთია სპორტსმენისა და დედის, დედისა და სპორტსმენის ცხოვრების შტრიხები. ელენე არაბული დღესაც ამაყობს სპორტული კარიერით... ხელბურთელებში მისი კუმირები **ალექსანდრე ანპილოგოვი, ამბერკი ტაბიძე, ჯულია კასიანი, ელზა მერაბიშვილი** არიან. ფეხბურთიდან კი **კახა კალაძეს, შოთა არველაძეს, ლევან კობიაშვილსა** და **რობერტო კარლოსს** გამოარჩევს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რიო ფერდინანდმა ჟოზე მოურინიო სერ ალექსის ერთ-ერთ შესაძლო მემკვიდრედ დაასახელა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ეშმაკებისა და რონალდოს ახალი რომანი

## მოურინიო, ფერგის პოტენციური მემკვიდრე?

„ნიუს ოფ ზე უორლდის“ ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ **კრისტიანო რონალდოს** ახალ კონტრაქტზე მუშაობა დაასრულა და ის პორტუგალიელის მენეჯერებს გაუგზავნა. ახალი შეთანხმების თანახმად, რონალდოს ანაზღაურება კვირაში 200 ათასი გირვანქა გახდება. შეგახსენებთ, რომ ამჟამინდელი ხელშეკრულებით, ფეხბურთელი „სულ რაღაც“ 120 ათასს გამოიმუშავებს. დღევანდელი კონტრაქტი 2012 წლამდეა ძალაში. პირენეელი ვარსკვლავი პრემიერლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. ამჟამად ეს სტატუსი „მანჩესტერ სიტის“ ბრაზილიელ ვარსკვლავ **რობინიოს** ეკუთვნის. ის კვირაში 160 ათას გირვანქას შოულობს. „ოლდ ტრეფორდზე“ იმედი აქვთ, რომ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს ახალი შეთანხმება საბოლოოდ აალებინებს ხელს „რეალში“ გადასვლის ოცნებაზე. გეტყვით, რომ კონტრაქტზე მუშაობა იანვარში დაიწყო და მოლაპარაკებათა პირველი რაუნდიც მაშინ გაიმართა.

„იუნაიტედის“ ცენტრალურმა მცველმა **რიო ფერდინანდმა** ინტერვიუ მისცა ინგლისურ პრესას, სადაც მან სერ **ალექს ფერგიუსონის** შესაძლო მემკვიდრეებზე ილაპარაკა და მათ შორის პორტუგალიელი **ჟოზე მოურინიოს** კანდიდატურა დაასახელა. *„მსოფლიოში ძალიან ცოტა მწვრთნელი მეგულება, რომელსაც ფერგიუსონის შეცვლა ძალუძს. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ჩვენი დამრიგებელი არ ფიქრობს პენსიაში გასვლაზე, ყველანი ვხვდებით, რომ ეს დღე თანდათან ახლოვდება. მოურინიოს მთავარი პლუსი მისი ტალანტი და ქარიზმაა. ის იმ კატეგორიის სპეციალისტებში გადის, რომლებიც კლუბის პოლიტიკას თავად განსაზღვრავენ და რომელთაც შეუძლიათ წესების დამკვიდრება,“* - განაცხადა ფერდინანდმა.

უკვე გაცნობეთ, რომ „ეშმაკების“ ბრაზილიელმა ვარსკვლავმა **რაფაელ და სილვამ** ტერფის ტრავმა მიიღო. გამოკვლევამ აჩვენა, რომ მას, მინიმუმ, ერთთვიანი იძულებითი შვებულება ელის. სამხრეთამერიკელმა დაზიანება წინა შაბათს, „ბლექბერნთან“ მატჩში მიიღო. „ინტერთან“ საჩემპიონთალიგო მატჩში მარჯვენა მცველად **ჯონ ოშიმ** ითამაშა. შეგახსენებთ, რომ რაფაელი სამკვირიანი პაუზის შემდეგ ახლახან ჩადგა მწყობრში. მას იანვრის ბოლოდან მუხლის ტრავმა აწუხებდა. ძმის გაჭირვებამ შეიძლება უახლოეს მომავალში ძირითადისკენ გზა გაუხსნას რაფაელის ტყუპისცალ **ფაბიო და სილვას**, რომელსაც აქამდე ძირითად გუნდში ერთადერთხელ უთამაშია. მართალია, ის ამპლუით მარცხენა მცველია, მაგრამ მას ორივე ფეხით თამაში ეხერხება და წესით, პრობლემა არ უნდა შეექმნას. „მანჩესტერის“ დუბლებში ბოლო შეხვედრაში ფაბიო სწორედ მარჯვენა ფლანგზე ათამაშეს. მან დაკისრებულ ამოცანებს თავი ღირსეულად გაართვა. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს „ეშმაკების“ კიდევ ორ განაპირა მცველს, **გარი ნევილსა** და **ვეს ბრაუნს**. შესაბამისად, 18 წლის ფაბიოს თამაშის საშუალება, სავარაუდოდ, მართლა მიეცემა.

აქვე გაგაცნობთ ერთ ინფორმაციასაც, რომელიც „იუნაიტედის“ სატრანსფერო გეგმებს ეხება. მოგეხსენებათ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ **კარლოს ტევესი** სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს. ფერგიუსონს მისი შემცვლელის შეძენა მოუწევს. ინგლისელი ჟურნალისტების მტკიცებით, შოტლანდიელმა თვალი დაადგა „შტუტგარტისა“ და გერმანიის ნაკრების 23 წლის თავდამსხმელ **მარიო გომესს**. შვაბური კლუბის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ უცხოეთიდან ფეხბურთელით უზარმაზარი დაინტერესებაა და სარფიანი წინადადების მიღების შემთხვევაში გომესს აუცილებლად გაასხვისებენ. მანშაფტის წევრის გადაბირება მანკუნიანელებს 23-25 მილიონი ევრო დაუჯდებათ. თავად გომესი გავრცელებულ ხმებზე კომენტარს არ აკეთებს. გეტყვით, რომ მიმდინარე სეზონში გომესმა 13 გოლის გარდა სამი საგოლე გადაცემა მიითვალა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ჩელსი

# რაიკაარდი ჩელსიში?

## ტერი არისტოკრატთა ისტორიის ნაწილია

„ნიუს ოფ ზე უორლდის“ ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუკი **გუუს ჰიდინკი** ლონდონში სამუშაოდ არ დარჩება, მის ადგილს „ბარსას“ ექსთავკაცი **ფრანკ რაიკაარდი** დაიკავებს. გამოცემა რაიკაარდს დაუკავშირდა და მისგან კომენტარი ითხოვა, რაზეც მწვრთნელისგან თავაზიანი უარი მიიღო. ტაბლოიდი უფრო შორსაც წავიდა და აღნიშნა, რომ ჰიდინკსა და რაიკაარდს შორის შედგა ხანგრძლივი სატელეფონო საუბარი, რა დროსაც ჰიდინკი უმცროს კოლეგას აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობაში არწმუნებდა. „ნიუს ოფ ზე ვორლდის“ მტკიცებით, რაიკაარდი მოლბა და „ჩელსისთან“ მოლაპარაკებას დათანხმდა. როგორც ჩანს, თავად ჰიდინკს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ლონდონის დატოვება. ის **რომან აბრამოვიჩს** მემკვიდრის ძიებაში ეხმარება. შეგახსენებთ, რომ რაიკაარდმა პირველი სამწვრთნელო პრაქტიკა სწორედ ჰიდინკთან მუშაობისას მიიღო - 1998 წელს, საფრანგეთში გამართულ ჩემპიონატზე ფრანკი სწორედ მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა. ინგლისურ გაზეთს მხარს უბამს გერმანული „შპორტ 1“, რომელიც წერს, რომ ჰიდინკი „ჩელსიში“ დარჩება და სპორტული დირექტორის ფუნქციებს შეითავსებს.

„არისტოკრატთა“ ახალმა დამრიგებელმა ვარსკვლავები უკვე მოხიბლა. აი, რას აცხადებს „სანდი მირორთან“ ინტერვიუში **მიხაელ ბალაკი**: *„ჰიდინკმა ფეხბურთელებს საკუთარი ძალების რწმენა გაგვიღვივა. დიდი სურვილი გვაქვს, შემდგომი სეზონისთვისაც ის დარჩეს ჩვენს მწვრთნელად. თუმცა მისი მდგომარეობის დელიკატურობა ყველას გვესმის და პატივს ვცემთ“.*

„ჩელსის“ კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** გუნდის ისტორიაში სამუდამოდ დაიდო ბინა. ბოლო ტურის შეხვედრაში „უიგანის“ წინააღმდეგ მან თავისი რიგით 35-ე გოლი გაიტანა და ამით ლონდონური კლუბის ყველა დროის ყველაზე შედეგიანი მცველი გახდა. წინა მიღწევა **პიტერ სილეტის** ეკუთვნოდა, რომელიც „არისტოკრატთა“ ღირსებას გასული საუკუნის 50-იან წლებში იცავდა.

ფრანგულ პრესასთან საუბარში ნახევარმცველმა **ფლორან მალუდამ** აღნიშნა, რომ სეზონის ბოლოს კარიერის სხვა კლუბში გაგრძელებას შეეცდება. შეგახსენებთ, რომ ფრანგი „ჩელსიში“ 2007 წელს გადაბარგდა. კლუბმა მის ტრანსფერში 13.5 მილიონი გირვანქა გადაიხადა, თუმცა მან დღემდე ვერ შეძლო ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ქცეულიყო. *„რეგულარულად თამაში მინდა. კიდევ სამი თვე მაქვს, რათა სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრო, თუკი ეს ასე არ მოხდა, ჩემს მომავალზე აუცილებლად დავფიქრდები. გავრცელდა ხმები, რომ ჩემით „იუვენტუსია“ დაინტერესებული. „იუვე“ უდიდესი კლუბია, მაგრამ დღეს არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი. ამჟამად ისინი ლიგაში ჩვენი მოწინააღმდეგეები არიან და ამიტომ“*, - განაცხადა მალუდამ.

**შალვა ბიბილაშვილი**



ფრანკ რაიკაარდი

ტრანსფერი

# ბარსა რიბერის უმიზნებს!

## შეთავაზება მზადაა: 30 მილიონი და გლები

რამდენ ხანს დარჩება **ფრანკ რიბერი** „ბაიერნში“? ეს არავინ იცის. ფაქტი ის არის, რომ 25 წლის ფრანგ დრიბლიორს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. გაირკვა, რომ რიბერი „ბარსელონას“ სასურველ ფეხბურთელთა სიაში მოწინავე ადგილზეა. მეტიც, კატალონიელებს უკვე მზად აქვთ წინადადება, რომლითაც მიუნხენურ კლუბს მიმართავენ. ამ ინფორმაციას ესპანური „ელ მუნდო დეპორტივო“ ავრცელებს.

ხსენებული გამოცემის მტკიცებით, „ბარსა“ მზადაა, „ბაიერნს“ რიბერის სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო და 27 წლის **ალექსანდერ გლები** შესთავაზოს. აღსანიშნავია, რომ გლების გადაბირება ბავარიელებს შარშანაც უნდოდათ და მიუნხენელთა გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** არც ახლა მალავს, რომ ზაფხულში ბელორუსის შეძენა უნდა. თავის დროზე გლები კატალონიელებმა 15 მილიონად იყიდეს. ჩვენი ესპანელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ „ბარსელონა“ რიბერის ოთხწლიან კონტრაქტს და ყოველწლიურად 5 მილიონ ევროს სთავაზობს. საინტერესოა ფრანგი ფეხბურთელის აგენტ **ალან მილიაჩოს** განცხადება:

*„თუ რიბერი „ბაიერნიდან“ წავა, მაშინ მხოლოდ ისეთ კლუბში, როგორიც „ბარსელონაა“. მისი ტრანსფერი მარტივად განსახორციელებელი ნამდვილად არ იქნება, რადგან „ბაიერნს“ რიბერის გაყიდვა არ უნდა. ვფიქრობ, ორივე კლუბის ხელმძღვანელები უნდა დასხდნენ და ისაუბრონ“.*

მილიაჩო იმასაც ამბობს, თუ „მანჩესტერ იუნაიტედი“ **კრისტიანო რონალდოს** გაყიდის, ზუსტად ვიცი, რომ **სერ ალექს ფერგიუსონი** რიბერის შესაძენად ყველაფერს გააკეთებსო.

**გოტფრიდ ლენცი**



თეო უოლკოტს 18 ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია

არსენალი

# პრობლემა ფსიქოლოგიაშია

## უოლკოტმა ვარჯიში განაახლა

„არსენალმა“ ჩემპიონატში ზედიზედ მეოთხე უგოლო ფრე ითამაშა („ვესტ ჰემი“, „ტოტენჰემი“, „სანდერლენდი“, „ფულჰემი“), რამაც **არსენ ვენგერიც** კი კინალამ მწყობრიდან გამოიყვანა. *„არსებობს უამრავი მიზეზი, თუ რატომ ვთამაშობთ ასე უნიათოდ. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ფსიქოლოგიური არამდგრადობა მგონია. როდესაც საქმე ფეხბურთელების გონებაშია, ამას ყველაზე გამართული ტაქტიკითაც ვერ უშველი. არ ვფიქრობ, რომ მიზეზი ჩვენი ტრავმირებული თავდამსხმელები არიან. როდესაც ყველა ჯანმრთელი იყო, ანალოგიური პრობლემა მაშინაც გვქონდა. ჩემს გუნდს უბრალოდ დაავიწყდა გოლის გატანა და ამის ახსნა შეუძლებელია. იცით, რა მაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს? უსიამოვნება მუდმივად ვერ გაგრძელდება და უახლოეს მომავალში ჩვენ ისევ ვიპოვით მეტოქეთა კარის გასაღებს,“* - განუცხადა ჟურნალისტებს ფრანგმა სპეციალისტმა.

ვენგერმა დაადასტურა, რომ **თეო უოლკოტმა** უკვე დაიწყო სრულფასოვანი სავარჯიშო პროცესი. ის უკვე გუნდთან ერთად გადის საწვრთნელ პროცესს. შეგახსენებთ, რომ 19 წლის ფეხბურთელი ნოემბრის შემდეგ უქმობდა. თეომ მხრის ტრავმა გერმანიასთან ამხანაგური შეხვედრის წინადღეს მიიღო. საექიმო შტაბი თავდამსხმელის მწყობრში ჩადგომას თებერვლის ბოლო კვირაში გეგმავდა, მაგრამ მათი პროგნოზი არ გამართლდა. პრესა ვარაუდობს, რომ ვენგერი შეგირდს დღეს, „ვესტ ბრომვიჩთან“ მატჩის განაცხადში შეიყვანს. აქვე გეტყვით, რომ მსუბუქ ვარჯიშებს უკვე შეუდგა **სესკ ფაბრეგასი**, თუმცა სასურველ კონდიციებში დასაბრუნებლად მას ორიოდე კვირა კიდევ დასჭირდება.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიზისი მილანში





# ვინ დაჯდება მილანის სკამზე?

## პრესამ ანჩელოტი უკვე გაათავისუფლა

„მილანი" ღრმა კრიზისშია და ამაზე მასმედია ღიად საუბრობს. მართალია, „როსონერის" მესვეურები სიტუაციის დრამატიზებას ერიდებიან და ცდილობენ, ვითარება არცთუ მუქ ფერებში დახატონ, მაგრამ რეალობას ვერსად გაექცევიან. გუნდი, რომელმაც სეზონის წინ სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე მეტად იაქტიურა, თებერვლიდან მოყოლებული ფაქტობრივად უმოტივაციო და ხელმოცარულია. „მილანი" იტალიის თასს ნაადრევად გამოეთიშა, იგივე მოხდა უეფას თასის შემთხვევაშიც, რაც გულშემატკივრებმა განსაკუთრებულად მტკივნეულად აღიქვეს. რაც შეეხება სერია A-ს, „მილანი" მესამე ადგილზეა და ლიდერ „ინტერს", მთელი 12 ქულით ჩამორჩება. „როსონერის" ყველაზე ოპტიმისტ ქომაგებსაც კი აღარ სჯერათ, რომ „შავ-წითლებს" თანაქალაქელთა დაწევა ჯერ კიდევ შეუძლიათ.

ტიფოზები კლუბის მესვეურებისგან გადამჭრელი ზომების მიღებას ითხოვენ, რაშიც, პირველ რიგში, მთავარი მწვრთნელის გამოცვლა იგულისხმება. მადლობა და ნახვამდის **კარლო ანჩელოტის**, ეს არის ის, რასაც მილანისტები **სილვიო ბერლუსკონისა და ადრიანო გალიანისგან** ითხოვენ. სენიორ ადრიანოს „სამპდორიასთან" განცდილი მარცხის შემდეგ დანა პირს არ უხსნიდა. თუმცა გუშინ პრესის დაწოლას ველარ გაუძლო და კარლეტოს მოხსნა-არმოხსნის საკითხზე კომენტარი გააკეთა: *„გუნდის თამაშით და შედეგებით ისევე ვარ გაწბილებული, როგორც ნებისმიერი გულშემატკივარი. 2009 წელი ძალიან ცუდად დავიწყეთ, რისი ახსნაც მიჭირს. წავაგეთ დერბი, გამოვვარდით უეფას თასიდან და ფაქტობრივად დავკარგეთ სკუდეტოს მოპოვების შანსი. არ მინდა პესიმისტი გეგონოთ, მაგრამ ფაქტია, რომ „ინტერს" ძალიან ჩამოვრჩით. რაც შეეხება ანჩელოტის, მისი გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში ჯერჯერობით არ დამდგარა. თუ გუნდი სერია A-ც სამეულში მოხვდება, კარლეტო გუნდში დარჩება და ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას. თუ რეგრესი გაგრძელდა და გუნდმა პოზიციები კიდევ დათმო, ზომებს აუცილებლად მივიღებთ".*

იტალიელი ჟურნალისტების მტკიცებით, ვითარება სხვაგვარია და ანჩელოტის წასვლის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. კარლო „მილანს" სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს და ადგილს სხვა სპეციალისტს დაუთმობს. თუ პრესას დავუჯერებთ, „როსონერის" მესვეურებმა ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგეს. „გაძეტაზე" დაყრდნობით შეგვიძლია გაცნობოთ, რომ მოლაპარაკებები დაწყებულია **ფრანკ რაიკაარდთან** და სავარაუდოდ, სწორედ ის იქნება ანჩელოტის შემცვლელის ყველაზე რეალური კანდიდატი. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა „ბარსელონაში" წარმატებულად იმუშავა და თანაც, „მილანში" შემთხვევითი კაცი ნამდვილად არ გახლავთ. ფრანკი 1988-93 წლებში სწორედ „როსონერიში" ასპარეზობდა და გუნდთან ერთად არაერთი ტიტულიც მოიგო. რაიკაარდზე დიდი მოთხოვნაა და მასთან შეთანხმება „მილანის" ხელმძღვანელებს კონკურენციის პირობებში მოუწევთ. აქედანვე ცნობილია, რომ ჰოლანდიელის საკუთარ გუნდში ხილვა **რომან აბრამოვიჩს** სურს. „ჩელსის" ამჟამად დროებითი მწვრთნელი ჰყავს, **ჰიდინკი** არისტოკრატებს სეზონის ბოლოს დატოვებს და მისი შემცვლელის ძიება ლონდონში რამდენიმე თვით ადრე დაიწყეს.

დავუბრუნდეთ „მილანს" და ორიოდე სიტყვა სხვა კანდიდატებზეც ვთქვათ. რაიკაარდთან ერთად, განიხილება კიდევ ორი ვარიანტი. საუბარია **რობერტო დონადონისა** და **მარკო ვან ბასტენზე.** ფრანკის მსგავსად, ეს ფეხბურთელებიც ძველი მილანელები არიან და გუნდის ისტორიაში დიდი კვალიც დატოვეს. დონი ამჟამად თავისუფალია და ახალ შეთავაზებებს განიხილავს. ორი აზრი არ არის, რომ მილანელთა წინადადებას ბევრი ფიქრის გარეშე დათანხმდება და მშობლიურ გუნდს უსიტყვოდ ჩაიბარებს. რაც შეეხება მარკოს - ამჟამად „აიაქსს" წვრთნის და როგორც რამდენიმე დღის წინ განაცხადა, გუნდიდან წასვლაზე არც კი ფიქრობს. თუმცა „მილანის" შეთავაზებაზე უარის თქმა რომ იოლი საქმე არაა, ცხადზე ცხადია. თანაც, საქვეყნოდ ცნობილია სილვიო ბერლუსკონისა და **მარკო ვან ბასტენის** განსაკუთრებულად ახლო ურთიერთობა. ერთი სიტყვით, თუ იტალიურ პრესას დავუჯერებთ, ანჩელოტის საქმე წასულია, მისი მემკვიდრე კი ერთ-ერთი ძველი მილანელი იქნება.

ინფრასტრუქტურა

# სად არის გამოსავალი?

ევროტურნირებში სერია A-ს გუნდების წარუმატებელმა ასპარეზობამ იტალიაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ჟურნალისტები და ექსპერტები გამოსავალს ეძებენ და ანალიტიკურ წერილებსაც აქვეყნებენ. „კორიერეს" პოზიცია კი ასეთია: რეგრესი გაგრძელდება მანამ, სანამ იტალიური ფეხბურთის მამები ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ სერიოზულ ნაბიჯებს არ გადადგამენ. ეს ეხებათ როგორც კლუბების მმართველებს, ასევე იტალიის ფეხბურთის ფედერაციას. გუშინ „კორიერეში" საინტერესო სტატია გამოქვეყნდა, რომელიც სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა.

განვითარებული ინფრასტრუქტურა, კომფორტული სტადიონები და შესაბამისად, სავსე ტრიბუნები - მთავარი გარანტია იტალიური საკლუბო ფეხბურთის ძველ სიმაღლეზე დასაბრუნებლად. ალბათ, გახსოვთ ის დრო, როდესაც აპენინური გუნდები ევროტურნირებზე ბატონობდნენ, სერია A კი აშკარად ყველაზე ძლიერი ლიგა გახლდათ ბებერ კონტინენტზე. სწორედ ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ჩამორჩა იტალია სხვა დიდ ევროპულ ქვეყნებს და ამან განაპირობა პოზიციების მკვეთრი დათმობა. მაშინ, როდესაც აპენინელები ფეხბურთელებში კოლოსალურ თანხებს იხდიდნენ, სხვაგან არენების და ბაზების რეკონსტრუქციით იყვნენ დაკავებულნი. ერთი თვალის გადავლებაც კმარა იტალიურ სტადიონებზე, რომ ვითარების სიმძიმეში უმალ დარწმუნდეთ.

ამ კუთხით არის გარკვეული ძვრები და ეს უკვე პოზიტივია, თუმცა იტალიამ პრობლემის მოგვარების ყველაზე სწრაფი და ეფექტური შანსი ხელიდან ამ რამდენიმე ხნის წინ გაუშვა - ეს გახლდათ ევრო 2012-ის მასპინძლობის უფლება. აპენინელთა შანსები საკმაოდ ძვირადაც ფასობდა, მაგრამ უეფამ არჩევანი აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებზე, უკრაინასა და პოლონეთზე შეაჩერა. იტალიელები ფარ-ხმალს არ ყრიან და ევრო 2016-ის მასპინძლობაზე აპირებენ განაცხადის შეტანას. მოვუსმინოთ ფედერკალჩოს პრეზიდენტს, **ჯან კარლო აბატეს:**

*„დღესაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ევროპის უმაღლესმა საფეხბურთო ორგანომ მცდარი გადაწყვეტილება მიიღო. უკრაინა და პოლონეთი არ არიან მზად უმასპინძლონ ასეთ მსხვილ საერთაშორისო ტურნირს. უეფა ცდილობს, გამოვიდეს ამ რთული მდგომარეობიდან და მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად აპირებს ჩართვას. ეკონომიკური კრიზისის ფონზე აღმოსავლეთევროპელები მარტო ვერაფერს გახდებიან და მათ სხვების დახმარება დასჭირდებათ. ჩვენ კი საორგანიზაციო საკითხებში პრობლემა არ შეგვექმნებოდა და პირველობას იდეალურად ვუმასპინძლებდით. ევრო 2012-ის მასპინძლობას ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ეს იქნებოდა იდეალური, მოკლე დროში გაწერილი პროექტი. თუმცა დანებებას არ ვაპირებთ და უახლოეს პერიოდში უეფაში ახალ განაცხადს შევიტანთ. ჩვენი მიზანი ევროპის 2016 წლის პირველობის მასპინძლობა იქნება და იმედი მაქვს, ამჯერად მაინც მივაღწევთ მიზანს. 9 მარტამდე განაცხადი ევროპის უმაღლესი საფეხბურთო ორგანოს ოფისში იქნება, შემდეგ კი სპეციალურ კომიტეტს შევქმნით, რომელიც ამ მიმართულებით აქტიურად იმუშავებს".*

ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ცალკეულმა კლუბებმაც უნდა იზრუნონ და ამით საერთო საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანონ. სასიკეთო ძვრები ამ კუთხითაც შეინიშნება. მარტო ის რად ღირს, რომ ორ ქალაქში სრულიად ახალი, ევროპული სტანდარტების საფეხბურთო არენები შენდება - ორივეს მშენებლობა 2012 წელს დამთავრდება. ადრეც გამცნეთ და გავიმეორებთ, რომ ახალი სტადიონები „ფიორენტინასა" და „იუვენტუსისთვის" იქნება განკუთვნილი. ორივე არენა ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით კეთდება და 40 000 გულშემატკივარზე იქნება გათვლილი. ტურინში მიმდინარე სამუშაო პროცესებზე „იუვეს" გენერალური დირექტორი, **ჯოვანი კობოლი ჯილი** საუბრობს:

*„ახალი სტადიონის მშენებლობას ჰოლანდიური ფირმა უძღვება და მინდა აღვნიშნო, რომ მიმდინარე სამუშაოებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ტენდერში სწორედ მათ გაიმარჯვეს, წარმოგვიდგინეს რა თანამედროვე, ევროპული სტანდარტების სტადიონის მაკეტი. ახალი არენის საჭიროება დიდი ხანია არსებობს და ბედნიერი ვარ, რომ ამ პრობლემას სულ მალე გადავჭრით. ტურინის „იუვენტუსი" ნამდვილად არ არის იმ კალიბრის გუნდი, რომ მის თამაშებზე მხოლოდ 20 ათასმა ტიფოზმა იაროს. ქომაგი მეთორმეტე ფეხბურთელია და ეს კარგად გვაქვს გაცნობიერებული. ინფრასტრუქტურის განვითარების გარეშე იტალიური ფეხბურთი წინ ვერ წავა და ამ საქმეში ჩვენც ვმონაწილეობთ. იმედი გვქონდა, რომ ევრო 2012 ჩვენს ქვეყანაში ჩატარდებოდა და ეს პრობლემა გაცილებით მარტივად მოგვარდებოდა, თუმცა ასე არ მოხდა და გეგმები წყალში ჩაგვეყარა. მიუხედავად ამისა, ფარ-ხმალი არ დაგვიყრია და ალტერნატიული გამოსავალი მოვძებნეთ. ახალი არენა გააადვილებს ყველა იმ პროცესს, რომელშიც კლუბი მონაწილეობს. ეს ეხება სატრანსფერო საკითხებსაც, გაცილებით იოლია მაღალი კლასის ფეხბურთელის გადაბირება, როდესაც გუნდს თანამედროვე არენა აქვს".*




სერია A-ს დონის ამაღლებაზე, აპენინური გუნდების გაძლიერების აუცილებლობაზე პრესაში ხშირად წერენ და გზებსაც გვთავაზობენ, თუმცა „კორიერეს" ჟურნალისტის პოზიცია ყველაზე საინტერესოდ მოჩანს. მართლაცდა, ინფრასტრუქტურის განვითარების გარეშე, კალჩოს წინსვლა ფაქტობრივად წარმოუდგენელია. იდეალური საფეხბურთო გარემო, მომავალი წარმატებების მთავარი საწინდარი იქნება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ინტერვიუ · კრისტიანო რონალდო

# მწვერვალზე დარჩენა მინდა

## პორტუგალიელი ვარსკვლავი მინდორზე დაამტკიცებს, ვინ უფრო ძლიერია

**„მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა კრისტიანო რონალდომ რამდენიმე დღის წინ პრესკონფერენცია გამართა, რომლის ძირითადი თემა სულ სხვა რამ უნდა გამხდარიყო („ნაიკის" მიერ საგანგებოდ მისთვის შეკერილი ბუცების პრეზენტაცია), მაგრამ საბოლოოდ ის დაჰყვა ჟურნალისტების ნებას და საკუთარ ცხოვრებაზე, მიზნებზე დაწვრილებით ილაპარაკა. მაშ ასე, იქიდან გამომდინარე, რომ პრესკონფერენცია ხანგრძლივი გამოდგა, გთავაზობთ მის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს.**

**- სულ რამდენიმე წუთის წინ დასრულდა ბუცების პრეზენტაცია. რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ის თქვენთვის შეკერეს?**

- მას შემდეგ, რაც 6-7 წლის გავხდი, სხვისი ბუცებით არ მითამაშია. ვიყენებ მხოლოდ ჩემთვის შეკერილს. თუმცა ის, რაც ახლა „ნაიკმა" ჩემთვის შექმნა, ყველასგან გამორჩეულია, ბუცები ბევრად უფრო მსუბუქია და ახლა უფრო სწრაფად შემეძლება სირბილი.

**- სპორტულ ფეხსაცმელზე თუ გაქვთ რაიმე სპეციალური ნიშანი?**

- განსაკუთრებული არაფერი - „კრ7" - ანუ ინიციალები და სათამაშო ნომერი.

**- თავდამსხმელები ბუცებს უფრო ხშირად იცვლიან ვიდრე, მაგალითად, მცველები. რატომ?**

- სიმართლე გითხრათ, მეჩვენება, რომ ფეხბურთელები, ამპლუის მიუხედავად, ერთნაირად ცდილობენ კომფორტული სპორტული ფეხსაცმლის მორგებას.

**- საჯარიმოს დარტყმამდე განსაკუთრებულ რიტუალს ასრულებთ - ჩერდებით, ფეხებს განზე ადგამთ, აკეთებთ პაუზას და გარბიხართ. რა საჭიროა ეს?**

- ეს ჩემი სტილია. ყველა ფეხბურთელს აქვს თავისი აკვიატებული მანერა. ასე მომზადების შემდეგ რამდენიმე გოლი უკვე გავიტანე, მათ შორის რამდენიმე ძალზე ლამაზი.

**- „ინტერთან" შეხვედრაში ვერ გაიტანეთ - ვერც საჯარიმოდან, ვერც თამაშიდან...**

- საბოლოო შედეგით გაკვირვებულები დავრჩით. მასპინძლები თავის შანსს კონტრშეტევაზე ეძებდნენ, ჩვენ კი - შეტევაში. პირველ ტაიმში გატანის შესანიშნავი შესაძლებლობები გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. მეორე ტაიმში კი კიდევ უფრო დიდი უპირატესობა გვქონდა. აუცილებლად უნდა გაგვეტანა. გულნატკენი დავრჩი, რადგან შანსი მართლა არსებობდა. არა უშავს. ყველაფერი ჩვენს ხელშია. თანაც „ოლდ ტრეფორდზე" გულშემატკივარი ჩვენს მხარეს იქნება.

**- როგორ ფიქრობთ, როგორ წარიმართება საპასუხო შეხვედრა?**

- ბუნებრივია, თამაში ძალზე პრინციპული იქნება. ჩვენ გოლის გატანა გვმართებს. სიმართლე თუ გაინტერესებთ, მიმაჩნია, რომ მატჩს აუცილებლად მოვიგებთ.

**- „ინტერის" თავკაცი ჟოზე მოურინიო ინგლისელი გულშემატკივრებისთვის ბევრს ნიშნავს...**

- მისი პერსონა, ეს თამაშის ნაწილია. ის ძალზე რეკლამირებული ადამიანია. პატივს ვცემ, მაგრამ მინდორზე აუცილებლად დავუმტკიცებ, ვინ უფრო ძლიერია.

**- თქვენს წინააღმდეგ ითამაშებს ზლატან იბრაჰიმოვიჩი, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი. ის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზეც თქვენი მოწინააღმდეგეა. როგორ აფასებთ მას?**

- „ინტერს" გაუმართლა, რომ მას ზლატანი ჰყავს. ფეხბურთელმა გუნდს უამრავი ტიტული მოუტანა.

**- მასთან ერთად „ნაიკის" სარეკლამო რგოლში მონაწილეობდით. კლიპში ერთმანეთს ეჯიბრებოდით. ვინ უფრო სწრაფი აღმოჩნდა?**

- რა თქმა უნდა, მე (იცინის)! ისე, ამის დადგენა ცოტა ძნელია. ერთი რამის თქმა კი დანამდვილებით შემიძლია - ჩვენ ორი იქ ყველაზე სწრაფები ვიყავით.

**- შეგიძლიათ, ჩემპიონთა ლიგის სათამაშო ტემპი პრემიერლიგისას შეადაროთ?**

- ძნელი სათქმელია. ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ტურნირებია და თამაშებიც ერთმანეთისგან განსხვავებული გამოდის. ჩემპიონატში არაერთი თვე ვასპარეზობთ, ლიგაში კი პლეი ოფის ეტაპზე ყველაფერი მყისიერად ხდება, წააგებ, წადი სახლში და დაისვენე! შესაბამისად, ბევრად უფრო მეტს ვნერვიულობთ.

**- ბოლო წელიწად-ნახევარი თქვენთვის საოცრად მდიდარი აღმოჩნდა ტიტულების თვალსაზრისით. რომელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?**

- ყველა! დამიჯერეთ, სიმართლეს გეუბნებით, ყველა ტიტული ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ბავშვობაში ხომ იმაზე ვოცნებობდი, რომ ერთი ტიტული მაინც მომეგო... მშვენიერია, როცა აცნობიერებ, რომ ბევრი რამე გაქვს მოგებული. კიდევ არაერთი ტიტულის მოგებას ვისურვებდი.

**- რომელია თქვენი შემდეგი მიზანი? იქნებ ცოტა მოეშვათ?**

- დარდიმანდული ცხოვრების დიდი ტრფიალი არ გახლავართ. ჯერ ახალგაზრდა ვარ და ძალები საკმარისად მაქვს იმისთვის, რომ ყველაფრის მოსაგებად ვიბრძოლო. დღევანდელ დღემდე დიდი გზა გამოვიარე. ახლა მწვერვალზე დარჩენა მინდა. მინდა, დიდხანს შევინარჩუნო კარგი ფორმა.

**- ინდივიდუალური ღირსებებით თქვენი მთავარი ფავორიტი ალბათ ლიონელ მესია. შეიძლება თქვენი შედარება?**

- თვალს ვადევნებ არგენტინელის კარიერას და ვიცი, რომ ამჟამად ის კარიერის პიკშია. მესი შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენი შედარება შეუძლებელია. საერთოდ არ მიყვარს, როცა ვილაცას მადარებენ.

**- პრიმერადივიზიონის მიმდინარე გათამაშებაში მესიმ რამდენიმე გამაოგნებელი ბურთი გაიტანა. როგორ ფიქრობთ, რომელი იყო თქვენი საუკეთესო გოლი?**

- ამის თქმა ძნელია. ალბათ „ასტონ ვილასთან" „ოლდ ტრეფორდზე". სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. ვარჯიშებზე ლამაზ გოლებს ხშირად ვიტან - გადამწყვეტ დარტყმამდე სამ-ოთხ მცველს ვატყუებ ხოლმე. იმედია, ოდესმე თამაშის დროსაც გამომივა.

**- თქვენ ამ წუთას არა მარტო ფეხბურთელი, კარგი სავაჭრო ბრენდიც ხართ. მილიონობით გულშემატკივრის კერპი ბრძანდებით. ისინი თქვენს ყოველ ნაბიჯს გულისყურით ადევნებენ თვალს.**

- ვიცი, რომ მუდმივად ვილაც მითვალთვალებს, მაგრამ ვცდილობ, ამაზე არ ვიფიქრო. მხარში მიდგანან მეგობრები, ოჯახი. სწორედ მათი წყალობით ვპოულობ მოტივაციას.

**- იმდენი ადამიანი არა, მაგრამ არის გულშემატკივართა მასა, რომელიც ვერ გიტანთ. როგორ ახერხებთ ამასთან გამკლავებას?**

- მიყვარს, როცა მისტვენენ. ვფიქრობ, რომ ეს ნორმალური რეაქციაა. ყოველ შემთხვევაში, ამის წინააღმდეგ ვერაფერს ვილონებ. მისტვინონ რამდენიც უნდათ. რა მნიშვნელობა აქვს? მე მხოლოდ გუნდზე და მის ინტერესებზე ვარ კონცენტრირებული.

**- თქვენდამი ზიზღი იგრძნობა არა მხოლოდ გულშემატკივართა, არამედ მოწინააღმდეგე გუნდების ზოგიერთი ფეხბურთელის მხრიდანაც.**

- საერთოდ ნებისმიერი მეტოქის მცველისთვის მომხიბლავი მიზანი ვარ. არის რალაცები, რომელსაც ვერსად გავექცევი. თუმცა არასდროს შემიმჩნევია, რომ ვინმე სპეციალურად განეზრახა ჩემთვის ტრავმის მოყენება. მადლობა ღმერთს, ამ მხრივ ჯერჯერობით სერიოზული პრობლემები არ მქონია.

**- ეს პერიოდი „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" თავისუფლად შეიძლება ისტორიული აღმოჩნდეს. ყველა ტურნირში სადაც კი მონაწილეობთ, ფავორიტებად მიიჩნევით.**

- არ დაგიმალავთ, გვინდა ყველაფერი მოვიგოთ. წინა სეზონში ჩვენ დუბლი შევასრულეთ, ახლა მზად ვართ, პოკერისთვის ვიბრძოლოთ.

**- უკვე ამდენი რამე მოიგეთ... ნებით თუ უნებლიეთ ჩნდება შეკითხვა: კიდევ გჭირდებათ ახალი მიღწევები?**

- გამარჯვებებით არასოდეს ვიღლები. „მანჩესტერში" თამაში, მაძლევს გარანტიას, რომ კიდევ ბევრს რამეს მოვიგებ და ეს ჩემში ბედნიერების განსაკუთრებულ განცდას ბადებს. ვიცი, რომ შემიძლია მოვიგო ნებისმიერი ტურნირი, სადაც კი ვთამაშობ. ყოველი გამარჯვების შემდეგ კი ჩვენ უფრო ძლიერები ვხდებით.

**- აი, პორტუგალიის ნაკრები კი ამგვარ გარანტიას ვერავის აძლევს. რა ხდება გუნდის თავს?**

- ბოლო ხანს ცუდად ვთამაშობთ. შეუძლებელია, გუნდი სულ ბრწყინვალედ გამოიყურებოდეს. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ სწორი მიმართულებით ვვითარდებით. უახლოეს მომავალში ისევ დავიბრუნებთ ძველ ფორმას. ჩვენ უძლიერესი შემადგენლობა გვყავს და სხვანაირად ვერც მოხდება. დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს ჩეპიონატზე აუცილებლად მოვხვდებით.

**- ჟურნალისტი რომ იყოთ, ინტერვიუს ვისგან აიღებდით?**

- კარგი შეკითხვაა. ვფიქრობ, ეუსებიოსგან.

**- ეუსებიო თქვენი კერპია?**

- ერთ-ერთი კერპია.

**- როცა მანჩესტერში საცხოვრებლად ნახვედით, ჯერ კიდევ თინეიჯერი იყავით. ადაპტაცია ძნელი იყო?**

- ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი იყო, რადგან მივატოვე ოჯახი, მეგობრები, მშობლიური გარემო. არადა, ეს ყველაფერი ჩემთვის ყოველთვის დიდი მოტივაცია იყო. ყველაფერ ამასთან შეგუება ძალზე ძნელი გამოდგა. თანაც, სულ სხვა სტილის ფეხბურთთან შეგუება მიწევდა. ოჯახში ხშირად ვრეკავდი და ცხარე ცრემლით ვტიროდი. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ინგლისში ცხოვრებამ გამზარდა როგორც ფეხბურთელი და როგორც ადამიანი.

**- რას ურჩევდით იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფებიან?**

- ხანდახან ცხოვრება ძალზე დიდ გამოცდებს გვიმზადებს, მაგრამ თუკი ადამიანი თავდადებით იმუშავებს და ცხოვრების მიერ ბოძებულ შანსს ბოლომდე ჩაებლაუჭება, აუცილებლად გახდება ის, რაზეც პატარაობისას მხოლოდ ოცნებობდა.

**- როგორ ახერხებთ ფეხბურთისგან დასვენებას?**

- ისევე, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი. ვსტუმრობ მეგობრებს, მათთან ერთად დავდივარ რესტორნებში, ვუყურებ კინოს. რა თქმა უნდა, ყოველთვის არ გამოდის ჩვეულებრივად, ადამიანურად დასვენება. ამიტომ, ვაკეთებ იმას, რის საშუალებასაც ჩემი პროფესია და სოციალური სტატუსი მაძლევს.

**- იოჰან კრუიფმა ცოტა ხნის წინ „იუნაიტედის" ისტორიაში ყველა დროის უდიდეს ფეხბურთელად დაგასახელათ. ეთანხმებით თუ არა ლეგენდარულ ჰოლანდიელს?**

- „იუნაიტედის" ისტორიაში მოხვედრა უკვე დიდი პატივია, მაშინ, როცა შენ ბესტისა და ლოუს გვერდით გაყენებენ, უნებურად ფიქრობ იმაზე, თუ რამდენად გაგიმართლა. მსგავსი შეფასება ჩემთვის მოულოდნელობა იყო.

**- ვინ არის „იუნაიტედში" თქვენი საუკეთესო მეგობარი?**

- არც კი ვიცი. შემიძლია დავასახელო ანდერსონი, ფაბიო და როდრიგო. ყველასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს.

**- ვინ იქნებოდით თუ არა ფეხბურთელი?**

- ალბათ მხატვარი (იცინის). ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს. ფეხბურთი იმდენად მიყვარს, რომ ამაზე არასოდეს მიფიქრია.

**- რა სტილის მუსიკას უსმენთ ყველაზე ხშირად?**

- მიყვარს ბრაზილიური მუსიკა, მაგალითად, ივეტე სანიალო. რამე თუ გსმენიათ მასზე? მიყვარს რომანტიკული მუსიკა, მაგალითად ჯორჯ მაიკლი და ელტონ ჯონი.

**შალვა ბიბილაშვილი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

იურგენ კლინსმანი

# ვგრძნობ, ამ სეზონში ძალიან გავიხარებთ!

„ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი ამბობს, კრიტიკის ქარცეცხლმა, რომელიც იურგენ კლინსმანს ბოლო კვირებში თავს დაატყდა, მასზე ძალიან იმოქმედაო. კლინსი ემოციური პიროვნებაა და არც არის გასაკვირი, კრიტიკა ძალიან რომ აღელვებს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა გერმანიის ნაკრების დამრიგებელი იყო, საყოველთაო კრიტიკა მასზე ყოველთვის უდიდეს გავლენას ახდენდა. ასეა ახლაც. თუმცა წინა კვირას, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ მატჩში ლისაბონის „სპორტინგის“ განადგურებამ (5:0 პორტუგალიაში) კლინსმანს ვითარება დიდად შეუმსუბუქა. მაგრამ რეკორდმაისტერს ბუნდესლიგაში ცუდად მისდის საქმეები, რის გამოც იურგენმა შვებით ვერა და ვერ ამოისუნთქა. კვირას მიუნხენელებმა ათკაციან „ვერდერთან“ მხოლოდ 0:0 გაახერხეს და მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდნენ. კლინსმანს „ბილდ ამ ზონთაგის“ კორესპონდენტი გაესაუბრა.



**- ჰერ კლინსმან, ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნი“ ძალიან კარგად გამოიყურება, ბუნდესლიგაში კი უსახური გუნდია. რატომ?**

- არც მთლად ასეა საქმე. „ბაიერნმა“ ბუნდესლიგაშიც რამდენიმე ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა. სამწუხაროდ, გერმანიის პირველობაზე რამდენიმე შეხვედრაში უაზროდ დავკარგეთ ქულები.

**- 0:1 „ჰამბურგთან“, 1:2 ბერლინში, 1:2 „კიოლნთან“ და ახლა 0:0 „ვერდერთან“. არ გეჩვენებათ, რომ ეს უკვე ნამეტანია?**

- „ჰამბურგთან“ მეორე ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ. ბერლინში და „კიოლნთან“ კი მართლაც ამაზრზენად გამოვიყურებოდით, რაც, ჩემი აზრით, ზედმეტი თავდაჯერების ბრალია. სწორედ ამის გამო დავისაჯეთ ამ ორ მატჩში. იმედი მაქვს, რომ ფეხბურთელებმა უკვე გაითავისეს ყველა ის შეცდომა, რაც ხსენებულ მატჩებში იქნა დაშვებული. „ვერდერთან“ მატჩიც გარკვეულწილად ფინალი იყო, მაგრამ დღეს ამ მატჩში მიღწეული ფრით ტრაგედიას არ ვქმნი, რადგან კონკურენტებმაც დაკარგეს ქულები. ამიერიდან ბუნდესლიგაში ერთი ქულის დაკარგვის უფლებაც კი აღარ გვაქვს. მერე მოდის გერმანიის თასის მატჩი ლევერკუზენში, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა. ამიერიდან ყველა მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მინდა, რომ ეს ფეხბურთელებმაც გაიგონ. იმედი მაქვს, რომ ამის შემდეგ რეკორდმაისტერი ყველა თამაშში თავის ნამდვილ სახეს წარმოაჩენს.

**- გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ლისაბონური მატჩის წინ ფეხბურთელებმა თვითონ გადაწყვიტეს დაცვითი ტაქტიკით თამაში. ამას გარდა, ამბობენ, კლინსმანი შეგირდებს ტაქტიკაზე ძალიან იშვიათად ავარჯიშებს და ზოგადად გუნდში ამ მხრივ სერიოზული პრობლემააო...**

- ეს აბსოლუტური სისულელე და ტყუილია. ტაქტიკის ყველა ელემენტი კარგად გვაქვს დამუშავებული. გაითვალისწინებენ თუ არა ფეხბურთელები ჩემს რჩევა-დარიგებებს, ეს უკვე დისციპლინარული საკითხია. მე მათ ყველაფერს ვეუბნები, რაც მოედანზე უნდა გააკეთონ.

**- რაც შეეხება მოედანს მიღმა დასამუშავებელ საკითხებს?**

- მაქსიმალურად ვცდილობ, რომ არაფერი გამომეპაროს. ჩემი ფეხბურთელებისგან მე იმასაც მოვითხოვ, რომ გარკვეულ საკითხებზე თვითონ წამოიწყონ დისკუსია. ძალიან მიხარია ხოლმე, როცა ვუყურებ, როგორ არიგებს თანაგუნდელებს ფილიპ ლამი.

**- არსებობს მოსაზრება, რომ როცა გუნდი იგებს, ეს ყოველთვის ფეხბურთელების დამსახურებაა, წაგება კი ყოველთვის მწვრთნელის კისერზე გადადის ხოლმე. თქვენც ასე ფიქრობთ?**

- ჰო, ალბათ ასეა, რადგან ამის ბევრი მაგალითი არსებობს. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ დაიწერა, გერმანიის ნაკრების ტაქტიკას იოახიმ ლიოვი განსაზღვრავდა, სხვები საორგანიზაციო საკითხებზე მუშაობდნენ, იურგენ კლინსმანი კი მხოლოდ მოტივატორი იყოო. ეს სისულელეა! რაც უნდა იყოს, გერმანიის ნაკრებში ორი წლის განმავლობაში ვიმუშავე და საფუძველი ჩავუყარე სისტემას, რომელიც დღესაც წარმატებულია. ამ რვა თვის განმავლობაში „ბაიერნშიც“ ძალიან ბევრს მივაღწიე, მაგრამ რატომღაც ამას ვერავინ ხედავს.

**- რამდენად გაბრაზებთ ხოლმე საჯარო კრიტიკა და მოსაზრებები იმის შესახებ, რომ მწვრთნელად არ ვარგიხართ?**

- ცხადია, ყოველთვის ძალიან სამწუხაროა ის, რომ საჯაროდ გამოთქმული მოსაზრებები სინამდვილეს არ შეესაბამება. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მე ჩემი გზიდან გადავუხვიო. ჩემპიონთა ლიგაში შესანიშნავად ვთამაშობთ და ვფიქრობ, ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება ვერავის ექნება. დღეს ჩვენს შესახებ უკვე მთელი ევროპა ლაპარაკობს. მერვედფინალის პირველი რაუნდის შემდეგ ყველას ერთი კითხვა უტრიალებს თავში: რა შეუძლია „ბაიერნს“ რეალურად? ჩვენ ყველასათვის ანგარიშგასაწევი ვართ.

**- ამბობენ, მომავალი სეზონისთვის კლინსმანის გადაბირება „მანჩესტერ სიტის“ უნდაო...**

- მართლა? ეს ნამდვილად არ ვიცოდი. იცით, მე ყოველთვის ვეუბნები ფეხბურთელებს, რომ მათზე მოთხოვნა დღითი დღე იზრდება, რაც იმის დამსახურებაა, რომ „ბაიერნი“ ამ სეზონში კარგად გამოიყურება. თუმცა მოთამაშეებს ყოველთვის ვახსენებ იმას, რომ ისინი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში თამაშობენ, რომელსაც ფინანსური პრობლემები არ აქვს და ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. მე რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2010 წლამდე მაკავშირებს და ჩემი სამსახურით ძალიან კმაყოფილი ვარ.

**- როგორც აქტიური სპორტული კარიერის დროს, ისე გერმანიის ნაკრების მწვრთნელობისას, თქვენ ყოველთვის წინასწარ იღებდით გადაწყვეტილებებს მომავალზე. ახლაც ასეა?**

- ახლა ყველაზე მთავარი ის არის, რომ ეს სეზონი რომელიმე ტიტულით ხელდამშვენებულებმა დავამთავროთ. სეზონის დასრულების შემდეგ კი დავსხდებით და დავილაპარაკებთ. შევეხებით ყველა თემას, გავაანალიზებთ, რა იყო კარგი და რა ცუდი. მერე კი ერთად გამოვიტანთ დასკვნას.

**- ამას წინათ თქვით, კრიზისი მონდომებას მიათმაგებსო. როგორ გავიგოთ ეს? ღამით არ გძინავთ?**

- არა, ასე ნამდვილად არ არის, მაგრამ როცა საქმეები კარგად ვერ მიგდის, მუდმივად ამაზე ფიქრობ. ყველა ადამიანს ასე ემართება და გამონაკლისი არც მე ვარ. როდესაც საღამოს 9 საათზე სავარძელში ვზივარ და საინტერესო ფილმს ვუყურებ, სრულად კონცენტრირებას ვერ ვახერხებ და ჩემი ფიქრები მაინც „ბაიერნისკენაა“ ხოლმე მიმართული.

**- ხანდახან ხომ არ ფიქრობთ, რომ შეცდომა დაუშვით, როცა კალიფორნიიდან წამოხვედით და „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობას დათანხმდით?**

- არა, ასეთი აზრი ერთხელაც კი არ მომსვლია. ჩემი სამსახურით უაღრესად კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება ოჯახს: ჩვენ მიუნხენში თავს იდეალურად ვგრძნობთ, ყველა პატივს გვცემს, ყველას ვუყვარვართ. ჩემი ბავშვებიც შესანიშნავად არიან, თავისუფალ დღეებში მთაში მივდივართ და ვისვენებთ ხოლმე. კალიფორნია ოდნავადაც არ გვენატრება. მხოლოდ იქაური ამინდი თუ მომენატრება ხოლმე – სხვა არაფერი.

**- როგორ ფიქრობთ, „ბაიერნის“ ხელმძღვანელები ჯეროვნად გიდგანან მხარში თუ ზედმეტად გაკრიტიკებენ?**

- ული ჰიონესი, კალე რუმენიგე და ფრანც ბეკენბაუერი, როგორც გუნდის ბოსები, ვალდებულებიც კი არიან, რომ ყველა ქვეშევრდომს კრიტიკულად შეხედონ და როცა გუნდს საქმეები ცუდად მისდის, მწვრთნელი და ფეხბურთელები აკრიტიკონ. როცა წარუმატებელი სერია გვაქვს, თვითონაც მაქსიმალურად ვცდილობ, რომ თვითკრიტიკული ვიყო. მოკლედ, იმის თქმა მინდა, კრიტიკა აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა. ამას ნებისმიერი მწვრთნელი უნდა შეეგუოს და არც მე მაქვს პრობლემა.

**- ბანალური, მაგრამ ძალიან საჭირო კითხვა: ახლა 2008 წლის ივლისი რომ იყოს და თქვენ წინასწარ იცოდეთ, რა მოჰყვება თქვენს თითოეულ გადაწყვეტილებას თუ ქმედებას, რას შეცვლიდით?**

- არაფერს! აბსოლუტურად ყველაფერს ისევ ისე გავაკეთებდი, რადგან არ ვფიქრობ, რომ რამეში შევცდი. ამ ხნის განმავლობაში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა და მეც ყოველთვის ვგრძნობ, რომ სწორ გზას ვადგავართ.

**- გეგმავთ თუ არა მომავალი სეზონისთვის საკადრო ცვლილებებს? გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსკოველი მარცხენა ნახევარმცველის, ჟირკოვის შეძენა გსურთ...**

- კონკრეტული გვარები ჩემთვის უცნობია, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენი სკაუტები ბევრ ფეხბურთელს აკვირდებიან. ამ ეტაპზე ჰიონესისა და რუმენიგესთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გაიგონ, რამდენად შორს წავა „ბაიერნი“ წელს ჩემპიონთა ლიგაში, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, როგორი შემოსავალი ექნება გუნდს მომავალი სეზონისთვის. ჩემპიონთა ლიგაში მოგებულ ყოველ შეხვედრას ხომ ფული მოაქვს. შესაბამისად, დაიგეგმება ჩვენი სატრანსფერო აქტივობებიც.

**- ანუ, რაც უფრო შორს წავა რეკორდმაისტერი, მით უფრო მეტი ფეხბურთელის გადმობირებას უნდა ველოდოთ?**

- ჯერ არ ვიცი, რამდენს ვიყიდით. არა მგონია, რომ ბევრი მოთამაშის ყიდვა საჭირო იყოს. ვფიქრობ, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდი ძალიან საინტერესო იქნება. პირველ რიგში, ფინანსური კრიზისის გამო. ფაქტია, რომ ბევრ კარგ ფეხბურთელს ფასი დაუვარდება. ჩვენც ამას ველოდებით.

**- „მანჩესტერ სიტიში“ რომ გადახვიდეთ, იქ შეიხები უპრობლემოდ ჩამოვლენ მილიონებს და თქვენც შეგეძლებათ ის მოთამაშეები იყიდოთ, რომლებსაც ხელს დაადებთ...**

- ჰო, მაგრამ მოედანზე მაინც 11 კაცი გადის...

**- „ბაიერნის“ შეფებთან ერთად ფეხბურთს ხშირად თამაშობთ და საინტერესოა, ამ დროს საქმეზე თუ საუბრობთ ხოლმე...**

- რა თქმა უნდა. ხშირი დისკუსია გვაქვს ხოლმე, იუმორით აღსავსე. ერთმანეთს ვეუხეშებით კიდეც. ჩემი თანაშემწე მარტინ ვასკესი ძალიან უხეში მოთამაშეა და არავის არაფერს აბედვინებს. ისე კი, უნდა აღინიშნოს, რომ სამწვრთნელო შტაბი ხელმძღვანელების შტაბს ყოველთვის ამარცხებს, უფრო სწორად, თითქმის ყოველთვის, რადგან ზოგჯერ ვუთმობთ ხოლმე. ისინი ხომ ბოსები არიან...

**გოტფრიდ ლენცი**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების =ISHRS= წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები. სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ბარსელონა

# კმარა კრიზისი!

## კატალონიური მედია გვარდიოლასა და ბარსას წინააღმდეგ

„ბარსელონა“ საკმაოდ მწვავე კრიზისმა მოიცვა. ეს ფაქტი უკვე ალარავისთვისაა დასამალი. 3 ტურში 8 ქულის გაფლანგვას სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა კრიზისი. ახლა გასარკვევი ის არის, ეს კრიზისი რამდენ ხანს გასტანს. სულ რალაც 2 კვირის წინ პრიმერა დივიზიონში პრაქტიკულად არანაირი ინტრიგა არ არსებობდა. ახლა კი ჩემპიონატში თითქმის ისეთივე თანასწორობაა, როგორც სეზონის დასაწყისში. თავად კატალონიელებიც ალიარებენ, რომ განსაკუთრებით გასული 10 დღე მათი კლუბისთვის ტოტალურად წარუმატებელი იყო. „კამპ ნოუზე“ „ესპანიოლთან“ წაგების შემდეგ პეპ გვარდიოლამ და მისმა ბიჭებმა ჩემპიონთა ლიგაშიც უსახურად ითამაშეს, თუმცა „ლიონთან“ იმდენი მაინც შეძლეს, რომ გასვლაზე გოლი გაიტანეს და მომდევნო ეტაპზე გასვლის ჩინებული შანსი შეინარჩუნეს. საფრანგეთში ჩატარებულ რთულ შეხვედრას პრიმერა დივიზიონში ისევ კრახით დასრულებული ორთაბრძოლა მოჰყვა.

„ატლეტიკოსთან“ ჩატარებულ მატჩს ტურის მიმოხილვაში საკმაო ყურადღება და დრო დავუთმეთ, მაგრამ „ბარსელონაში“ ახლა იმდენად მძიმე სიტუაციაა, საჭიროდ ჩავთვალეთ, თემა განვავრცოთ და უცხოელი ექსპერტების მოსაზრებებიც გაგაცნოთ. ერთი შეხვედვით, „ბარსას“ არაამქვეყნიური არაფერი მოსვლია. გუნდმა ფანტასტიკურად ჩატარებული მრავალი შეხვედრის შემდეგ წაიფორხილა და 2 თამაში წააგო, მაგრამ პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი უდიდესი ხიბლი ხომ უშელავათო კონკურენციაა. კატალონიელთა ჩავარდნა „რეალმა“ არაჩვეულებრივად გამოიყენა და ბოლო სამი შეხვედრის მოგებით ჰანდიკაპი მნიშვნელოვნად შეამცირა. „ბარსას“ უპირველესი მეტოქის ასეთი მზადყოფნა რომ არა, პრიმერა ინტრიგას ვერ დაიბრუნებდა. ამიტომ აუცილებელია, რომ ჩემპიონატის გამოცოცხლება არა მხოლოდ გვარდიოლას გუნდის წარუმატებელი მატჩებით, არამედ „რეალის“ შესანიშნავი თამაშითაც ავხსნათ.

„ბარსელონა“ „ვისენტე კალდერონზე“ საკმაოდ ცუდ დროს ჩავიდა. ეს გუნდი წელს დიდ გამარჯვებებს მიეჩვია. „ატლეტიკოსთან“ დაპირისპირება კი მაშინ მოუხდა, როდესაც ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემები გაუჩნდათ. ფაქტია, კატალონიურ გრანდს მიმდინარე სეზონში ასეთი მწვავე პრობლემები მანამდე არ შექმნიათ. სამეფო კლუბს კი **ხუანდე რამოსის** მოსვლის შემდეგ მხოლოდ ერთი შეხვედრა აქვს წაგებული. სხვათა შორის, მათ „კამპ ნოუზე“ გამართული სუპერკლასიკო დათმეს. უდავოა, რომ ხუანდეს მოსვლა გუნდს სასიკეთოდ წაადგა.

ბუნებრივია, „ბარსელონას“ 8 ქულა შემთხვევით არ დაუკარგავს. პრიმერაში ინტრიგის დაბრუნებას თავისი მიზეზი აქვს. სპეციალისტები მომხდარ ფაქტს სხვადასხვაგვარად აფასებენ. დღეს საშუალება გვაქვს ყველაზე ავტორიტეტული ესპანური გაზეთებისა და ექსპერტების შეფასებები შემოგთავაზოთ. „დიარიო სპორტი“ შექმნილ სიტუაციას მარტივად, ერთი სიტყვით აფასებს. ეს გაზეთი „ბარსელონას“ მდგომარეობას კრიზისს უწოდებს და ასეთ განმარტებას აკეთებს:

*„ის, რაც ახლა გვარდიოლას გუნდში ხდება, საკმაოდ ღრმა კრიზისის გამოხატულებაა. არავინ იცის, გუნდის დაცვას რა ეშველება. აქამდე შექმნილი ყველა პრობლემა პრაქტიკულად ამ რგოლის გაუმართავ თამაშს უკავშირდება. ბუნებრივია, მხოლოდ 4 ნომინალურ მცველს არ ვადანაშაულებთ. საქმე ის არის, რომ დაცვის უზრუნველყოფას მთლიანად გუნდი ვერ ახერხებს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალბათ შემტევი პოტენციალის შემცირებაა. როცა „ბარსა“ დიდი ძალებით და ეფექტურად უტევს, ვიქტორ ვალდესს არაფერი ემუქრება, მაგრამ საკმარისია, ლეო მესიმ, ტიერი ანრიმ, სამუელ ეტოომ და ნახევარდაცვის ბიჭებმა შეტევაში წარმატებებს ვერ მიაღწიონ, მცველებისგან მიტოვებული „ბარსას“ მეკარე ისეთ „საოცრებებს“ ჩადის, შესაძლოა, ადამიანი პირღია დარჩეს. „ატლეტიკოსთან“ ჩატარებული შეხვედრა კრიზისის არსებობის ფაქტს ნათლად ადასტურებს. თავად „როხიბლანკო“ რომ არ იყოს კრიზისში, გვარდიოლას ბიჭები „ვისენტე კალდერონზე“ 3 გოლს ვერ გაიტანდნენ. ფეხბურთელები, რა თქმა უნდა, მშვენივრად ხვდებიან, რომ საქმე გაურთულდათ და როგორც ჩანს, სიტუაციას სულსწრაფობით კიდევ უფრო ამძიმებენ. წარუმატებელ მატჩებში აშკარა და თვალხილული იყო, რომ გუნდი ჩქარობდა. სიჩქარეში უჩვეულოდ ბევრ შეცდომას უშვებდა. „ბარსას“ დინჯი, გააზრებული და კომბინაციური შეტევები ნაჩქარევმა მოუმზადებელმა იერიშებმა შეცვალა. წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შემტევი პოტენციალის შემცირება დავასახელეთ, მაგრამ მოგეხსენებათ, ფეხბურთში ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და შესაძლოა, ფორვარდების დაბალშედეგიანობა ისევ და ისევ დაცვის ბრალი იყოს. უკანა ხაზი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. „ბარსას“ ზურგი მოშიშვლებული აქვს და ძალიან ძნელია, ამ პირობებში თავდამსხმელებს ლალად შეტევა მოსთხოვო. ნახევარმცველებმა და ფორვარდებმა იციან, წინ დიდი ძალებით რომ წავიდნენ, კონტრიერიშისას საფრთხეს თავს ვერ აარიდებენ. ძნელი სათქმელია, პუიოლს, მარკესსა და სხვა ბიჭებს რა დაემართათ, მაგრამ ფაქტია, ისინი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებენ“.*

„ელ მუნდო დეპორტივოს“ მესვეტე **ხოსეპ მარია კასანოვასი** პრობლემას გვარდიოლაში ხედავს. კატალონიელმა ჟურნალისტმა გულშემატკივრების მიერ განდიდებული და ქებით ხოტბაშესხმული გვარდიოლა ხელის ერთი მოსმით მიწასთან გაასწორა:

*„ახლა ისეთი სიტუაციაა, როდესაც მთავარი მწვრთნელი კოლაფსში იმყოფება და არ იცის, რა უნდა გააკეთოს. ის ვალდებულია, მრავალმხრივი სამუშაო შეასრულოს. გვარდიოლამ შეძლო და „ბარსელონას“ სეზონის უდიდესი ნაწილი ულამაზესად ჩაატარებინა, მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა. ეს მოსალოდნელი იყო. მთავარ მწვრთნელს კი პრობლემების გამოსწორებისათვის საჭირო ხედვა არ გააჩნია ან უბრალოდ, არ იცის, გადაღლილი ფეხბურთელები როგორ მოამზადოს და ტაქტიკა როგორ გადააწყოს. შეუძლებელია, გუნდმა მთელი სეზონი ერთ დონეზე ჩაატაროს. პეპი კრიზისს აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა. ის წინასწარ უნდა მიმხვდარიყო, რომ სიტუაცია გართულდებოდა და ფეხბურთელები განსხვავებული მეთოდოლოგიით მოემზადებინა. ამ მარტივი გარემოების გაუთვალისწინებლობის გამო გუნდს კრიზისი მთელი სიმძიმით დაანვა. „ბეტისთან“ შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, გარდამავალი შეხვედრაც არ გვინახავს. კატალონიელები სამოთხიდან პირდაპირ ჯოჯოხეთში აღმოჩნდნენ. სიმართლე გითხრათ, „ბარსას“ სამომავლო პერსპექტივებს ეჭვის თვალით ვუყურებ. სირთულეების დაწყებიდან თითქმის სამი კვირა გავიდა, მაგრამ გვარდიოლა პრობლემის მოგვარების რეცეპტს ვერ პოულობს. ის ძალიან ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთის გრანდის მწვრთნელობისთვის ჯერაც გამოუცდელია. იმისათვის, რომ მწვრთნელმა ყველა ნიუანსი იცოდეს, რამდენიმე ათეული წელი უნდა იმუშაოს“.*

„ელ მუნდო დეპორტივოში“ კიდევ ერთი საინტერესო სტატია დაიბეჭდა სათაურით - „კმარა“. აი, ისიც:

*„ეს სიგიჟეა და სხვა არაფერი. მხოლოდ ჭკუიდან გადამდგარ ხალხს თუ შეუძლია 2 ბურთით დაწინაურების შემდეგ 3:4 წააგოს. „ბარსა“ ყოველდღიურად გვარწმუნებს, რომ დაცვაში თამაში არ ეხერხება. ასეთი შეცდომების დაშვება არათუ ყველაზე ამბიციური პრეტენზიების მქონე გუნდს, არამედ საშუალოზე დაბალი კლასის კოლექტივსაც არ ეკადრება. „ატლეტიკოსთან“ დაშვებული შეცდომები ერთბაშად უპასუხისმგებლობაზე, უდარდელობასა და სიზარმაცეზე მეტყველებს. პრაგმატიზმზე ალარაფერს ვამბობთ. გასაგებია, რომ „ბარსელონას“ ყველასაგან გამორჩეული ღირებულებები აქვს და ამას ყველგან და ყოველთვის ლამაზი ფეხბურთის თამაში ჰქვია, მაგრამ ცხოვრება ლამაზი ზღაპარი არ არის. ასეთ გუნდსაც უნდა შეეძლოს ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაში და საზოგადოების დემაგოგიური არგუმენტებით გაბრიყვება. გვარდიოლას ბიჭები თუნდაც დაცვაში რომ ჩაკეტილიყვნენ და „ვისენტე კალდერონიდან“ 3 ქულა წაელოთ, სენიორ პეპს ღირებულებების ღალატის გამო გულშემატკივრები მიკუბულ-მოკიბული საუბრით უნდა დაემშვიდებინა და 3 ქულის მოპოვებაზე გაემახვილებინა ყურადღება. ამ პრაგმატიზმის გარეშე თანამედროვე ფეხბურთში უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა შეუძლებელია. სხვათა შორის, თავად გვარდიოლამ აღიარა, რომ მან და მისმა ბიჭებმა თამაშის მოკვლა ვერ შეძლეს“.*



### პეპ გვარდიოლა: სიტუაცია გამოსწორდება

**გვარდიოლაზე იმდენი ვილაპარაკეთ, არ შეიძლება, რომ უშუალოდ მის შეხედულებებსაც არ გავეცნოთ. მადრიდში განცდილი მტკივნეული მარცხის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა:**

**- შეხვედრას როგორ შეაფასებთ?**

- „ატლეტიკომ“ არაჩვეულებრივი, შემტევი ფეხბურთი ითამაშა. ჩემი აზრით, მათ ნახევარდაცვაში გვაჯობეს და ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს. ორთაბრძოლა მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. ისინი უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ჩვენ ორი გოლი გავიტანეთ. ალბათ, სწორედ ასეთ შეხვედრებზეა ნათქვამი, მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდაო. ნებისმიერ წამს ნებისმიერი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. მოკლედ, დღეს გამარჯვების შანსი ორივე კლუბს ჰქონდა.

**- კი მაგრამ, თქვენ ხომ „ბარსელონას“ წარმოადგენთ. ორბურთიანი უპირატესობით დაწინაურების შემდეგ თამაში როგორ წააგეთ?**

- სხვათა შორის, ორი ბურთის გატანის შემდეგ ძალიან დავმშვიდდით და ჩვენი თამაში ვიპოვეთ. ბურთს აშკარად უკეთ ვაკონტროლებდით, მაგრამ შემდეგ რამდენიმე შეცდომა დავუშვით. გარკვეული დროის განმავლობაში თამაში მოვკალით, მაგრამ მთლიანობაში ამ ამოცანას თავი ვერ გავართვით. მიუხედავად ყველაფრისა, ფეხბურთელებს ვერაფერს ვუსაყვედურებ. მათ რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს. არსებობს, ეგრეთ წოდებული, გიჟური თამაშები, სადაც მართლაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მთავარია, რომ წინ სამთვიანი მარათონი გველოდება. გარწმუნებთ, ამ დროში პრობლემებს გამოვასწორებთ და უკეთ ვითამაშებთ. ის კი ნამდვილად სამწუხაროა, რომ „რეალს“ ჰანდიკაპის 8 ქულით შემცირების საშუალება მივეცით.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ გუნდი გადაიღალა?**

- არა. საკმარისია, გუნდმა რამდენიმე მატჩი ცუდად ჩაატაროს, სპეციალისტები თუ გულშემატკივრები მაშინვე დაღლილობაზე იწყებენ ლაპარაკს. არა მგონია, პრობლემა ამაში იყოს. მოდით, დეტალურად განვიხილოთ. „ბეტისთან“ 2 ქულა დავკარგეთ, მაგრამ ძალიან კარგი მომენტები შევქმენით. „ესპანიოლთან“ მსაჯმა ფეხბურთელი სრულიად დაუმსახურებლად გაგვიგდო და 1 საათი 10 კაცით ვიბრძოლეთ. „ატლეტიკოსთან“ მატჩს რაც შეეხება, ამ შეხვედრის სადავეებს არც ერთი გუნდი არ ფლობდა. რამდენიმე საკითხში მოვიკოჭლეთ და ამის გამო პრობლემები შეგვექმნა.

**- „ბარსელონას“ რა აკლია?**

- ადრე გოლები გაგვქონდა. ახლა კი მომენტებს ვაფუჭებთ. მოწინააღმდეგემ ჩამორჩენა შეამცირა. ამიტომ ახლა საუკეთესო მდგომარეობაში არ ვიმყოფებით, თუმცა გულშემატკივრები ჩვენს ნამდვილ სახეს არაერთხელ დაინახავენ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ფეხბურთელებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს.

**- ნერვიულობთ?**

- „ბარსელონა“ სწორი გზით მიდიოდა, თუმცა ლიანდაგს ავცდით. ახლა მთავარია, „ბარსა“ საკუთარ თავს დაემსგავსოს და თანაც, რაც შეიძლება, მალე. მე არასოდეს მითქვამს, რომ ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება იოლი ამოცანაა. პირიქით, ამ სიტყვების გამეორებით ძალიან დავიღალე. მშვენივრად მესმის, ახლა გულშემატკივრები ძალიან შეშფოთებულები და შეშინებულები არიან, მაგრამ მათ სანერვიულო არაფერი აქვთ. ჩვენ ისევ ლიდერები ვართ. ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს. ყველა პირობა და რესურსი გვაქვს იმისთვის, რომ სიტუაცია გამოვასწოროთ.

**- პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებთ?**

- „ბარსელონას“ მწვრთნელი მე ვარ და პასუხისმგებლობას თქვენ ხომ არ დაგაკისრებთ? რა თქმა უნდა, არ მსიამოვნებს, რომ წავაგეთ, მაგრამ მწვრთნელი გუნდის შედეგებზე პასუხისმგებლობას ვერასოდეს აირიდებს თავიდან.



ვარსკვლავი

# გაბითურებული შვიდეული

## რონალდომ და ნაიკმა კომპოსტელას ძველი გვარდია განარისხეს

ესპანეთში ძალიან საინტერესო ფაქტი მოხდა. რამდენიმე ხნის წინ **რონალდო** „ნაიკის“ ახალ სარეკლამო რგოლში გადაიღეს. კლიპის რეჟისორებმა ფენომენის დიადი წარსულიდან საუკეთესო კადრები ამოკრიბეს და მშვენიერი პროდუქცია შექმნეს. ბუნებრივია, ეს ხალხი რონალდოს კატალონიურ კარიერას გვერდს ვერ აუვლიდა. თუ „კიჭას“ მიერ „ბარსელონაში“ ჩატარებულ შეხვედრებს გავიხსენებთ, პირველ რიგში „კომპოსტელას“ წინააღმდეგ გამართული დაპირისპირება და მის მიერ გატანილი გენიალური გოლი ამოგვიტივტივდება. რონალდომ მაშინ თითქმის მთელი გალისიური გუნდი მოატყუა და ისტორიული ბურთი შეაგდო. მას შემდეგ თითქმის 13 წელი გავიდა, მაგრამ ის გოლი ისევ დიდი ამბების მიზეზი ხდება. საქმე ის არის, რომ „კომპოსტელას“ შვიდმა ფეხბურთელმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ისინი „ნაიკს“ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას სთხოვდნენ. ალბათ, იოლი მისახვედრია, რომ ეს ის 7 ფეხბურთელია, რომლებიც რონალდომ ერთმანეთის მიყოლებით გააბითურა და დაუვიწყარი ბურთი შეაგდო. ის ეპიზოდი რამდენჯერაც არ უნდა ნახოთ, გალისიელები იმდენჯერ შეგეცოდებათ. როგორც ჩანს, „შესანიშნავი შვიდეული“ დღემდე დამცირებულად გრძნობს თავს და „ნაიკის“ ახალმა სარეკლამო რგოლმა ძველი იარა ისევ უწუნდებურად აატკივა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „კომპოსტელას“ ბიჭები სასამართლოს უმტკიცებდნენ, რომ „ნაიკის“ მათი თანხმობის გარეშე ამ კადრის გამოყენების უფლება არ ჰქონდა. მოსამართლემ, ბუნებრივია, ამერიკული სპორტული ინვენტარის მწარმოებელი კომპანიის ადვოკატების არგუმენტებიც მოისმინა და ბოლოს გადაწყვეტილებაც მიიღო. მან ფეხბურთელების სარჩელი არ დააკმაყოფილა და „ნაიკს“ ჯარიმა არ დააკისრა. სასოწარკვეთილი შვიდეული ბედს არ ეგუება და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში აპირებს გადაწყვეტილების გასაჩივრებას. რონალდოს კი ეს ყველაფერი სასაცილოდაც არ ჰყოფნის. ბრაზილიელმა ფორვარდმა გაკვირვებით განაცხადა:

*„კი მაგრამ, მე „ნაიკის“ სახე ვარ და კომპანია ჩემ მიერ ჩატარებული შეხვედრების კადრებს იყენებს. არ მესმის, „კომპოსტელას“ ფეხბურთელები რას გვედავებიან. არ მინდა ვიფიქრო, რომ ისინი ჩემზე ისევ დაბოლმილები არიან. შევეჩერებინეთ, გოლის გატანის საშუალება არ მოეცათ და პრობლემაც არ იარსებებდა“.*

გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა

# პირადი და ამერიკის რეკორდი


მარიამ ქევხიშვილი

კენტუკის შტატის ქალაქ ლექსინგტონში მოასპარეზე **მარიამ ქევხიშვილმა** (შეგახსენებთ, რომ იგი ამერიკაში სწავლობს) საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე იმარჯვა. ჩვენმა სპორტსმენმა ბირთვი 17,94 მეტრზე გადააგდო, რითაც არა მარტო შტატის საუნივერსიტეტო ჩემპიონატი მოიგო, არამედ პირადი რეკორდიც გააუმჯობესა. და, რაც მთავარია, ეს შედეგი ამერიკის საუნივერსიტეტო სპორტის რეკორდიცაა დახურულ დარბაზებში. წლეულს მარიამმა ხუთჯერ იმარჯვა სხვადასხვა შტატის საუნივერსიტეტო ჩემპიონატში. 13-14 მარტს ჩვენი თანამემამულე ამერიკის საუნივერსიტეტო ჩემპიონატში იასპარეზებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# სტაიერები იორდანიას მიაშურებენ

წლეულს, მარტის მიწურულს, კროსში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება - ქალები 8, ვაჟები კი 12 კილომეტრს გაირბენენ. ამ შეჯიბრებისთვის, რომელსაც იორდანია უმასპინძლებს, მონდომებით ემზადებიან ქართველი სტაიერებიც — ვანელი **გიული დეკანაძე** და ფოთელი **ჯეირან ხოფერია**, რომლებმაც ამას წინათ საქართველოს ზამთრის ჩემპიონატშიც იყოჩაღეს — გიული 3 ათას მეტრზე, ხოლო ჯეირანი 1500 და 3 ათას მეტრზე რბენაში გახდა ჩემპიონი.

დეკანაძე 22 წლისაა, მძლეოსნობაში დიდი ხანია ვარჯიშობს **ვალერი როხვაძის** ხელმძღვანელობით. მოსწავლეობისას თანატოლებშიც გამოირჩეოდა შეჯიბრებებზე. უფროსებში ქვეყნის ჩემპიონი პირველად 2007 წელს გახდა — ერთბაშად ორ დისტანციაზე (3 და 5 მ) გაიმარჯვა. შარშანაც მსგავს წარმატებას მიაღწია. სლოვაკეთში ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე თანაგუნდელებთან ერთად VII ადგილი დაიკავა, თავად კი 15 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის 3 კილომეტრზე მეხუთე შედეგი აჩვენა.

ამავე შეჯიბრებაზე ჯეირან ხოფერიამ ორ სახეობაში იასპარეზა: 5 ათას მეტრზე რბენაში VII ადგილი ერგო, ხოლო სამი ათასი მეტრი წინაღობებით 9.58,0-წუთში დაფარა, რამაც მე -5 ადგილი მოუტანა.

ხოფერიამ სპორტული საქმიანობა ფეხბურთით დაიწყო: ოთხი წელიწადი ფოთის „კოლხეთი-2"-ის შემადგენლობაში გამოდიოდა. გუნდი რომ დაიშალა, მწვრთნელ **გივი ბუკიას** რჩევით, მძლეოსნობაზე გადმოერთო. ორი წელიწადია, სტაიერულ დისტანციებზე საქართველოში ტოლი არ ჰყავს.

— 12 კილომეტრი ერთხელ 40 წუთსა და 4 წამში დავფარე, — მითხრა ჯეირანმა. — ახლა უკეთეს სპორტულ ფორმაში ვარ და ვეცდები, მსოფლიოს ჩემპიონატზე პირადი შედეგი გავაუმჯობესო. პლანეტის უძლიერეს სტაიერებთან გაჯიბრება იოლი არ იქნება. პირველ ათეულში თუ მოვხვდები, ჩემთვის ეს დიდი წარმატება იქნება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი

# 500 ლიტრი საწვავით დაბრუნდნენ



ავტოსპორტში საქართველოს მე-17 ეროვნული ჩემპიონატი პირველ მარტს, კუს ტბაზე, ალმართის დაძლევის პირველი ეტაპით საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. სეზონი, რომელიც კვლავ "რომპეტროლის" სახელს ატარებს, წლეულს ახალი სპორტსმენებით, ახალი ავტომობილებითა და კლასებით დაამახსოვრებს თავს მაყურებელს. ქართველი მრბოლელები დაუვიწყარ და შთამბეჭდავ სანახაობებს გვპირდებიან.

პირველ ეტაპზე აბსოლუტკლასში ყველას აჯობა ცოლ-ქმარმა **გოგა არჯევანიძემ** და **ქეთი ბოჭოიძემ**, მათ სხვა პრიზებთან ერთად "რომპეტროლისგან" 500 ლიტრი საწვავი გადაეცათ. მეორე იყო **არჩილ ბიძინაშვილი**, მესამე - **მევლუდ მელაძე**.

იუნიორთა კლასში ადგილები ასე განაწილდა: 1. **დიმა ქობულია**, 2. **ლევან ქვარცხავა**, 3. **დავით ხელხელაური**.

კლასი 1600: 1. მევლუდ მელაძე, 2. **ოვანეს კოგოსოვი**, 3. **კახა ჩადუნელი**.

შემდეგ შეჯიბრებას (წყვილთა რბოლა), 8 მარტს, ეროვნული ავტოდრომი "რუსთავი" უმასპინძლებს.

ცხენოსნობა

ყრილობა

# ახალი პრეზიდენტი აირჩიეს

გუშინ გაიმართა ცხენოსნობის ეროვნული ფედერაციის ყრილობა, რომელმაც პრეზიდენტად **დავით კეზერაშვილი** აირჩია. პირველ ვიცე-პრეზიდენტად დაამტკიცეს **ლაშა ჯაიანი**, ვიცე-პრეზიდენტებად — **ზაზა ჩიტრეკაშვილი**, **ალექსანდრე დგებუაძე** და **გიორგი დანელია**, გენერალურ მდივნად — **ბაქარ გაჩეჩილაძე**.

## მილოცვა

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 89 წელს ულოცავს სპორტის ვეტერან მუშაკს აფხაზეთიდან ვარლამ გოგიას.**

სამთო-თხილამურობა

## იასონ აბრამაშვილი:

# ოლიმპიადაზე ოცეული კარგი იქნება

**ზამთრის ოლიმპიადამდე, რომელიც კანადურ ვანკუვერში გაიმართება, წელიწადზე ნაკლები რჩება. თუკი ვინმესი საოლიმპიადოდ გვეიმედება, მათ შორის ერთ-ერთი 20 წლის სამთო-მეთხილამურე იასონ აბრამაშვილია, რომელიც საქართველოს ნაკრების ლიდერია. იასონი ერთი კვირით იმყოფებოდა სამშობლოში, სადაც საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზა და ზედიზედ ოთხი სტარტი მოიგო, ევროპაში დაბრუნებამდე კი იგი რედაქციაში გვეწვია. ქვემოთ, მასთან ინტერვიუში გაეცნობით ჩვენში სამთო-სათხილამურო სპორტის პერსპექტივებს, პრობლემებს, ევროპაში საქართველოს ნაკრების უცნაურ მოგზაურობებს და ჩვენი სტუმრის საოლიმპიადო მიზნებს.**


იასონ აბრამაშვილი

**- მოდი, დავიწყოთ თავიდან...**

- ბაკურიანში სათხილამურო სკოლაში ბავშვობიდან დავდიოდი, თუმცა 10 წლამდე ამას სერიოზული სახე არ ჰქონდა. 11 წლის ვიყავი, როდესაც გერა აბრამიშვილმა ნაკრებში ამიყვანა, რადგან ბავშვებში საქართველოში ყველა სტარტი მოვიგე. სხვადასხვა ახალგაზრდულ საერთაშორისო ტურნირში გამოვდიოდი, 15 წლისამ კი უკვე საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ პროფესიონალი სამთო-მეთხილამურე გავმხდარიყავი.

**- თქვენს ბიოგრაფიაში უკვე არის ერთი ოლიმპიადა არცთუ ურიგო შედეგით...**

- 2006 წელს ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ვიასპარეზე. მაშინ სამთო-მეთხილამურეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ვიყავი. თავიდანვე დავისახეთ 30-ეულში მოხვედრა და მიზანს მივაღწიეთ - სლალომსა და გიგანტ სლალომში 29-ე და 31-ე ადგილები დავიკავე. მანამდე ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში, ბორმიოს მსოფლიოს თასზე მიასპარეზია, თუმცა ტურინის ოლიმპიადა ჩემთვის ჯერჯერობით ყველაზე დიდი ტურნირია, სადაც გამოვსულვარ.

**- წინ ვანკუვერია, ოლიმპიადამდე ბევრიც არაფერი რჩება...**

- ოლიმპიური ლიცენზია უკვე მოვიპოვე, 2010 წლის ოლიმპიადაზე ვანკუვერში სლალომში მივიღებ მონაწილეობას, თუ რა თქმა უნდა, იმ დროისთვის ჯანზე ვიქნები. ჩვენი სპორტის სახეობა ისეთია, რომ წინასწარ რამის დაგეგმვა ძნელია, თუმცა ჩემი მოსამზადებელი პროცესი ოლიმპიადამდე მთლიანად გაწერილია. ახლა, საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობის შემდეგ, ევროპაში დავბრუნდები და სეზონს იქ დავასრულებ, ზაფხულში შვეიცარიაში წავალ მოსამზადებლად. ჩემი უახლოესი ამოცანაა სარეიტინგო ქულები გავაუმჯობესო და მივიღო მონაწილეობა, რაც შეიძლება მეტ საერთაშორისო ტურნირში. წლეულს კიდევ 15 ტურნირში გამოვალ. ახლა რეიტინგში სამასეულში ვარ, მინდა სეზონი ორასეულში დავასრულო. ამიტომ „სითიზენის" ტურნირებში აღარ გამოვალ, მხოლოდ FIS-ის ეგიდით გასამართ შეჯიბრებებში ვცდი ბედს.

**- ვიცით, რომ ავსტრიაში ჩვენს ფედერაციას სახლი აქვს დაქირავებული და ნაკრები იქ ემზადება, მოგვიყევით, როგორია გუნდის ყოველდღიური ცხოვრება?**

- ავსტრიაში, ტიროლის მხარეში, ინსბრუკთან ახლოს, ჰინტერტექსის მყინვარზე სამსართულიანი სახლი გვაქვს დაქირავებული, რომლის ხარჯებსაც ფედერაცია და ჩვენი სპონსორები იხდიან. რომ არა ეს სახლი, ჩათვალეთ, ნაკრები არც გვეყოლებოდა და ვერც ტურნირებში მივიღებდით მონაწილეობას. ჩვენი სპორტის სახეობა ძალიან ძვირად ღირებულია, ინვენტარი ძვირია, სავარჯიშოდ თანხაა გადასახდელი... რომ არა ნაკრების თავკაცის, გერა აბრამიშვილის საოცარი კონტაქტები, ევროპაში ძალიან გაგვიჭირდებოდა. მაგალითისთვის, გერას დამსახურებაა, რომ ავსტრიის ფედერაცია ჩვენს ბაზაზე ვარჯიშისას არაფერს გვახდევინებს, უკვე მეექვსე წელიწადია გვემსახურება ავტობუსი, რომლითაც შეჯიბრებებზე დავდივართ, არადა ასეთ მომსახურებაში სხვები ფულს იხდიან, მწვრთნელს სხვადასხვა კურორტზე კარგი ნაცნობები ჰყავს და ზოგან სასტუმროს შეღავათს გვაძლევენ, ზოგან ტრასებს გვითმობენ.

ბაზაზე ნაკრების წევრი ოთხი ბიჭი და ერთი გოგონა, ნინო წიკლაური ვცხოვრობთ, ჩვენ, მწვრთნელის ჩათვლით. ერთი მეგობრული ოჯახი ვართ, ამიტომაც არ გვიჭირს. ჯაბა გელაშვილი, რომელიც 15 წლისაა, ინსბრუკთან ახლოს საქვეყნოდ ცნობილ სათხილამურო სკოლაში სწავლობს. ის ნაკრების წევრია, მაგრამ ჩვენთან ერთად ბაზაზე არ ცხოვრობს. შეჯიბრებებზეც ამ ავტობუსით დავდივართ. ეს, რა თქმა უნდა, მოუხერხებელია, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. შეჯიბრებამდე ერთი-ორი დღით ადრე ჩასვლას დიდი თანხები ესაჭიროება. ტურნირის დღეს დილით 4-5 საათზე ადგომა, ხშირად 200 კილომეტრის გავლა, ასპარეზობა და იმავე დღეს უკან დაბრუნება ძნელია, ეს შედეგებზეც ცუდად ისახება. კარგი იქნება ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა ამ პრობლემას თუ გადაგვიწყვეტს.

**- წლევანდელი სეზონი ძალიან კარგად დაიწყეთ, თქვენ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებებიც მოიპოვეთ...**

- მართლაც ჩინებული სტარტი გამომივიდა, ახალ წლამდე რეიტინგი 10-15 ქულით გავაუმჯობესე და რეიტინგში 400 საფეხურით წავედი წინ. 8 ტურნირში შევძელი საპრიზო სამეულში შესვლა. სამწუხაროდ, იანვარში გავცივდი და სეზონი ჩვეულად ვეღარ განვაგრძე.

**- ახლახან ვალ დ'იზერში მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზეთ, ალბათ მეტის მიღწევა შეგეძლოთ?**

- სამთო-სათხილამურო სპორტში გამართლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მსოფლიოს ჩემპიონატში საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში მე-6 (სლალომი) და მე-15 (გიგანტ სლალომი) ვიყავი. სლალომის ფინალური დაშვებისას სულ ორი კარი რჩებოდა, როცა წავიქეცი. არადა, ფინიშამდე რომ მიმეღწია 27-ე ან 28-ე ადგილზე გავდიოდი, რაც უდავო წარმატებაა. იმ დღეს მეთხილამურეთა უმეტესობა წაიქცა. ტრასა კარგად იყო მომზადებული, ზედმეტად გაყინული და ერთი უყურადღებობაც საკმარისი იყო გასავარდნად.

**- რას იტყვით თქვენს თანაგუნდელებზე?**

- ასეთი კარგი და შეკრული ნაკრები არასოდეს გვყოლია. მე ყველაზე უფროსი ვარ, ყველას პროგრესი აქვს, მათაც გააუმჯობესეს რეიტინგები. მივიჩნევ, რომ ნაკრების სხვა წევრებსაც კარგი პოტენციალი აქვთ. მე და ნინო წიკლაურს გვაქვს ვანკუვერის ლიცენზია, ვვარაუდობ, რომ კიდევ ორ ლიცენზიას მოვიპოვებთ.

**- საქართველოს ჩემპიონატში ოთხივე სტარტი მოიგეთ, აქ კონკურენციას ვერ გრძნობთ?**

- ცუდად არ გამიგოთ და გუდაურში და ბაკურიანში აქ მოვარჯიშე სპორტსმენებს არც ვეჯიბრებოდი, უფრო ნაკრების წევრთა შორის იყო კონკურენცია. ოთხივე სტარტის მოგებას კი გამართლების გარეშე ვერ შევძლებ.

**- თუ გამოჩნდნენ ტალანტები ამ ჩემპიონატზე?**

- სხვათა შორის, კი. გერა აბრამიშვილმა რამდენიმე პერსპექტიული ბავშვი შეამჩნია და დიდი სურვილი აქვს ისინი ზაფხულში ევროპაში წაიყვანოს.

**- როგორ ფიქრობთ, საქართველოში შეუძლებელია კარგი მეთხილამურე გაიზარდოს?**

- სამწუხაროდ, ასეა. თავი დავანებოთ იმას, რომ საერთაშორისო ტურნირებში გამოცდილება გადამწყვეტია. მეთხილამურეს გაზრდა თუ სურს ზაფხულშიც უნდა ივარჯიშოს, საქართველოში კი მყინვარიც არ გვაქვს საამისოდ. ასე რომ, შედეგის მიღწევა თუ გსურს აუცილებელია ევროპაში მოემზადო.

**- ქართველები თითქმის არ გამოდიხართ სწრაფდაშვებაში, ეს დისციპლინა რამდენადაც სანახაობრივია, იმდენად სარისკოა...**

- შიში არაფერ შუაშია, მერწმუნეთ, სწრაფდაშვებაში ვარჯიში ძალიან ძვირი ჯდება, შესაფერის მყინვარზე დღეში რამდენიმე საათი რომ ივარჯიშო, 500-1000 ევრო დაგიჯდება.

**- და მაინც, რას ისახავთ მიზნად ვანკუვერში?**

- ოლიმპიადაზე თხუთმეტეულში, ან თუნდაც ოცეულში მოხვედრას კარგ შედეგად ჩავთვლი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო

# ნაკრებით და ფულადი პრიზებით

ოლიმპიური ჩემპიონის, **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა 1993-1994 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა თბილისის პირველობა (მთავარი მსაჯი **გურამ მოდებაძე**), რომელიც, ფაქტობრივად, ამ ასაკში საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიც იყო. ტატამზე დედაქალაქის 220-მდე სპორტსმენი გამოვიდა. შეჯიბრებამ ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა ფალავანი წარმოაჩინა. სპეციალისტებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა 73 კილოში **ბაჩანა ტიტვინიძემ**, რომელმაც არა მარტო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიპყრო, არამედ ლამაზი ჭიდაობისთვის სპეციალური პრიზიც დაიმსახურა.

— შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება დედაქალაქის ნაკრები, რომელიც 13-14 მარტს ჭაბუკთა საქართველოს პირველობაზე იასპარეზებს, — გვითხრა თბილისის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა, ისანი-სამგორის გამგებელმა **თემურ გრიგალაშვილმა**. — ბიჭებს ყოველგვარი პირობა შევუქმენით, რომ ამ ტურნირისთვის ნორმალურად მომზადებულიყვნენ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო თბილისის მერიას და მის სპორტის სამსახურს, რომლებმაც შეჯიბრება დააფინანსეს, გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ფულადი ჯილდოები გადასცეს. წლეულს ივნისში ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის პირველობა გაიმართება. იმედია, თბილისელი მოჭიდავეები საქართველოს ნაკრებშიც დაიბევებენ ადგილს და უცხოეთშიც გვასახელებენ.

**კვარცხლბეკი**

50 კგ. 1. გიორგი საჩალელი, 2. გიორგი ნათათრალიშვილი, 3. ბექა შაყულაშვილი და ომარ ნიაზაშვილი.

55 კგ. 1. გიგა ბერიაშვილი, 2. ლექსო ნადირაშვილი, 3. ლუკა ჯაში და ლევან დადვანი.

60 კგ. 1. თომა თავზარაშვილი, 2. ტრისტან ფეიქრიშვილი, 3. გიორგი ტყემალაძე და ნოდარ იოსელიანი.

66 კგ. 1. ზვიად გერგედავა, 2. ლადო ავალიანი, 3. გოდერძი შაიშმელაშვილი და ბაჩანა თათარაშვილი.

73 კგ. 1. ბაჩანა ტიტვინიძე, 2. ბექა რატიანი, 3. დათო გაზდელიანი და საბა გოგოლაძე.

81 კგ. 1. გიორგი ქავთარაძე, 2. გიორგი ხოდელი, 3. გიორგი მაისურაძე და გივი ბალდავაძე.

90 კგ. 1. თორნიკე ოთინაშვილი, 2. გიორგი სეტიელი, 3. ბესიკ გალუსტაშვილი და გიორგი ნავერიანი.

მძიმეწონა. 1. ამბროსი კონკროშვილი, 2. ამბროსი ხუხუა, 3. ზურაბ გელაშვილი და გიორგი დაბრუნდაშვილი.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

ესპანეთის ჩემპიონატი

# სიცხიანი ნიკა ცქიტიშვილის 8 ქულა

**ნიკა ცქიტიშვილმა** "ფუენლაბრადასა" და "ესტუდიანტესს" შორის გამართული მადრიდული დერბი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო. იანვრის შემდეგ იგი ყოველთვის სასტარტო შემადგენლობაში ხვდებოდა და ნიკას ხუთეულში ვერმოხვედრის მიზეზი ვკითხეთ. აი, რა გვიპასუხა: *"მატჩის წინა დღეებში ტემპერატურამ ამიწია, უშუალოდ თამაშის დროსაც ვერ ვიყავი კარგად. ამიტომ მწვრთნელმა ხუთეულში არ დამაყენა და მხოლოდ 14 წუთი მათამაშა..."*

ცქიტოს 14 წუთი უქმად არ გაუტარებია. იგი მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით "ფუენლაბრადაში" ერთ-ერთი საუკეთესო იყო: ერთი ორქულიანი ზუსტად ისროლა, რასაც 3-დან 2 სამიანი მიაყოლა და 8 ქულა მოაგროვა.

გარდა ამისა, სკიტას ანგარიშზე თითო შეტევითი და დაცვითი მოხსნაა. რადგან მონაგარზე ვსაუბრობთ, დავძენთ, რომ "ფუენლაბრადას" რიგებში საუკეთესონი უკანახაზელები იყვნენ: **ოლესონმა** 29 ქულა ჩააგდო, ხოლო **ვალტერსმა** – 22. ვერც ერთი სხვა მასპინძელი 9 ქულას ვერ ასცდა.

თქვენი ყურადღება "ფუენლა"-"ესტუს" მატჩის მსვლელობაზეც უნდა გავამახვილოთ. **ვიქტორ სანიკიძის** ყოფილმა კლუბმა ცქიტიშვილის ამჟამინდელ გუნდს მესამე პერიოდში 20:8 მოუგო და გადამწყვეტი მეოთხედის წინ 10-ქულიანი უპირატესობა დაიბევა. სტუდენტებთან წაგება "ფუენლაბრადასთვის" პლეი ოფის ზონიდან მოშორებას უდრიდა. ამიტომ, მასპინძლებმა ძალების მობილიზება მოახერხეს და საფინალო სირენასთან ერთად ვალტერსის ორქულიანის შემდეგ ანგარიში გაათანაბრეს – ბურთმა "ესტუს" კალათზე ბევრი იტრიალა და... - 74:74.

ნიკას მაგალითიდანაც ჩანს, რომ "ფუენლაბრადას" კალათბურთელები სამქულიანებს კარგად ისროდნენ. მათ ოვერტაიმში სწორედ ოლესონის შორეული ტყორცნების წყალობით გატეხეს მეტოქე და 97:89 გაიმარჯვეს.

ზემოთაც გითხარით, რომ "ესტუდიანტესთან" თამაში "ფუენლაბრადასთვის" საპლეიოფო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო – მადრიდელებს 11 გამარჯვება მოუგროვდათ (11 მარცხის წილ) და მეცხრიდან მერვე ადგილზე აინაცვლეს. პლეი ოფში სწორედ საუკეთესო 8 გუნდი გადის. მერვედან მეცხრეზე ჩამოინაცვლა "მანრესამ", რომელსაც 11 მოგება და 12 წაგება უწერია.

მეშვიდე პოზიციაზეა **თორნიკე შენგელიას** "პამესა ვალენსია" (12 გამარჯვება, 11 წაგება). 24-ე ტურში ვალენსიელებმა შინ "უნიკახასთან" 79:83 დათმეს. შენგელიას არ უთამაშია.

"მენორკამ" გასვლაზე "სარაგოსასთან" წა... თუმცა, მენორკელთა რიგებში **ვლადიმერ ბოისა** აღარ თამაშობს. ჰოდა, ამიერიდან ამ გუნდის წაგებებზე ბალეარელებმა ინერვიულონ.

სანერვიულოზე რა მოგახსენოთ, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ საქართველოს ნაკრების გამთამაშებლის, **ტაირონ ელისის** "კახასოლი" საკუთარ თამაშს ვერ პოულობს და ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ბოლო, მე-17 პოზიციაზეა (4 მოგება, 18 მარცხი).

ბოლო ტურში სევილიელებმა სტუმრად ტაუ-სთან ვერაფერი გააწყვეს – 75:92. ჩვეულად ვერ გაისარჯა ტაირონ ელისიც, რომლის ოთხმა სამქულიანმა მიზანს ვერ უწია. 25 წუთში მან 4 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.



მარცხნივ - ნიკა ცქიტიშვილი

უკრაინის ჩემპიონატი

# ერთი ტყორცნა გმირობამდე

უკრაინული "კიევიდან" ლეგიონერების დათხოვნამ (**მანუჩარ მარკოიშვილის** გარდა) უარყოფითი შედეგი უკვე გამოიღო – დედაქალაქელებმა ჩემპიონატში მეორე მარცხი იგემეს – "აზოვმაშთან" 57:59 დათმეს. არადა, პირველ წრეში მარკოიშვილის თანაგუნდელებმა აზოვისპირელები მისსავე მოედანზე დაამარცხეს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ "აზოვმაშში" 7 ლეგიონერია, "კიევის" ორქულიანი წაგება შეიძლება საპატიოდაც მივიჩნიოთ. თუმცა მანუს დედაქალაქელთათვის გამარჯვების მოტანაც შეეძლო. მოდით, გადავხედოთ "კიევის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მატჩის მიმოხილვას და ის წინადადებები ამოვკრიფოთ, სადაც ქართული გვარია ნახსენები: *"თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ ლიდერების, მანუჩარ მარკოიშვილისა და არტურ დროზდოვის ჯერი დადგა. მოედანზე დაბრუნებისთანავე მათ ეფექტური "ალეი უპი" შეასრულეს. მეოთხე პერიოდის ბოლოს აზოვმაშელმა რიჩარდ გუინმა მეტოქის ფარზე რამდენიმე მნიშვნელოვანი მოხსნა მიითვალა და სირენამდე 45 წამით ადრე სტუმრები 56:54 დააწინაურა. საპასუხო იერიშისას მარკოიშვილმა ორი საჯარიმოთი წონასწორობა აღადგინა – 56:56. ელ ამინმა უპირატესობა კვლავ "აზოვმაშს" დაუბრუნა – 58:56. მატჩის დასრულებამდე 13 წამით ადრე ისევ მანუ შევიდა მეტოქის ფარქვეშ, მაგრამ მისი ტყორცნა გუინმა დაბლოკა. საპასუხოდ ელ ამინმა ერთი საჯარიმო გამოიყენა – 59:56. "კიევის" ბოლო იერიში კვლავ მარკოიშვილმა წამოიწყო, თუმცა მასზე იარუტისი დაჯარიმდა. ქართველმა პირველი სროლა ჩააგდო, მეორე განგებააცილა (57:59). ფარიდან ასხლეტილი ბურთი მასპინძლებს დარჩათ და პერიმეტრზე მდგარ მარკოიშვილს გამარჯვების მომტანი სამქულიანის შესრულების საშუალება მიეცა, მაგრამ მისმა ტყორცნამ მიზანს ვერ მიაღწია."*

როგორც ხედავთ, ბოლო წამების მთავარი მოქმედი პირი მანუ იყო. მის მონდომებას შედეგი რომ გამოეღო, მატჩის გმირადაც იქცეოდა. ასეა თუ ისე, ქართველი შეხვედრის სნაიპერი მაინც გახდა: 15 ქულა (8-დან 3 ორქულიანი, 8-დან 1 სამიანი), 3 მოხსნა და 2-2 პასი-ჩაჭრა მოაგროვა.

"აზოვმაშთან" მარცხის შემდეგ "კიევმა" სატურნირო ცხრილში ლიდერობა მეტოქეს გადააბარა. ორივეს 18-18 მოგება და 3-3 მარცხი აქვს. ურთიერთშეხვედრების გათვალისწინებით წინ "აზოვმაშია".

ბალტიის ლიგა

# ცინცაძე ჟალგირისთანაც სნაიპერია

**გიორგი ცინცაძისა** და **ვიქტორ სანიკიძის** "ტარტუ როკმა" სეზონის ერთ-ერთი ყველაზე რთული მატჩი ჩაატარა. ეს მათ წინასწარ იცოდნენ, რადგან ბალტიის თასზე ლიტვურ "ჟალგირისს" ესტუმრნენ. საფინალო ანგარიში არავის გაგაკვირვებთ – 91:64 - ვის სასარგებლოდ, თავადაც იოლად მიხვდებით.

მარცხის მიუხედავად, ქართველი "როკერების" მიმართ მწვრთნელს სასაყვედურო ნაკლებად ექნებოდა...

გიორგი ცინცაძე ესტონელთა ბომბარდირი გახდა – 34 წუთში 18 ქულა ჩააგდო, რასაც 3 მოხსნა, 2 პასი და 3 ჩაჭრა წაუმატა. ვიქტორ სანიკიძეს კი ორმაგ დუბლამდე ორი მოხსნა დააკლდა: 25 წუთში 11 ქულა, 8 მოხსნა და თითო ჩაჭრა-დაფარება გაიფორმა.

სადღეისოდ "ტარტუ როკს" 8 მოგება, 9 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზეა. პლეი ოფში სწორედ საუკეთესო ექვსეული გადის. ესტონელებს ერთი მოგებით ჩამორჩება ლატვიის "ვენტსპილსი", თუმცა ბოლო ტურში "როკმა" რომც წააგოს, ლატვიელები მაინც ვერ გადაასწრებენ, რადგან "ტარტუს" "ვენტსპილსთან" დადებითი ბალანსი აქვს. მორიგ, მატჩს ტარტუელები ლიტვურ "შიაულიაისთან" შინ გამართავენ და რეგულარულ ეტაპსაც დაასრულებენ.



გიორგი ცინცაძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი NBA-ში

# მაიკ ბრაუნი: ზაზას ვერ ვაჩერებდით

"ატლანტა" აღმოსავლეთის კონფერენციის ლიდერ "კლივლენდთან" შინ დრამატულ მატჩში დამარცხდა - 87:88. მაშინ, როცა ყველა ოვერტაიმს ელოდა, კლივლენდელი **ლებრონ ჯეიმსი** "ჰოქსის" კალათისკენ დაიძრა და **ელ ჰორფორდი** აიძულა თამაშის წესი დაერღვია. საფინალო სირენას წამი უკლდა, როცა ლებრონმა 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა და კლივლენდში გამარჯვებული გაბრუნდა. მან მატჩი 26 ქულითა და 11 მოხსნით დაასრულა.

ასეა, ყოველი შეხვედრის ბოლოს, პირველ რიგში, გამარჯვებულებზე ლაპარაკობენ. თუმცა არც ზაზა ფაჩულიას გარჯას მოუცია დუმილის საბაბი. მეტსაც გეტყვით, მან "კლივლენდ კავალიერსის" თავკაცი **მაიკ ბრაუნი** აალაპარაკა: *"მასპინძელთა ათლეტურობამ დიდი პრობლემები შეგვიქმნა. მათ უამრავი კარგი კალათბურთელი ჰყავთ და ძნელი განსასაზღვრია, ვინ როდის გაიბრწყინებს. მესამე პერიოდის ბოლოს მოედანზე ატლანტელი ფლიპ მიურეი და ზაზა ფაჩულია გამოვიდნენ, რომლებმაც "ჰოქსის" შეტევები გაამწვავეს. ჩემი შეგირდები კი მათ შეჩერებას ვერ ახერხებდნენ."*

კოლეგისგან განსხვავებით, ზაზას შესახებ არაფერი უთქვამს "ატლანტას" თავკაც **მაიკ ვუდსონს**. სამაგიეროდ, ქართველს ცალკე აბზაცი მიეძღვნა "ატლანტას" ოფიციალურ ვებსაიტზე: *"ზაზა ფაჩულიას მონაგარი შთამბეჭდავად ნამდვილად არ გამოიყურება – 11 ქულა და 8 მოხსნა, ნორმალურ სტატისტიკად ითვლება. თუმცა "პეპსი არენაზე" შეკრებილმა ქომაგებმა ნათლად დაინახეს, ქართველმა ცენტრმა მესამე პერიოდში მოედანზე შესვლით "ატლანტას" როგორი ენერგია შემატა. მან 6 ქულა შეტევითი მოხსნების შემდეგ მიითვალა. ასევე მეტოქის ფარზე აქტიურობის წყალობით 2 საჯარიმო ჩააგდო. როცა "ჰოქსს" მოწინააღმდეგის კალათში ბურთის მოთავსება ძალიან უჭირდა, დიდი "ზ" შემოვიდა და "კლივლენდის" კალათს გასაღები მოარგო. სწორედ მისი აქტიურობის წყალობით "ატლანტამ" 21:7 სპურტი მოაწყო და 49:62 ჩამორჩენის შემდეგ 71:67 დაწინაურდა".*

მესამე პერიოდის ბოლოს ზაზას თამაშის ქრონოლოგიას, შეგიძლიათ ქვემოთ დაწვრილებით გაეცნოთ. აქ კი გეტყვით, რომ "კლივლენდთან" დამარცხება "ქორებისთვის" სეზონში 26-ე იყო. მათ 33 მოგება აქვთ და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეოთხე ადგილზე არიან.

დღეიდან "ატლანტა" ჩრდილო-აღმოსავლურ "ექსპედიციაში" ჩაებმება, სადაც სამ გასვლით შეხვედრას გამართავს. დღეს, გამთენიისას "ვაშინგტონთან" ითამაშებდა, 4 მარტს – "ნიუ იორკთან", ხოლო 6 მარტს – "შარლოტთან".

### ფაჩულიას მონაგარი

| ატლანტა-კლივლენდი | 87:88 |
| --- | --- |
| 23 წუთი, 11 ქულა, 8 მოხსნა, 2 შეცდომა, 4 ფოლი | |
| **I პერიოდი** | |
| 01:30 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:41 | ფოლი: 1 |
| 00:23 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 00:22 | ორქულიანი: 2ძ (23:28) |
| **II პერიოდი** | |
| 11:20 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 11:02 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 11:00 | ორქულიანი: 4ძ (25:30) |
| 09:38 | მოხსნა: შეტ-3, დაც-1 |
| 09:38 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:36 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 05:06 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 04:47 | ორქულიანი: 6 (57:62) |
| 04:04 | მოხსნა: შეტ-4, დაც-1 |
| 04:04 | ორქულიანი: 8ძ (59:62) |
| 03:23 | საჯარიმოები: 2\1 (9ძ, 60:64) |
| 00:22 | მოხსნა: შეტ-4, დაც-2 |
| **IV პერიოდი** | |
| 09:54 | მოხსნა: შეტ-5, დაც-5 |
| 09:53 | საჯარიმოები: 2\2 (11ძ, 73:69) |
| 07:41 | მოხსნა: შეტ-6, დაც-2 |
| 06:42 | ფოლი: 2 |
| 06:42 | შეცდომა: 1 |
| 03:40 | ფოლი: 3 |
| 03:40 | შეცდომა: 2 |
| 03:31 | ფოლი: 4 |
| 00:40 | ზაზა ბიბიმ შეცვალა |

## თოვლი მოსულა?!

გუშინდელ ნომერში მტრედზე დავწერე, ახლა – სათაურში თოვლი გამოვიტანე. რა ვქნა, საკალათბურთო დარბაზში მტრედი მართლა შემოფრინდა, ხოლო დღეს ამერიკულ გაზეთ "ატლანტა კონსტიტუშენში" ზაზა ფაჩულიას ნაუბარი ამოვიკითხე. იგი თოვლზე საუბრობს...

მოდი, ეს მოკლე სტატია ქართულად ვთარგმნოთ: *"ატლანტელთა ცენტრმა, ზაზა ფაჩულიამ კვირას ფანჯარაში რომ გაიხედა, ნამდვილად ვერ დაიჯერა, რომ ხეებზე თოვლი იდო.*

*ატლანტაში მოსული თოვლის გამო მწვრთნელი, მაიკ ვუდსონი სახიდან ღიმილს არ იშორებდა. იგი ამ ქალაქში 5 წელიწადია მუშაობს და თოვლის ფიფქები პირველად ნახა. "ატლანტაში თოვლის გამოჩენა გასაკვირია, მაგრამ ერთი-ორად საოცარია მისი ხილვა 1-ელ მარტს!" – გამოტყდა მაიკ ვუდსონი.*

*ზაზა ფაჩულიამ თავისი პატარა შვილი, დავითი, ეზოში გაიყვანა და პირველ თოვლსაც შეახვედრა. "დათოვლილი ატლანტა შესანიშნავი სანახავია, მაგრამ ახლაც არ მჯერა, რომ ეს მართალია. თუმცა ჩვენ ხომ ატლანტაში ვცხოვრობთ, ქალაქში, სადაც ყველაფერია მოსალოდნელი," – ღიმილით დაასრულა საუბარი ზაზამ."*

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ათლეტიზმი

# ამერიკელებს პირველობა ქულით მოუგეს

ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ბორდენთაუნში (აშშ) დამთავრდა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი და მსოფლიოს თასის გათამაშება ძალისმიერ სამჭიდსა და ათლეტიზმის ცალკეულ მოძრაობებში.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში ამერიკის, კანადის, საქართველოს და გვატემალის ნაკრებები გავიდნენ. საგულისხმოა, რომ საერთო გუნდურ ჩათვლაში 6 საუკეთესო ათლეტის შედეგები შედიოდა. უსახსრობის გამო ქართველები შეჯიბრებაზე მხოლოდ 3 სპორტსმენითა და ერთი მწვრთნელით წარდგნენ. მათ დიდი გარჯა დასჭირდათ, რომ წინა წლებში მოპოვებული პოზიციები არ დაეთმოთ. თითოეულმა რამდენიმე სახეობაში იასპარეზა და საერთო ჯამში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 12-ჯერ ავიდნენ.

**გიორგი მესაბლიშვილმა** (100 კგ) ახალგაზრდებსა და



უფროსებში ხუთი თასი მოიპოვა, **ზურაბ ჭაჭანიძემ** — სამი, **გოჩა გუძუაძემ** და **გერონტი ჯმუხაძემ** ორ-ორჯერ ისახელეს თავი. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ათლეტებმა ამერიკელებს ქულით აჯობეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილი გვატემალას ხვდა.

ქართველ სპორტსმენებს ნიუ-იორკში მცხოვრები თანამემამულეები — **ბორის სარალიძე** და **ვეფხია ჯმუხაძე** დაეხმარნენ.

ვაჟა **დანელია**

პროფესიული კრივი

# ოლიმპიური ჩემპიონის პირისპირ

ამ უქმეებზე ერთ-ერთი ქართველი პროფესიონალი მოკრივის ბრძოლა მთელი ბრიტანეთის ყურადღების ცენტრში მოექცა - ბირმინგემის ეროვნულ არენაზე 21 წლის **ვეფხია ჭილაია** 23 წლის ინგლისელ **ჯეიმს დიგეილს** ხვდებოდა სუპერსაშუალო წონით კატეგორიაში. მიხვდებოდით, რომ საყოველთაო ყურადღების მიზეზი ჯეიმს დიგეილია, პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი. ჩინეთის დედაქალაქში მხოლოდ მან შეძლო ოლიმპიური ოქროს მოპოვება გაერთიანებული სამეფოსთვის - ვეფხიასთან ბრძოლაში პროფესიულ კრივში მისი დებიუტი შედგა. ვეფხია მე-18 ორთაბრძოლას ატარებდა პროფესიულ რინგზე, აქამდე მას 9 გამარჯვება და 8 მარცხი ჰქონდა. დიგეილთან მატჩი ოთხრაუნდიანი იყო. რეფერი **ჰოვარდ ჯონ ფოსტერის** მიხედვით, ინგლისელმა 40:36 მოიგო.

გადაჭედილი დარბაზის წინაშე დიგეილი ოქროსფერი სამოსით (ოლიმპიური ოქროს ფერში) გამოვიდა. თუმცა ოთხრაუნდიანი მატჩის შემდეგ აპლოდისმენტები სტვენით შეიცვალა, რადგან პუბლიკამ მიიჩნია, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა დამაჯერებლად ვერ მოუგო უცნობ ქართველს. ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ჭილაიას მაქსიმუმ 6-8 დარტყმა უნდა განეხორციელებინა, ამ დროს ქართველი თანაბრად ებრძოლა დიგეილს.

იმავე დარბაზში კიდევ ერთი ინგლისურ-ქართული დაპირისპირება გაიმართა - პეკინის ოლიმპიადის მონაწილე **ფრენკი გევინი** ასევე სადებიუტო შეხვედრას ატარებდა პროფესიონალებში, მისი მეტოქე **გიორგი ქადარია** იყო, გევინმა ბოლოს, მე-4 რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა ქართველი მოკრივე. ქადარია 22 წლისაა, მას პროფესიონალებში 5 გამარჯვება აქვს მოპოვებული, გიორგი კარიერაში მეოთხედ დამარცხდა.

ნიკოლოზ **ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ლიტვაში იმედით მივდივართ

6-8 მარტს საქართველოს ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრები დევისის თასის გათამაშებაში იასპარეზებს. მეტოქედ ლიტვის არცთუ ძლიერი ნაკრები გვხვდა წილად. შეგახსენებთ, რომ ჩვენებურები ევრო-აფრიკის ზონის მეორე ქვეჯგუფში გამოდიან და მთავარი ამოცანა პირველ ჯგუფში გადასვლაა. იქედან კი ელიტურ ჯგუფამდე მისასვლელი გზა უფრო ახლოა... სამწუხაროდ, ქართველ ჩოგბურთელთა დღევანდელი სპორტული ფორმა სასურველისგან შორსაა, რაც წარმატების ალბათობას ამცირებს, თუმცა მეტოქის კლასის გათვალისწინებით იმედიანად ყოფნა შესაძლებელია და ამას ამტკიცებს კიდეც ჩვენთან საუბარში ნაკრების კაპიტანი **ვიქტორ ბაკში**. გუშინ მას ლიტვაში გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე ვესაუბრეთ.

**- ნაკრების კაპიტანი პირველად არ ბრძანდებით და ამიტომ გამოცდილებაც საკმარისი გაქვთ. თქვენი აზრით, რა კონდიციებში არიან ქართველი ჩოგბურთელები? შეუძლიათ ლიტვის ნაკრების დამარცხება?**

- ჩვენი გუნდი დევისის თასის გათამაშების დებიუტანტი არ არის და რამდენიმე ძლიერი მეტოქე გვყავს დამარცხებული, თუმცა მაშინ ირაკლი ლაბაძეც და ლადო ჩიხლაძეც კარგ ფორმაში იყვნენ. ამჟამად ამ მხრივ ვითარება რთულადაა: ირაკლის ტრავმა გაუმიზეზდა - მაჯაზე ოპერაციამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, წყალი ჩაუდგა და ტკივილები ტანჯავს. ამის გამო, მისი თამაში სათუოა, თუმცა ლიტვაში გუნდთან ერთად იქნება და ადგილზე გავარკვევთ, შეძლებს თუ არა ასპარეზობას. ლადო ჩიხლაძემ, იცით, რომ რამდენიმე თვის წინათ დაიწყო თამაში მძიმე ტრავმის შემდეგ. ასპარეზობს საერთაშორისო ტურნირებში, მაგრამ არცთუ წარმატებულად. მთავარია, სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას არ განიცდის. იმედი გვაქვს, რომ ლადო ლიდერობას იკისრებს და ისე გაირჯება, როგორც ეს ორიოდ წლის წინათ სამხრეთ აფრიკის გუნდთან შეძლო, - გახსოვთ ალბათ მაშინ საქართველოს ნაკრების გამარჯვებაში მან ლომის წილი დაიდო. გუნდში არიან ახალგაზრდა ჩოგბურთელები, ვისზე დაყრდნობაც შეიძლება, თუმცა მათი კვალიფიკაცია ძალიან მაღალიც არ არის. ნოდარ ითონიშვილის დიდი იმედი გვქონდა, მაგრამ ბოლო დროს სწავლას უფრო მიაქცია ყურადღება და საჩოგბურთო პრაქტიკა მოაკლდა. მეოთხე წევრი გიორგი ხრიკაძეა. მას კარგა ხანია, მაღალ დონეზე არ უასპარეზია, მაგრამ თბილისში გულიანად ემზადებოდა. ვფიქრობ, საჭიროების შემთხვევაში სათანადო დახმარებას გაგვიწევს.

**- მეტოქე გუნდზე რა ინფორმაცია გაქვთ?**

- ლიტველთა პირველი ნომერი რიკარდას ბერკანისია, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში სამასეულში შედის. ის მასპინძელთა ნამდვილი ლიდერია, მაგრამ არა მგონია, რომ ჩიხლაძესთან მოგება გარანტირებული ჰქონდეს. ლადოს შეუძლია რიკარდასის დამარცხება, მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგით ჩამორჩება. ლიტველთა გუნდის დანარჩენი წევრები რეიტინგით გვჯობნიან, მაგრამ ამ შემთხვევაში, რეიტინგულ მაჩვენებლებს დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ჩვენს ბიჭებს რეალურად ბევრად მეტი შეუძლიათ, ვიდრე მათი რეიტინგია.

ჩვენთვის მთავარი იქნება ადგილობრივ კორტზე ადაპტაცია. როგორც იცით, მასპინძელი კორტის ისეთ საფარს ირჩევს, რაც მისთვის სასურველია. ლიტველებმა ხალიჩა აირჩიეს. სამი დღე ადაპტაციისთვის საკმარისი დროა და ალბათ ალღოს კარგად ავუღებთ და სასურველ შედეგს მივაღწევთ.

**- საკმაოდ ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, რაც სასიამოვნოა. წყვილებში ვის გამოყვანას აპირებთ?**

- თუ ირაკლიმ თამაში შეძლო, მაშინ ის და ლადო გავლენ წყვილებში, თუ არა, ადგილზე გადავწყვეტთ, - ვინც უკეთეს ფორმაში იქნება, მას შევუწყვილებთ ჩიხლაძეს.

ზვიად **შათირიშვილი**

# მცირე პროგრესი

გუშინ განახლდა ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტები. საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** გასულ კვირაში იუქმა, ის კვლავ მსოფლიოს 157-ე ჩოგანია 392 ქულით. წინ წაიწია **მაკა ჩახნაშვილმა**, რომელიც 270 ქულით 215-ე ჩოგანია, მაკამ 6 ადგილით გაიუმჯობესა მდგომარეობა. ერთი პოზიცია დათმო **სოფიო შაფათავამ**, რომელიც 220 ქულით მსოფლიოში 245-ეა. სამი საფეხურით დაწინაურდა **ოქსანა კალაშნიკოვა**, ოქსანას 112 ქულა აქვს და ის კლასიფიკაციაში 387-ე პოზიციაზეა. სხვები: 601 (+5) **ეკა გორგოძე** - 46 ქულა; 662 (+4) **სოფიო ქვაცაბაია** - 38; 692 (+3) **მანანა შაფაქიძე** - 34; 738 (+4) **სალომე დევიძე** - 28; 910 (+1) **სოფიო მელიქიშვილი** - 16. გორგოძე ასე მაღლა რეიტინგში არ ყოფილა.

ვაჟთა შორის საქართველოს პირველი ჩოგანი **ირაკლი ლაბაძე**, რომელიც სეზონს „დევისის თასით" იწყებს, მსოფლიოს 523-ე ჩოგანია (+5) 96 ქულით. **ლაზარე კუხალაშვილი** 24 ქულით 917-ე (+4) პოზიციაზეა. სხვები: 1012 (+2) **ლადო ჩიხლაძე** - 17 ქულა; 1191 (+38) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 9; 1323 (+2) **ნოდარ ითონიშვილი** - 6; 1564(+1) **ბექა ბუჩუკური** - 2; 1655 (-1) **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 2. ლაზარე და ნიკა კარიერის საუკეთესო მაჩვენებელზე არიან.

ნიკოლოზ ბასილაშვილი ტეხასის შტატის ქალაქ მაკალენშია, სადაც საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში მე-12 ნომრადაა განთესილი. ნიკა პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში მან ამერიკელ **პატრიკ დევიდსონს** დაძაბულ ბრძოლაში აჯობა - 6:4, 7:6 (5). ახლა ძირითად ბადეში გასასვლელად ჩვენებურმა მე-4 ნომრად განთესილი ავსტრიელი **ნიკოლაუს მოზერი** (793) უნდა დაამარცხოს.

ფორტ უოლტონ ბიჩში (25 ათასი $), მეორე საკვალიფიკაციო წრეში მე-6 ნომრად განთესილი მაკა ჩახნაშვილი ამერიკელ **რიზა ზალამედას** ეთამაშება. ისრაელის ქალაქ რაანანაში ძირითად ბადეშია (10 ათასი $) მანანა შაფაქიძე, რომელიც მე-4 ნომრად განთესილ სლოვაკ **პატრისია ვერეშოვას** (561) ხვდება. ებრაელ **იულია გლუშკოსთან** (358) ერთად მანანა წყვილთა თანრიგში პირველ ნომრადაა განთესილი.

ნიკოლოზ **ნეფარიძე**

რაგბი

ლეგიონერები

# ელიტა უქართველებოდ

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტარულ პირველ დივიზიონში, რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ექვსი ტური დარჩა. მოწინავე ოთხეულის ვინაობა, რომელიც ჩემპიონობისთვის ბრძოლას გააგრძელებს ფაქტობრივად, გარკვეულია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ დარჩენილ ტურებში რაიმე შეიცვალოს. საფრანგეთის ელიტაში არაფერი შეცვლილა შარშანს აქეთაც. პირველობისთვის ისევ ის გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს, რომლებიც განვლილ სეზონში იბრძოდნენ.

ამ ოთხიდან, ქართველ მორაგბეთა გუნდი ერთია, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი". ვულკანები მე-18 ტურში, საკუთარ მოედანზე **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრს" დაუპირისპირდნენ და - 43:20 დაამარცხეს. ზირაქაშვილი ტრავმირებულია და ნაკლებად სავარაუდოა, მიმდინარე სეზონში გუნდს დაუბრუნდეს. თამაშში მონაწილეობა არ მიუღია გიორგაძესაც, რადგან საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობდა ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში.

სწორედ ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, ქართველ მორაგბეებს პირველი დივიზიონის არც ერთ შეხვედრაში არ მიუღიათ მონაწილეობა. ამასობაში კი, საკმაოდ გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა **გია ლაბაძისა** და **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა". ჩვენებურთა ამ გუნდმა გასვლით შეხვედრაში დაამარცხა ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი „ბურგუენი" - 23:12. შედეგად ტულონელებმა 30 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილში მე-10 ადგილზე აინაცვლეს.

ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია საკუთარ მოედანზე, ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტ „სტად ფრანსესთან" **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა" - 26:11. ბრიველები 47 ქულით მე-6 ადგილზე არიან.

სტუმრად დიდი ანგარიშით დამარცხდა „პერპინიანთან" **მამუკა გორგოძის** „მონპელიე" - 13:50. ასევე სტუმრად წააგო გათამაშების ლიდერ „ტულუზთან" **გოდერძი შველიძის** „მონტობანმა" - 6:9. სახიფათო ზონას მიუახლოვდა **ირაკლი გიორგაძის** „დაქსი", რომელმაც მე-18 ტურში სტუმრად წააგო ბასკურ ბიარიცთან -13:44. „დაქსმა" 26 ქულა დააგროვა და ამჟამად ბოლოსწინა, მე-13 ადგილზე იმყოფება.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XVIII ტური. ბურგუენი-ტულონი 12:23, ბრივი-სტად ფრანსე 26:11, პერპინიანი-მონპელიე 50:13, კლერმონი-კასტრი 43:20, ბიარიცი-დაქსი 44:13, მონ დე მარსანი-ბაიონი 30:37, ტულუზი-მონტობანი 9:6.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ტულუზი - 66 ქულა, 2. სტად ფრანსე - 60, 3. პერპინიანი - 60, 4. კლერმონი - 55, 5. ბაიონი - 48, 6. ბრივი - 47, 7. მონტობანი - 42, 8. ბიარიცი - 40, 9. მონპელიე - 36, 10. ტულონი - 30, 11. ბურგუენი - 30, 12. კასტრი - 29, 13. დაქსი - 26, 14. მონ დე მარსანი - 28.

მეორე დივიზიონშიც, სადაც რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ცხრა ტურია დარჩენილი, თითქმის ყველაფერი გარკვეულია. **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიეს" დივიზიონიდან გავარდნისგან სასწაული თუ იხსნის. ლანგედოკელები 27 ქულით ბოლოსწინა ადგილზე არიან და 13 ქულით ჩამორჩებიან **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიეს".

21-ე ტურში „ბეზიე" საკუთარ მოედანზე **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგს" შეხვდა და დიდი ანგარიშით - 19:51 დამარცხდა. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ, ვინაიდან ამ დროს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ირჯებოდნენ. პარიზელებმა, რომლებიც გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობენ, ამ გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო გაზარდეს ქულათა სხვაობა უახლოეს მდევარ „ალბისთან". ეს უკანასკნელი ჩხაიძის გუნდს 15 ქულით ჩამორჩება.

პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის ქართველ მორაგბეთა კიდევ ორი გუნდი „აჟენი" და „ოიონაქსი". **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **ირაკლი მაჩხანელის** „აჟენმა" სტუმრად გაანადგურა აუტსაიდერი „ბურგ ან ბრესი" - 65:18. ქართველი მორაგბეები ამ დროს ესპანეთში იმყოფებოდნენ.

წლევანდელ სეზონში ყველას სასიამოვნოდ აოცებს **დავით აშვეთიას** „ოიონაქსი", რომელიც ასევე ყველასათვის მოულოდნელად პლეი ოფში გასასვლელად იბრძვის. ოიონაქსელებმა 21-ე ტურში გასვლითი შეხვედრა გამართეს „პოსთან" და 12:15 დამარცხდნენ. აშვეთია თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო.

შინ დაამარცხა „ლიონი" **გიორგი ულენტის, მალხაზ ურჯუკაშვილისა** და **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა" - 18:9. ულენტი თამაშში 74-ე წუთიდან შევიდა. ურჯუკაშვილი ტრავმირებულია, დათუნაშვილმა საქართველოს ნაკრებში იასპარეზა.

სტუმრად „ბორდოსთან" წააგო **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონმა" - 22:26. კუთარაშვილი თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო და მე-60 წუთზე მეტოქეს ლელო გაუტანა.

II დივიზიონი. XXI ტური. კოლომიე-ტარბი 20:16, ორიაკი-ლიონი 18:9, ბეზიე-მეტრო რასინგი 19:51, გრენობლი-ოში 26:3, პო-ოიონაქსი 15:12, ბორდო-ნარბონი 26:22, ბურგ ან ბრესი-აჟენი 18:65, ლა როშელი-ალბი 19:16.

სატურნირო მდგომარეობა: 1. მეტრო რასინგი - 76 ქულა, 2. ალბი - 62, 3. პო - 60, 4. აჟენი - 59, 5. ოიონაქსი - 59, 6. ლა როშელი - 59, 7. გრენობლი -49, 8. ბორდო - 49, 9. ლიონი - 48, 10. ტარბი - 48, 11. ორიაკი - 46, 12. ოში - 42, 13. ნარბონი - 42, 14. კოლომიე - 40, 15. ბეზიე - 27, 16. ბურგ ან ბრესი - 21.

ბესიკ **ჯანგავაძე**

სუმო

# კოკაი მერვე, ტოჩინოშინი მეათე

გუშინ ტოკიოში სუმოისტთა ახალი რეიტინგლისტი (იაპონურად ბანძუკე) გამოქვეყნდა. 27 წლის **ლევან ცაგურია (კოკაი)** დასავლეთის მე-4 მაეგაშირა იყო, მაგრამ იანვრის ბაშო ცუდად დაასრულა (5-10) და დღეიდან იგი დასავლეთის მე-8 მაეგაშირა იქნება, სწორედ ამ რანგში იჭიდავებს ჩვენებური მარტის ბაშოზე. ელიტის მეორე ქართველი, 21 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** დასავლეთის მე-11 მაეგაშირა იყო, მან იანვარში დადებითი ბალანსით (8-7) დაასრულა ბაშო და რეიტინგში მცირედით წინ წაიწია - დღეიდან იგი დასავლეთის მე-10 მაეგაშირაა.

კოკაი 190 სმ სიმაღლისაა და 153 კილოგრამს იწონის, მას კარიერაში 324 გამარჯვება და 278 მარცხი დაუგროვდა, ელიტაში მისი ბალანსი უარყოფითია - 227-238. კოკაი არის ოთხი სხვადასხვა დივიზიონის გამარჯვებული, ელიტაში „მებრძოლი სულის" პრიზის ორგზის მფლობელი და კინბოშის (იოკოძუნას დამმარცხებელი) ორგზის მომგები. ტოჩინოშინი კოკაიზე სანტიმეტრით მაღალია და ორი კგ-ით მეტს იწონის. მას კარიერაში 109 გამარჯვება და 65 წაგება აქვს. მისი ელიტის ბალანსიც უარყოფითია: 34-41. ტოჩინოშინს აქვს მოგებული ძურიოს დივიზიონის ტიტული.

ორმა დიდმა ჩემპიონმა მონღოლმა ადგილები გაცვალეს, უფრო პრესტიჟული აღმოსავლეთის იოკოძუნას სტატუსი ახლა **ასაშორიუს** ხელშია, ხოლო **ჰაკუჰო** დასავლეთის იოკოძუნაა. კვლავ ხუთი ოძეკი იჭიდავებს: **კოტოოშუ, კაიო, ჩიოტაიკაი, ჰარუმაფუჯი** და **კოტომიცუკი**. ესტონელი **ბარუტო** კვლავ სეკივაკეა, ამ რანგში დებიუტი ექნება **კისენოსატოს**. კომუსუბი ორია, **გოეიდო** და მონღოლი **კიოკუტენჰო**. ელიტაში დებიუტი ექნება მონღოლ **შოტენროს**, რომელიც მე-12 მაეგაშირაა.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში რანგი მოიმატა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, დღეიდან ის მაკუშიტას მე-3 ნომერია და, წესით, მარტის ბაშოზე უბრალო დადებითი ბალანსი უნდა ეყოს ძურიოს დივიზიონში აღსაზევებლად. წლის მეორე სუპერტურნირს, მარტის ბაშოს ქალაქ ოსაკას პრეფექტურის გიმნაზიუმი უმასპინძლებს. ბაშო 15-29 მარტს გაიმართება.

ნიკოლოზ **ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შაკი ჯორდანის გვერდით




### ტურის მატჩი: ბოსტონი-დეტროიტი

"სან ანტონიო", "ბოსტონი", "კლივლენდი" და "ფინიქსი" გარკვეულ სირთულეებს განიცდიან წამყვანი კალათბურთელების ტრავმების გამო. თითქოს იგივე პრობლემები უნდა შექმნოდა "დეტროიტ პისტონზსაც", მაგრამ პირიქით მოხდა. როგორც კი **ალენ აივერსონი** ზურგის ტრავმით შინ გაემგზავრა, გუნდი მსუბუქად და ლაღად ათამაშდა - დაამარცხა "ორლანდო" და "ბოსტონი" და შეწყვიტა რვამატჩიანი მოუგებელი სერია. *"ისინი ახლა იმ სისტემით თამაშობენ, რომელსაც აივერსონის მისვლამდე იყენებდნენ,* - დასვა მატჩის შემდეგ დიაგნოზი "ბოსტონის" ერთ-ერთმა ლიდერმა **პოლ პირსმა**. - *როცა ალენი გუნდთანაა, "პისტონზი" შეუთამაშებელი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. აივერსონის გარეშე კი "დეტროიტი" გაცილებით კომფორტულად გრძნობს თავს, რადგან ბიჭები უკვე დიდი ხანია ერთად თამაშობენ".*

"დეტროიტის" გამარჯვების მთავარი ფაქტორები იყო: სასტარტოში დაბრუნებული **რიჩარდ ჰემილტონის** 25 ქულა და 9 შედეგიანი პასი, საფინალო სირენამდე 80 წამით ადრე **ტაიშონ პრინსის** ზუსტი სამქულიანი, რომელმაც "დეტროიტს" 10-ქულიანი ჰანდიკაპი მოუტანა. გარდა ამისა, "პისტონზმა" გადამწყვეტი "გაქცევა" (13:4) ბოლო მეოთხედში განახორციელა. ამ 13 ქულაში შედიოდა ჰემილტონისა და პრინსის შორეული გასროლები.

საოცარია, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში აივერსონის ერთადერთი მხარდამჭერი "დეტროიტის" დამრიგებელი **მაიკ კარი** გახდა. *"საქმე ამაში არ არის,* - თავს იმართლებდა მწვრთნელი. - *უბრალოდ, ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ბოლო ორ შეხვედრაში, ალენი კი პარტნიორებს უნდა შეეწყოს".* ეს ბოლო ფრაზა საკმაოდ საკამათოა. ძნელი წარმოსადგენია გუნდური თამაშის მოყვარული აივერსონი, რომელიც ივიწყებს თავის ამბიციებსა და სნაიპერულ გმირობებს და პარტნიორების თამაშს ეწყობა.

რაც შეეხება "ბოსტონს", გუნდი მოუთმენლად ელის **კევინ გარნეტის** მწყობრში ჩადგომას. მის არყოფნაში, NBA-ის ჩემპიონს არც ისე კარგად მისდის საქმეები: 3 მოგება და 2 წაგება. გარდა ამისა, ახლა ამ კლუბში ადაპტაციას გადის **სტეფონ მარბერი**. როგორც ჩანს, პროცესი ჯერ არ დასრულებულა, რადგან "დეტროიტის" წინააღმდეგ ვეტერანი გამთამაშებლის მონაგარი ასეთი იყო: 0 ქულა და 4 პერსონალური 13 წუთში. ყველას ნაცვლად თამაში პოლ პირსს უწევს, რომელსაც მწვრთნელმა 18 წამით (!) დასვენების საშუალება მისცა.

### ტურის გმირი: შაკილ ო'ნილი

"ფინიქს სანზმა" მეორე ცდიდან მაინც მოახერხა "ლეიკერსის" დამარცხება. ვეტერანმა ცენტრმა 33 ქულა, 7 მოხსნა და 3 შედეგიანი პასი დააგროვა. შაკი ამ შედეგით ისეთი ლეგენდების გვერდით დადგა, როგორებიც არიან **მაიკლ ჯორდანი, კარლ მელოუნი** და **ალექს ინგლიში**. აქამდე მხოლოდ ამ სამმა მოთამაშემ შეძლო 35-წლიანი იუბილეს შემდეგ ზედიზედ ორ მატჩში 30 ან მეტი ქულის დაგროვება. შეგახსენებთ, რომ შაკი სულ მალე 37 წლის გახდება. *"ბევრი ფიქრობს, ძველებურად თამაში აღარ შემიძლია,* - აცხადებს ო'ნილი. - *მაგრამ მე ამ საქმით 1992 წლიდან ვარ დაკავებული. არ გჯერათ? ჩაწერეთ ჩემი გვარში "ძებნაში" და თავად დარწმუნდებით ამაში".*

"ლეიკერსის" წინააღმდეგ კვლავ ვერ ითამაშეს "სანზის" ლიდერებმა - **სტივ ნეშმა** და **ამარე სტაუდმაიერმა**.

### ტურის ანტიგმირი: ელ ჰორფორდი

"ატლანტის" ცენტრის ერთმა ნაბიჯმა წყალში ჩაყარა მთელი გუნდის მონდომება. "ჰოქსმა" იმდენი მოახერხა, რომ "კლივლენდთან" 13-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილა და ბოლო წუთზე წინ გავიდა. მაგრამ საფინალო სირენამდე 1.6 წამით ადრე, **ჰორფორდმა ლებრონ ჯეიმსის** გარღვევის შეჩერება სცადა, მაგრამ დროულად სწორი პოზიციის დაკავება ვერ შეძლო. საბოლოოდ, ლებრონმა ორი ზუსტი ჯარიმა ესროლა და "კლივლენდმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

### ტურის ციფრი: 20

ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში, ლიგის საუკეთესო გამთამაშებლები იშვიათად აგროვებენ მატჩში 20 ან მეტ შედეგიან გადაცემას. ყველაზე მეტჯერ - ხუთჯერ ამის გაკეთება სტივ ნეშმა მოახერხა. გასულ ტურში კი ამ სიაში მეორე ადგილზე გადავიდა "იუტას" მცველი **დერონ უილიამსი** (ოთხჯერ), თუმცა ამ გამთამაშებელს საკლუბო რეკორდამდე ძალიან ბევრი უკლია. ლეგენდარულ **ჯონ სტოქტონს** კარიერაში 35-ჯერ დაურიგებია ერთ შეხვედრაში ოცი ან მეტი შედეგიანი პასი.

### ტურის ფრაზა

*"ვერ ვიტან მოედანზე ასეთ სიტუაციაში დაბრუნებას. გარდა იმისა, რომ საშინლად ვითამაშე, გუნდმაც სასტიკი მარცხი განიცადა",* - ასეთი კომენტარი გაუკეთა "პორტლენდთან" წაგებას "სან ანტონიოს" ლიდერმა **ტიმ დანკანმა**. შეგახსენებთ, რომ მუხლის ტრავმის შემდეგ ამ კალათბურთელის დაბრუნებას მოუთმენლად ელოდნენ. მაგრამ "სპურსმა" ტიმის დაბრუნების შემდეგ პირველივე მატჩი 18 ქულის სხვაობით წააგო.

**ბოსტონი-დეტროიტი 95:105**
22:20, 25:35, 23:22, 25:28
ბ: პირსი (26), გ. დევისი (18), პერკინსი (12), პოუ (11), რ. ალენი (10).
დ: ჰემილტონი (25+9 პასი), პრინსი (15+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), რ. უოლასი (15), ერმანი (11), სტაკი (10), მაკდაისი (10).

**ფინიქსი-ლეიკერსი 118:111**
34:26, 32:30, 25:25, 27:30
ფ: შ. ო'ნილი (33+7 მოხსნა), ბარნსი (26+10 მოხსნა+7 პასი), ბარბოზა (22+7 პასი), ჰილი (17).
ლ: ბრაიანტი (49+11 მოხსნა), გასოლი (30+7 მოხსნა).

**ატლანტა-კლივლენდი 87:88**
23:30, 20:23, 25:14, 19:21
ა: ჯო ჯონსონი (21), მ. უილიამსი (14+10 მოხსნა), მიურეი (14), ფაჩულია (11+8 მოხსნა), ჰორფორდი (10+10 მოხსნა).
კ: ლ. ჯეიმსი (26+11 პასი), მ. უილიამსი (20), ილგაუსკასი (17+11 მოხსნა), დ. უესტი (12+3 ჩაჭრა).

**ნიუ ჯერსი-ნიუ ორლეანი 96:99**
18:20, 23:28, 34:28, 21:23
ნ-ჯ: დ. ჰარისი (26+14 პასი), ვ. კარტერი (26), ჯ. ჰეიესი (13+7 მოხსნა), ბ. ლოპესი (8+12 მოხსნა).
ნ-ო: დ. უესტი (32+11 მოხსნა), რ. ბატლერი (22), პოლი (14+8 მოხსნა+9 პასი+4 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი (11), ტ. ჩენდლერი (7+12 მოხსნა).

**ინდიანა-დენვერი 100:94**
28:29, 17:12, 23:34, 32:19
ი: ჯეკი (28+8 პასი), მერფი (22+18 მოხსნა), მ. დენიელსი (19), ჰიბერტი (10), ფოსტერი (5+10 მოხსნა).
დ: ბილაპსი (27+7 პასი+4 ჩაჭრა), ენტონი (20+8 მოხსნა), ნენე (12+10 მოხსნა+4 დაფარება), კ. ანდერსენი (4+12 მოხსნა+3 დაფარება).

**მინესოტა-ჰიუსტონი 94:105**
23:29, 30:25, 16:29, 25:22
მ: ფოიე (24), კ. სმიტი (20), გომესი (11), კარნი (10).
ჰ: არტესტი (23), ბრუქსი (22+10 პასი), იაო მინი (17+11 მოხსნა+6 დაფარება), სკოლა (15+11 მოხსნა), ლენდრი (12), ლოური (11).

**პორტლენდი-სან ანტონიო 102:84**
33:21, 31:16, 16:19, 22:28
პ: ოლდრიჯი (26+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), როი (26), ბლეიკი (15+6 პასი), ფრაი (12), პრჟიბილა (3+10 მოხსნა).
ს-ა: ტ. პარკერი (15), დანკანი (14+3 ჩაჭრა), რ. მეისონი (13), ჰილი (10).

**დალასი-ტორონტო 109:98**
27:24, 33:29, 30:22, 19:23
დ: ნოვიცკი (24+10 მოხსნა), ჯ. ჰოვარდი (16), ა. რაიტი (15), სინგლტონი (12+16 მოხსნა), ბასი (10), კიდი (9+15 პასი).
ტ: ბოში (28+10 მოხსნა), ბარნიანი (18+7 მოხსნა+4 დაფარება), ჯ. გრემი (14+7 მოხსნა), ე. პარკერი (13+9 მოხსნა+7 პასი), კალდერონი (13).

**გ. სტეიტი-იუტა 104:112**
29:34, 27:29, 29:24, 19:25
გ-ს: მაგეტი (27), ე. რენდოლფი (20+8 მოხსნა+4 დაფარება), კროუფორდი (20), აზუბუიკე (13), ბიედრინსი (8+12 მოხსნა).
ი: ოკური (23), რ. ბრიუერი (21+9 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), კორვერი (17+7 მოხსნა), მილსეპი (17), კირილენკო (12), ბუზერი (10+9 მოხსნა), დ. უილიამსი (6+20 პასი).

# ჯეისონ კიდი ათიათასიანებში




რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა დაფიქსირდა. "დალას მავერიქსის" გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი** მეოთხე კალათბურთელი გახდა NBA-ის ისტორიაში, ვინც კარიერაში 10 ათასი შედეგიანი პასი მიითვალა.

"ტორონტოსთან" მატჩში (109:98) კიდმა 15 პასი დააგროვა, საიუბილეო გადაცემა კი მესამე მეოთხედის ბოლოს შეასრულა, რის შემდეგაც **ბრენდონ ბასმა** ზუსტი ტყორცნა განახორციელა. მაყურებელმა ხანგრძლივი ოვაციით მიულოცა კიდს ეს წარმატება.

ჯეისონს თავისუფლად შეუძლია ამ სეზონში თუ არა, მომდევნო ჩემპიონატში ყველა დროის საუკეთესო ასისტენტებს შორის მეორე ადგილზე გადაინაცვლოს. კიდი ამჟამად მეოთხე ადგილზე იმყოფება. ის ლეგენდარულ **მეჯიქ ჯონსონს** 139, მეორეადგილოსან **მარკ ჯექსონს** კი 332 პასით ჩამორჩება. ამ მომენტისთვის შესაბამისი სიის საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ჯონ სტოქტონი | 15 806 |
| 2. მარკ ჯექსონი | 10 334 |
| 3. მეჯიქ ჯონსონი | 10 141 |
| 4. ჯეისონ კიდი | 10 002 |
| 5. ოსკარ რობერტსონი | 9 887 |
| 6. აიზია ტომასი | 9 061 |
| 7. გარი პეიტონი | 8 966 |
| 8. როდ სტრიკლენდი | 7 987 |
| 9. მორის ჩიქსი | 7 392 |
| 10. სტივ ნეში | 7 283 |

*"ეს მიღწევა იმას ნიშნავს, რომ 14-წლიანი კარიერის განმავლობაში ისეთი პარტნიორები მყავდა, რომლებსაც კალათში ბურთის ჩაგდება ეხერხებოდათ,* - ასეთი კომენტარი გაუკეთა კიდმა თავის მიღწევას. - *როცა NBA-ში თამაშს ვიწყებდი, ასეთ შედეგზე ოცნებასაც ვერ გავბედავდი".*

# მეფეებმა გუდენი დაითხოვეს

"საკრამენტო კინგზმა" ცოტა ხნის წინ, "კლივლენდ კავალიერზიდან" შეძენილი მძიმე ფორვარდი **დრიუ გუდენი** დაითხოვა. "მეფეების" ხელმძღვანელობამ კალათბურთელის 7.1-მილიონიანი კონტრაქტი გამოისყიდა, რითაც გუდენს ისეთ გუნდში გადასვლის საშუალება მისცა, რომელსაც პლეი ოფში თამაშისა და ჩემპიონობის შანსი აქვს.

ამერიკული პრესის ვარაუდით, ამ ფორვარდზე პრეტენზიას ორი კლუბი - "სან ანტონიო სპურსი" და "კლივლენდი" გამოაცხადებს. "საკრამენტოში" გადასვლის შემდეგ, გუდენმა ამ გუნდის რიგებში მხოლოდ ერთი მატჩის გამართვა მოასწრო და 12 ქულა და 13 მოხსნა დააგროვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## NBA მარტის კალენდარი

**2 მარტი**
ფილადელფია-ნ ორლეანი
ვაშინგტონი-ატლანტა
მაიამი-კლივლენდი
ოკლაჰომა-დალასი
კლიპერსი-სან ანტონიო

**3 მარტი**
შარლოტი-ჩიკაგო
ორლანდო-ფინიქსი
დეტროიტი-დენვერი
მილუოკი-ნიუ ჯერსი
მინესოტა-გ. სტეიტი
ჰიუსტონი-ტორონტო
საკრამენტო-ინდიანა
ლეიკერსი-მემფისი

**4 მარტი**
კლივლენდი-მილუოკი
მაიამი-ფინიქსი
ნიუ ჯერსი-ბოსტონი
ნიუ იორკი-ატლანტა
ოკლაჰომა-ვაშინგტონი
ჩიკაგო-გ. სტეიტი
დალასი-სან ანტონიო
იუტა-ჰიუსტონი
პორტლენდი-ინდიანა
კლიპერსი-მემფისი

**5 მარტი**
ნიუ ორლეანი-დალასი
დენვერი-პორტლენდი

**6 მარტი**
შარლოტი-ატლანტა
ორლანდო-ნიუ ჯერსი
ტორონტო-მაიამი
ბოსტონი-კლივლენდი
დეტროიტი-გ. სტეიტი
ჩიკაგო-მილუოკი
ჰიუსტონი-ფინიქსი
სან ანტონიო-ვაშინგტონი
ლეიკერსი-მინესოტა
იუტა-დენვერი

**7 მარტი**
ატლანტა-დეტროიტი
კლივლენდი-მაიამი
ნიუ იორკი-შარლოტი
მემფისი-ფილადელფია
ნიუ ორლეანი-ოკლაჰომა
დალასი-ვაშინგტონი
მილუოკი-გ. სტეიტი
პორტლენდი-მინესოტა
კლიპერსი-ინდიანა

**8 მარტი**
ბოსტონი-ორლანდო
ტორონტო-იუტა
სან ანტონიო-ფინიქსი
ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი
ჰიუსტონი-მემფისი
ოკლაჰომა-ფილადელფია
საკრამენტო-დენვერი

**9 მარტი**
ატლანტა-ნიუ ორლეანი
დეტროიტი-ორლანდო
მაიამი-ჩიკაგო
მინესოტა-ვაშინგტონი
დენვერი-ჰიუსტონი
პორტლენდი-ლეიკერსი

**10 მარტი**
ინდიანა-იუტა
მილუოკი-ნიუ იორკი
სან ანტონიო-შარლოტი
ფინიქსი-დალასი
საკრამენტო-ოკლაჰომა
კლიპერსი-კლივლენდი

**11 მარტი**
ატლანტა-იუტა
ორლანდო-ჩიკაგო
ფილადელფია-ტორონტო
ვაშინგტონი-ნიუ ორლეანი
დეტროიტი-ნიუ იორკი
მაიამი-ბოსტონი
მინესოტა-მემფისი
ჰიუსტონი-ლეიკერსი
დენვერი-ოკლაჰომა
პორტლენდი-დალასი
გ. სტეიტი-ნიუ ჯერსი

**12 მარტი**
სან ანტონიო-ლეიკერსი
ფინიქსი-კლივლენდი

**13 მარტი**
შარლოტი-ჰიუსტონი
ფილადელფია-ჩიკაგო
ტორონტო-დეტროიტი
ვაშინგტონი-ორლანდო
ატლანტა-ინდიანა
ბოსტონი-მემფისი
მინესოტა-ნიუ იორკი
მილუოკი-ნიუ ორლეანი
პორტლენდი-ნიუ ჯერსი
საკრამენტო-კლივლენდი
გ. სტეიტი-დალასი

**14 მარტი**
მაიამი-იუტა
მინესოტა-შარლოტი
ჩიკაგო-ნიუ ორლეანი
ჰიუსტონი-სან ანტონიო
დენვერი-კლიპერსი
ფინიქსი-ოკლაჰომა

**15 მარტი**
ატლანტა-პორტლენდი
კლივლენდი-ნიუ იორკი
დეტროიტი-მემფისი
მილუოკი-ბოსტონი
ფილადელფია-მაიამი
ტორონტო-ინდიანა
ლეიკერსი-დალასი
ორლანდო-იუტა
ვაშინგტონი-საკრამენტო
გ. სტეიტი-ფინიქსი
კლიპერსი-ნიუ ჯერსი

**16 მარტი**
შარლოტი-ტორონტო
მემფისი-პორტლენდი
ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი
ოკლაჰომა-სან ანტონიო
დენვერი-ნიუ ჯერსი

**17 მარტი**
ატლანტა-საკრამენტო
კლივლენდი-ორლანდო
ჩიკაგო-ბოსტონი
დალასი-დეტროიტი
სან ანტონიო-მინესოტა
იუტა-ვაშინგტონი
გ. სტეიტი-კლიპერსი
ლეიკერსი-ფილადელფია

**18 მარტი**
ბოსტონი-მაიამი
შარლოტი-საკრამენტო
ინდიანა-პორტლენდი
ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი
მემფისი-დენვერი
მილუოკი-ორლანდო
ნიუ ორლეანი-მინესოტა
ოკლაჰომა-ჩიკაგო
ჰიუსტონი-დეტროიტი
ფინიქსი-ფილადელფია
კლიპერსი-ვაშინგტონი

**19 მარტი**
ატლანტა-დალასი
კლივლენდი-პორტლენდი
ლეიკერსი-გ. სტეიტი

**20 მარტი**
ინდიანა-დალასი
ტორონტო-შარლოტი
ნიუ ჯერსი-მაიამი
ნიუ იორკი-საკრამენტო
დეტროიტი-კლიპერსი
ნიუ ორლეანი-მემფისი
ოკლაჰომა-იუტა
ჰიუსტონი-მინესოტა
სან ანტონიო-ბოსტონი
დენვერი-ვაშინგტონი
გ. სტეიტი-ფილადელფია

**21 მარტი**
კლივლენდი-ატლანტა
შარლოტი-ინდიანა
ორლანდო-ნიუ იორკი
მემფისი-ბოსტონი
ჩიკაგო-ლეიკერსი
მილუოკი-პორტლენდი
ფინიქსი-ვაშინგტონი

**22 მარტი**
დეტროიტი-მაიამი
სან ანტონიო-ჰიუსტონი
მინესოტა-ოკლაჰომა
ტორონტო-კლიპერსი
ნიუ ჯერსი-კლივლენდი
ნიუ ორლეანი-გ. სტეიტი
საკრამენტ-ფილადელფია

**23 მარტი**
ატლანტა-მინესოტა
ვაშინგტონი-ჩიკაგო
ბოსტონი-კლიპერსი
მაიამი-მემფისი
ნიუ იორკი-ორლანდო
ფინიქსი-დენვერი
პორტლენდ-ფილადელფია

**24 მარტი**
ჩიკაგო-დეტროიტი
ოკლაჰომა-ლეიკერსი
სან ანტონიო-გ. სტეიტი
იუტა-ჰიუსტონი

**25 მარტი**
ატლანტა-სან ანტონიო
კლივლენდი-ნიუ ჯერსი
ინდიანა-მაიამი
ფილადელფია-მინესოტა
ტორონტო-მილუოკი
ვაშინგტონი-შარლოტი
ნიუ იორკი-კლიპერსი
ნიუ ორლეანი-დენვერი
ორლანდო-ბოსტონი
დალასი-გ. სტეიტი
ფინიქსი-იუტა

**26 მარტი**
დეტროიტი-ლეიკერსი
ჩიკაგო-მაიამი
პორტლენდი-ფინიქსი

**27 მარტი**
ორლანდო-მილუოკი
ფილადელფია-შარლოტი
ტორონტო-ოკლაჰომა
ატლანტა-ბოსტონი
კლივლენდი-მინესოტა
ნიუ ჯერსი-ლეიკერსი
ნიუ იორკი-ნიუ ორლეანი
დალასი-დენვერი
სან ანტონიო-კლიპერსი
საკრამენტო-მემფისი

**28 მარტი**
ჩიკაგო-ინდიანა
შარლოტი-ნიუ იორკი
ვაშინგტონი-დეტროიტი
მაიამი-მილუოკი
ჰიუსტონი-კლიპერსი
დენვერი-გ. სტეიტი
იუტა-ფინიქსი
პორტლენდი-მემფისი

**29 მარტი**
კლივლენდი-დალასი
ატლანტა-ლეიკერსი
მინესოტა-ნიუ ჯერსი
ტორონტო-ჩიკაგო
დეტროიტი-ფილადელფია
ბოსტონი-ოკლაჰომა
ინდიანა-ვაშინგტონი
ნ ორლეანი-სან ანტონიო
საკრამენტო-ფინიქსი

**30 მარტი**
მაიამი-ორლანდო
ნიუ ჯერსი-მილუოკი
იუტა-ნიუ იორკი
გ. სტეიტი-მემფისი

**31 მარტი**
შარლოტი-ლეიკერსი
კლივლენდი-დეტროიტი
ინდიანა-ჩიკაგო
ფილადელფია-ატლანტა
მინესოტა-დალასი
სან ანტონიო-ოკლაჰომა
დენვერი-ნიუ იორკი
პორტლენდი-იუტა
საკრამენტო-ნიუ ორლეანი

ჭადრაკი

ლინარესის სუპერტურნირი

# გრიშჩუკს ვერ ეწევიან




გასულ უქმეებზე კიდევ ორი ტური მოილიეს ლინარესის სუპერტურნირის მონაწილეებმა. ბრძოლების ხასიათი არ შეცვლილა - ძირითადათ არწაგებას ცდილობდნენ და ამის გამოა, რომ რვა პარტიიდან ექვსი ყაიმით დასრულდა. თუმცა გადაჭრით არც იმის თქმა შეიძლება, რომ პასიურები იყვნენ და იოლად თანხმდებოდნენ ქულის გაყოფაზე, - რიგ პარტიებში ფიცხელ ბრძოლას მოჰყვა ზავის დადება. მერვე ტურში **ალექსანდრე გრიშჩუკი ლენიერ დომინგესს** დაუზავდა, **ვასილი ივანჩუკი - ვანკ იუეს** და **თეიმურ რაჯაბოვი - ვიშვანათან ანანდს**; ერთადერთ შედეგიან პარტიაში **ლევონ არონიანმა** აჯობა **მაგნუს კარლსენს**. აქ ხაზი იმას უნდა გაესვას, რომ სომეხმა დიდოსტატმა შავებით მიაღწია წარმატებას. თუ კარგად გახსოვთ, ლევონმა შავებით პირველ წრეში ანანდიც დაამარცხა, ანანდი კი თავის მხრივ კარლსენმაც დასცა ბეჭებზე, თუმც თეთრებით. ამ ერთგვარ წრებრუნვაში საბოლოოდ გამარჯვებული რუსი ალექსანდრ გრიშჩუკი გამოდის, რომელიც პირველ წრეში დაბევებულ ჰანდიკაპს ინარჩუნებს და ერთპიროვნულად ლიდერობს ტურნირს; მდევრები კი მთელი ქულით ჩამორჩებიან. ასეთი სურათი მეცხრე ტურის დასრულებამ გამოკვეთა: აქაც შავებით გამარჯვება ვიხილეთ - კარლსენმა აუტსაიდერი ლენიერ დომინგესი დაამარცხა. სხვა შეხვედრები კი ყაიმით დასრულდა: ვანკ იუე გრიშჩუკს დაუზავდა, არონიანმა ანანდთან დადო ზავი, ხოლო ივანჩუკმა თეთრებით გამარჯვება ვერაფრით შეძლო რაჯაბოვთან ბრძოლაში.

ფინიშამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, მაგრამ როგორც ჩანს, გრიშჩუკის ოლიმპიდან ჩამოგდება ძალიან გაჭირდება, არადა, ამგვარად მოვლენათა განვითარებას ნაკლებად ელოდნენ სპეციალისტები. მთავარი ფავორიტი - ვიში ანანდი, აშკარად ვერ არის სათანადო ფორმაში, რაც პარტიათა ხარისხში კარგად ჩანს. დიდად ვერც ივანჩუკი გვაკვირვებს; არონიანი და კარლსენი კი ახალგაზრდულად არასტაბილურები არიან. რაჯაბოვის მიმართაც მრავალი კითხვა დაგროვდა, - იგი მსოფლიოს გრანპრის ლიდერია სამი ეტაპის შემდეგ და ლინარესში რომ სატურნირო ფსკერს გაჰკვრია, თავადაც არ უნდა მოსწონდეს. ჩვენ, სპეციალისტებს და გულშემატკივრებს კი ის არ მოგვწონს, რომ მოგებათა რაოდენობა არნახულად ჩამორჩება ყაიმებისას. არა მგონია, ამ მხრივ ორგანიზატორებიც კმაყოფილები იყვნენ, ამიტომ, როგორც ამასწინათ ალვნიშნეთ, იმედია, მომავალში გაითვალისწინებენ დიდოსტატების კაპრიზებს და ბევრად სანახაობრივ ტურნირის ცქერის საშუალებას მოგვცემენ.

მეათე ტურში ასეთ წყვილებს ვიხილავთ: **გრიშჩუკი - ივანჩუკი; რაჯაბოვი - არონიანი; ანანდი - დომინგესი; კარლსენი - ვანკ იუე.**

**სატურნირო მდგომარეობა ცხრა ტურის შემდეგ: 1. ალექსანდრ გრიშჩუკი - 6; 2-4. ლევონ არონიანი, ვასილი ივანჩუკი, მაგნუს კარლსენი - 5; 5. ვიშვანათან ანანდი - 4,; 6-8. ლენიერ დომინგესი, თეიმურ რაჯაბოვი, ვანკ იუე - 3,5.**

**ზვიად შათირიშვილი**

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**დალასი-პიტსბურგი 1:4**

0:2, 0:2, 1:0

გოლები: 0:1 ჯ. სტაალი-17 (მალკინი-62, ფედოტენკო-15), 0:2 ლეტანგი-6 (მალკინი-63, კუნიტცი-21), 0:3 შატანი-17, 0:4 მალკინი-29, 1:4 ერიქსონი-28 (კონერი-7, მოდანო-24).

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 3:0**

1:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ლანგენბრუნერი-20 (პარიზე-39, ზაიაცი-36), 2:0 ჯონტა-14 (ოდუია-20, ზუბრუსი-21), 3:0 ოდუია-5 (კლარკსონი-13, შენეჰანი-4).

**კალგარი-ტამპა ბეი 6:8**

1:1, 3:4, 2:3

გოლები: 0:1 არტიუხინი-5, 1:1 იგინლა-25 (მოსი-14, კამალერი-29), 1:2 სენტ ლუისი-21 (სტემკოსი-16, რეკი-28), 2:2 კონროი-7 (ფანოფი-28, იგინლა-44), 3:2 კამალერი-33 (მოსი-15, იგინლა-45), 4:2 ლუნდმარკი-2 (სერიჩი-17, ლომბარდი-20), 4:3 ლეკავალიე-26 (მერფი-7, მელიხარი-20), 4:4 სტემკოსი-13 (რეკი-29, სენტ ლუისი-40), 4:5 პროსპალი-16 (გ. რობერტსი-3, ემინგერი-21), 5:5 იგინლა-26 (კონროი-29, ვანდერმეერი-3), 5:6 მელოუნი-22 (რეკი-30, ლეკავალიე-31), 5:7 ლეკავალიე-27 (რეკი-31, მერფი-8), 6:7 ბერტუცი-15 (იგინლა-46, კამალერი-30), 6:8 სენტ ლუისი-22 (რეკი-32).

**ჩიკაგო-ლოს ანჯელესი 4:2**

3:2, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ტეუვზი-26 (მ. ჰუკერი-10, კეინი-36), 2:0 კეიტი-8, 2:1 ჯ. ჯონსონი-4 (კოპიტარი-32, დაუტი-15), 3:1 ბიფულინი-11 (პავლატი-34, ბ. კემპბელი-35), 3:2 კოპიტარი-20 (პურსელი-7, კალდერი-15), 4:2 ბოლანდი-15 (პავლატი-35, ლედი-26).

**ვაშინგტონი-ფლორიდა 2:6**

1:4, 0:1, 1:1

გოლები: 1:0 სიომინი-25 (ლეიჩი-21), 1:1 უეისი-11 (მაკეიბი-17, ფროლიკი-16), 1:2 მაკეიბი-12 (ბოუმისტერი-20), 1:3 ბოუმისტერი-13 (უეისი-33, მაკეიბი-18), 1:4 ზედნიკი-13 (ბალარდი-21, მაკლინი-8), 1:5 კალიმორი-2 (მაკლინი-9, უეისი-34), 1:6 ფროლიკი-15 (მაკეიბი-19, ბალარდი-22), 2:6 ოვეჩკინი-46 (ბექსტრომი-51, იურჩინა-10).

**ვანკუვერი-კოლამბუსი 3:1**

1:0, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 სალო-5 (ჰ. სედინი-46, სუნდინი-7), 2:0 კესლერი-19 (სუნდინი-8, ოლუნდი-16), 2:1 ნეში-27 (მალორტა-19, მეტოტი-11), 3:1 ბაროუზი-16 (დ. სედინი-35).

## NHL მარტის კალენდარი

**2 მარტი**
აილენდერსი-კოლორადო

**3 მარტი**
ბოსტონი-ფილადელფია
ვაშინგტონი-კაროლინა
ატლანტა-ფლორიდა
კოლამბუსი-ლ. ანჯელესი
ტორონტო-ნიუ ჯერსი
ოტავა-კალგარი
ტამპა ბეი-პიტსბურგი
ნეშვილი-ედმონტონი
ჩიკაგო-ანაჰაიმი
სენტ ლუისი-დეტროიტი
ვანკუვერი-მინესოტა
სან ხოსე-დალასი

**4 მარტი**
ბაფალო-მონრეალი
კოლორადო-დეტროიტი

**5 მარტი**
ბოსტონი-ფინიქსი
აილენდერსი-რეინჯერსი
ფილადელფია-კალგარი
ვაშინგტონი-ტორონტო
ოტავა-ედმონტონი
ფლორიდა-პიტსბურგი
ნეშვილი-კოლამბუსი
ლოს ანჯელესი-დალასი
სან ხოსე-მინესოტა

**6 მარტი**
კაროლინა-კალგარი
ბაფალო-ფინიქსი
ატლანტა-მონრეალი
ტამპა ბეი-სენტ ლუისი
ანაჰაიმი-დალასი

**7 მარტი**
ბოსტონი-ჩიკაგო
აილენდერსი-ნიუ ჯერსი
ლოს ანჯელესი-მინესოტა
ტორონტო-ედმონტონი
ოტავა-ბაფალო
ფილადელფია-ნეშვილი
ფლორიდა-სენტ ლუისი
დეტროიტი-კოლამბუსი
ტამპა ბეი-კაროლინა
ვანკუვერი-სან ხოსე

**8 მარტი**
რეინჯერსი-ბოსტონი
აილენდერსი-ფინიქსი
ვაშინგტონი-პიტსბურგი
ატლანტა-კალგარი
ჩიკაგო-კოლორადო
დალასი-მონრეალი
ანაჰაიმი-მინესოტა

**9 მარტი**
კაროლინა-რეინჯერსი
ოტავა-ტორონტო
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი

**10 მარტი**
ნიუ ჯერსი-კალგარი
ფილადელფია-ბაფალო
კოლამბუსი-ბოსტონი
ტორონტო-აილენდერსი
მონრეალი-ედმონტონი
პიტსბურგი-ფლორიდა
დეტროიტი-ფინიქსი
ნეშვილი-ვაშინგტონი
მინესოტა-სან ხოსე
სენტ ლუისი-დალასი
კოლორადო-ატლანტა

**11 მარტი**
ოტავა-ტამპა ბეი
ჩიკაგო-კაროლინა
ანაჰაიმი-ვანკუვერი

**12 მარტი**
ბოსტონი-ოტავა
ბაფალო-ფლორიდა
ნიუ ჯერსი-ფინიქსი
ფილადელფ-ვაშინგტონი
კოლამბუსი-პიტსბურგი
ტორონტო-ტამპა ბეი
მონრეალი-აილენდერსი
დეტროიტი-კალგარი
ნეშვილი-რეინჯერსი
სენტ ლუისი-სან ხოსე
დალასი-კაროლინა
კოლორადო-მინესოტა
ედმონტონი-ატლანტა

**13 მარტი**
ჩიკაგო-კოლამბუსი
ვანკუვერი-ლოს ანჯელესი

**14 მარტი**
ბოსტონი-აილენდერსი
ფილადელფია-რეინჯერსი
სენტ ლუისი-დეტროიტი
პიტსბურგი-ოტავა
ბაფალო-ატლანტა
ტორონტო-კალგარი
მონრეალი-ნიუ ჯერსი
ვაშინგტონი-კაროლინა
ფლორიდა-ტამპა ბეი
დალასი-მინესოტა
ედმონტონი-კოლორადო
ფინიქსი-ნეშვილი
სან ხოსე-ლოს ანჯელესი

**15 მარტი**
რეინჯერსი-ფილადელფია
პიტსბურგი-ბოსტონი
ჩიკაგო-აილენდერსი
კოლამბუსი-დეტროიტი
სენტ ლუისი-მინესოტა
ანაჰაიმი-სან ხოსე
ვანკუვერი-კოლორადო

**16 მარტი**
ატლანტა-ვაშინგტონი
ლოს ანჯელესი-ნეშვილი

**17 მარტი**
ნიუ ჯერსი-ჩიკაგო
მონრეალი-რეინჯერსი
ოტავა-ბაფალო
პიტსბურგი-ატლანტა
ტამპა ბეი-ტორონტო
ფლორიდა-ვაშინგტონი
დეტროიტი-ფილადელფია
მინესოტა-კოლორადო
ედმონტონი-სენტ ლუისი
ვანკუვერი-დალასი
ფინიქსი-სან ხოსე

**18 მარტი**
კაროლინა-ნიუ ჯერსი
კოლამბუსი-ჩიკაგო
კალგარი-დალასი
ანაჰაიმი-ნეშვილი

**19 მარტი**
ბოსტონი-ლოს ანჯელესი
ოტავა-მონრეალი
ტამპა ბეი-ვაშინგტონი
ფლორიდა-ტორონტო
კოლორადო-ედმონტონი
ვანკუვერი-სენტ ლუისი
ფინიქსი-ანაჰაიმი
სან ხოსე-ნეშვილი

**20 მარტი**
ნიუ ჯერსი-მინესოტა
კაროლინა-აილენდერსი
ბაფალო-ფილადელფია
პიტსბურგი-ლ. ანჯელესი
ატლანტა-დეტროიტი
ჩიკაგო-ედმონტონი
კალგარი-სენტ ლუისი

**21 მარტი**
სან ხოსე-დალასი
მონრეალი-ტორონტო
ოტავა-აილენდერსი
რეინჯერსი-ბაფალო
კაროლინა-ვაშინგტონი
ფლორიდა-კოლამბუსი
ტამპა ბეი-ატლანტა
ფინიქსი-ვანკუვერი

**22 მარტი**
ბოსტონი-ნიუ ჯერსი
პიტსბურგი-ფილადელფია
ჩიკაგო-ლოს ანჯელესი
მინესოტა-ედმონტონი
რეინჯერსი-ოტავა
ანაჰაიმი-ფინიქსი
სან ხოსე-კოლორადო

**23 მარტი**
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
ფლორიდა-კაროლინა
კალგარი-დეტროიტი

**24 მარტი**
ტორონტო-ვაშინგტონი
რეინჯერსი-მინესოტა
მონრეალი-ატლანტა
ტამპა ბეი-კოლამბუსი
ნეშვილი-ანაჰაიმი
სტ ლუისი-ლოს ანჯელესი
დალასი-ვანკუვერი
ედმონტონი-დეტროიტი

**25 მარტი**
ბაფალო-ფლორიდა
აილენდერსი-მინესოტა
კაროლინა-ოტავა
პიტსბურგი-კალგარი
ჩიკაგო-სან ხოსე
კოლორადო-ანაჰაიმი

**26 მარტი**
ფილადელფია-ფლორიდა
ატლანტა-რეინჯერსი
კოლამბუსი-კალგარი
მონრეალი-ტამპა ბეი
ნეშვილი-სან ხოსე
სენტ ლუისი-ვანკუვერი
დალასი-ლოს ანჯელესი
ფინიქსი-ედმონტონი

**27 მარტი**
ვაშინგტონი-ტამპა ბეი
ბაფალო-ტორონტო
დეტროიტი-აილენდერსი
ჩიკაგო-ნიუ ჯერსი
კოლორადო-ვანკუვერი
ანაჰაიმი-ედმონტონი

**28 მარტი**
პიტსბურგი-რეინჯერსი
ტორონტო-ბოსტონი
მონრეალი-ბაფალო
ნიუ ჯერსი-კაროლინა
აილენდერს-ფილადელფია
ატლანტა-ოტავა
ნეშვილი-ლოს ანჯელესი
დალასი-ფლორიდა
სენტ ლუისი-კოლამბუსი
კალგარი-მინესოტა
სან ხოსე-ფინიქსი

**29 მარტი**
დეტროიტი-ნეშვილი
კოლამბუსი-სენტ ლუისი
ტამპა ბეი-ოტავა
ფილადელფია-ბოსტონი
ჩიკაგო-ვანკუვერი
ედმონტონი-მინესოტა
ანაჰაიმი-კოლორადო

**30 მარტი**
რეინჯერსი-ნიუ ჯერსი
კალგარი-სან ხოსე
ფინიქსი-დალასი

**31 მარტი**
ბოსტონი-ტამპა ბეი
კოლამბუსი-ნეშვილი
მონრეალი-ჩიკაგო
ფლორიდა-ოტავა
მინესოტა-ვანკუვერი
ედმონტონი-ანაჰაიმი
ლოს ანჯელესი-დალასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| სტარტი-ჰამ კამი | 1:3 |
| ტრომსიო-ვოლერენგა | 1:2 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ოლდჰემი-ლიდსი | 1:1 |
| **კონფერენსი** | |
| ჰისტონი-კემბრიჯი | 1:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ალბინოლეფე-გროსეტო | 4:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ალემანია-დუისბურგი | 1:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლანსი-ტრუა | 1:1 |
| **პორტუგალია** | |
| ბრაგა-გიმარაეში | 1:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოლესლავი-ბრნო | 2:4 |
| **უკრაინა** | |
| ილიჩივეცი-შახტარი | 1:2 |
| **დანია** | |
| ბრონდბიუ-კოპენჰაგენი | 0:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| სტ. გალენი-ივერდონი | 4:0 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მანისა-ქასიმფაშა | 3:2 |
| **ისრაელი** | |
| ბაითარი-მაკაბი (ნ) | 2:1 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (მ)-ტორპედო | 4:1 |
| ს. იულიაევი-ავანგარდი | 0:0 |
| სკა-სპარტაკი | 2:3 |
| აკ ბარსი-ბარისი | 4:2 |
| ატლანტი-ტრაქტორი | 5:1 |
| ლოკომოტივი-ნეფტეხიმიკი | 5:1 |
| დინამო-დინამო (რ) | 7:1 |
| ცსკა-ლადა | 0:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ბისტრიცა | 4:2 |
| სლოვანი-მარტინი | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 2:2 |
| სპარტა-ზლინი | 4:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. მონტერეი** | |
| კირილენკო-ერაკოვიჩი | 6:4, 6:3 |

TV პროგრამა

**3 მარტი. სამშაბათი**

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

07:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-გრონინგენი.
09:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვიგანი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-ტულუზა.
15:10 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:15 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:35 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:40 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-არსენალი (LIVE).
01:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:55 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ჩელსი.
03:45 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სანდერლენდი.
05:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
06:00 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-არსენალი.

### HTB-პლუსი (სპორტი)

07:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
07:20 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ჰარლეკინსი-ვიგან უორიორზი.
09:00 პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ტომაშ ადამეკი-ჯონათან ბენქსი.
07:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
11:20 დროთა კავშირი.
11:25 ჰარმონიის ფორმულა.
1:40 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
11:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა.
12:45 სპორტული ცეკვები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბერლინი. გერმანია.
07:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
14:15 ექო – საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
16:15 თხილამურის კვალი.
07:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
17:00 რკინის ფაქტორი.
17:30 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
17:50 ბილიარდი. პული. აშშ-ს ღია პირველობა.
18:45 სპორტის აკვატორია.
19:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
07:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
20:00 კალათბურთი. NBA-ის რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ნიუ ორლეანი.
07:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
22:15 დროთა კავშირი.
22:25 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
22:30 კალათბურთი. NBA-ის საკვირაო მიმოხილვა.
23:20 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:45 ბრძოლა წესების გარეშე.
07:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
01:35 დროთა კავშირი.
01:40 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
01:45 ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი.
02:15 ბილიარდი. პული. აშშ-ს ღია პირველობა.
03:10 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
03:40 სპორტის აკვატორია.
04:10 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
04:30 დროთა კავშირი.
04:35 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
04:40 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. სკრა (პოლონეთი)-ისკრა (რუსეთი).
06:55 ფრისტაილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები, ქალები. აკრობატიკა. ფინალები. იაპონია (LIVE).

### EUROSPORT

11:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:15 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 50 კმ. კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი.
13:00 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. უფა. რუსეთი.
14:30 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. უფა. რუსეთი.
16:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 50 კმ. კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი.
17:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
17:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. HS134. ლიბერეცი. ჩეხეთი.
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. HS134. გუნდური. ლიბერეცი. ჩეხეთი.
19:45 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. უფა. რუსეთი.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. უფა. რუსეთი.
22:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი. სუპერმძიმე წონა. პ. ვიდოსი (იტალია)-მ. სკელტონი (ბრიტანეთი). მილანი. იტალია.
00:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი. მ. ჰუკი (გერმანია)-ჯ. ბატელო (იტალია). გერმანია.
02:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის წინ.
02:30 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. უფა. რუსეთი.
03:30 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. უფა. რუსეთი.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
12:00 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. IV ტური. ბენეტონი (იტალია)-ტურკ ტელეკომი (თურქეთი).
15:30 ახალი ამბები.
15:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
16:00 კალათბურთი. ევროლიგა. ტელეჟურნალი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. IV ტური. ხიმკი (რუსეთი)-პანელინიოსი (საბერძნეთი).
18:00 ჰიპ-ჰოპი. საფრანგეთი.
19:15 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
19:45 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. V ტური. ხიმკი (რუსეთი)-მარუსი (საბერძნეთი) (LIVE).
21:45 მოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
22:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. რუსეთი.
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
23:00 ახალი ამბები.
23:30 მულტისპორტი.
23:45 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. V ტური. ვალენსია (ესპანეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) (LIVE).
01:30 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. V ტური. ხიმკი (რუსეთი)-მარუსი (საბერძნეთი).
02:00 ახალი ამბები.
02:30 მულტისპორტი.
02:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
05:00 ახალი ამბები.

რაგბი. ზე 14



# ხარები და ზვიგენები ლიდერობენ

ზე 14-ის გათამაშებაში ისევ აფრიკულ-ავსტრალიური ჰეგემონიაა. სამი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი სამი გუნდილა დარჩა და ამათგან ორი სამხრეთაფრიკულია, ერთიც ავსტრალიური. ალსანიშნავია, რომ შვიდი შეხვედრიდან სტუმრებმა ხუთში გაიმარჯვეს და მხოლოდ ორში დამარცხდნენ.

გათამაშების ლიდერმა პრეტორიის „ბლუ ბულზმა" სტუმრად იოჰანესბურგში „ლაიონზს" სძლია -16:9. სტუმრებმა გადამწყვეტი უპირატესობა პირველივე ნახევარში მოიპოვეს. 36-ე წუთისთვის ისინი უკვე 16:0 იგებდნენ, თუმცა ისიც ხაზგასმით ალსანიშნავია, რომ თამაშის დარჩენილ დროში „ლურჯმა ხარებმა" მონაგარს ველარაფერი შემატეს.

ანგარიში „ბულზმა" მე-14 წუთზე გახსნა მესამეხაზელს **პიერ სპიესის** ლელოს წყალობით, რომელიც **მორნი სტეინმა** გარდასახა - 7:0. მანვე ამას სამი საჯარიმოც მიაყოლა და სტუმრებს საკმაოდ სოლიდური უპირატესობა მოუპოვა.

იოჰანესბურგელი ლომების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მეორე ნახევარში სათამაშო უპირატესობის მოპოვება შეძლეს. თუმცა, მაქსიმუმი, რაც მოახერხეს **ანდრე პრეტორიუსის** მიერ გატანილი სამი საჯარიმო იყო - 9:16.

ავსტრალიური „ვორათაზი" მეორე ადგილზეა, მაგრამ „ბულზს" მხოლოდ ბურთების სხვაობით ჩამორჩება. სიდნეიში „ოზი სთედიუმზე" ავსტრალიურმა კლუბმა ზელანდიის „ჰაილენდერზი" მიიღი და დამაჯერებლად სძლია 34:16.

ალსანიშნავია, რომ დასაწყისი სულაც არ გამოდგა მასპინძლებისთვის სახარბიელო. მე-15 წუთისთვის ზელანდიელები 6:0-ს იგებდნენ **დანიელ ბოვდენის** ორი ზუსტი საჯარიმო დარტყმის შემდეგ. ანგარიში დაწინაურება მასპინძლებმა 24-ე წუთზე შეძლეს გარემარბის, **ლოტე ტუქირის** გატანილი ლელოს შემდეგ, რომელიც „ვორათაზის" დამრტყმელმა **კარტლი ბეილიმ** გარდასახა - 7:6. ამას ტაიმის მიწურულს მესამეხაზელმა **ბენ მოვენის** ლელოც მოჰყვა, რაზეც ბოვდენმა ერთი საჯარიმოთი უპასუხა და პირველი ნახევარი ავსტრალიელებმა 17:6 მოიგეს.

მეორე ნახევარში ვორათაზელებმა **ვიკლიფი პალუმ** და **ბრეტ შიჰანმა** კიდევ თითო ლელო მიითვალეს, რით.აც გუნდს ერთი პრემიალური ქულა მოუპოვეს და საბოლოოდ მეტოქე, როგორც უკვე ალვნიშნეთ, 34:16 დაამარცხეს.

ზე 14-ის შარშანდელი ფინალისტი „ნატალ შარქსი" სტუმრად ჰამილტონში შეხვდა ერთ-ერთ აუტსაიდერ "ჩიფსს" და 22:15 დაამარცხა. მასპინძლები შეხვედრას 37-ე წუთამდე საკმაოდ მოკრძალებული ანგარიშით 3:0 იგებდნენ. საჯარიმო ჯერ კიდევ მე-12 წუთზე **სტეფან დონალდმა** გაიტანა. აფრიკელებმა ლელოს გატანა ტაიმის მიწურულსლა შეძლეს. თავი შუამარბმა **ფრანსუა სტეინმა** გამოიჩინა. გარდასახვა **რორი ქოქოთმა** გაიტანა - 7:3.

მეორე ნახევარში სტუმართა გუნდის გარემარბ **ჯონ-პაულ როჯერ პიეტერსენის** ბენეფისი შედგა. მან 55-ე და 67-ე წუთებზე ორი ლელო გაიტანა, რითაც „ზვიგენებს" გამარჯვება მოუტანა. ზელანდიელებმა 70-ე წუთზე **ბრენდონ ლეონარდის** ერთი ლელოთი უპასუხეს და რადგან მხოლოდ შვიდი ქულის სხვაობით დამარცხდნენ 15:22, ერთი პრემიალური ქულა ირგუნეს.

პირველი მარცხი იწვნია კანბერაში, საკუთარ მოედანზე „ბრამბიზმა". ამ გუნდის მძლეველი კიდევ ერთი ავსტრალიური გუნდი, პერთის „ფორსი" შეიქნა -25:16. სტუმართა გუნდის გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა გარემარბ **ქემერონ შეპარდის** ბრწყინვალე თამაშმა, რომელმაც მეტოქეს სამი ლელო გაუტანა.

მასპინძლებმა მატჩის პირველი ნახევარი მინიმალური სხვაობით - 9:8 მოიგეს. მეორე ტაიმის საწყის ათ წუთში კი, ფორსელებმა **რიჩარდ ბრაუნმა** და **ქემერონ შეპარდმა** ორი ლელო გაიტანეს და ფაქტობრივად აქვე გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

ისევ დამარცხდა ზე 14-ის მოქმედი ჩემპიონი ზელანდიური „კრუსეიდერზი". ამჯერად ჩემპიონები თანამემამულეებმა, ველინგტონის „ჰარიკენზმა" - 30:24 სძლია. სტუმრები 61-ე წუთისთვის 30:12 იგებდნენ. კენტენბერიელებმა ხელი მატჩის ბოლო მეოთხედშილა გაწოილეს, მაგრამ ანგარიშის მხოლოდ ექვს ქულამდე შემცირება მოახერხეს.

**ბესიკ ჯანაშავაძე**

**III ტური**

| | |
|---|---|
| კრუსეიდერზი (ზელ)-ჰარიკენზი (ზელ) | 24:30 |
| ვორათაზი (ავსტრ)-ჰაილენდერზი (ზელ) | 34:16 |
| ჩიფსი (ზელ)-შარქსი (ს.აფრ) | 15:22 |
| ბრამბიზი (ავსტრ)-ფორსი (ავსტრ) | 16:25 |
| ლაიონზი (ს.აფრ)-ბულზი (ს.აფრ) | 9:16 |
| სტრომერზი (ს.აფრ)-ბლუზი (ზელ) | 8:14 |
| რედსი (ავსტრ)-ჩიტაზი (ს.აფრ) | 22:3 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბულზი - 14 ქულა, 2. ვორათაზი - 14, 3. შარქსი - 12, 4. ფორსი - 10, 5. ბლუზი - 10, 6. ჰარიკენზი - 9, 7. ბრამბიზი - 9, 8. კრუსეიდერზი - 7, 9. რედსი - 6, 10. სტრომერზი - 6, 11. ლაიონზი - 6, 12. ჩიფსი - 3, 13. ჰაილენდერზი, 14. ჩიტაზი - 2.

**IV ტური**

**6 მარტი**

ჩიფსი (ზელ) - ფორსი (ავსტრ)
ვორათაზი (ავსტრ) - რედსი (ავსტრ)

**7 მარტი**

ჰარიკენზი (ზელ)-ჩიტაზი (ს.აფრ)
ბლუზი (ზელ)-შარქსი (ს.აფრ)
ჰაილენდერზი (ზელ)-კრუსეიდერზი (ზელ)
ბულზი (ს.აფრ)-სტრომერზი (ს.აფრ)

*ბრამბიზი (ავსტრ) და ლაიონზი (ს.აფრ) ისვენებენ*

ჩოგბურთი

# ბორისი ცოლს ირთავს

„დიდი სლემის" ექვსგზის ჩემპიონმა, ლეგენდარულმა გერმანელმა ჩოგბურთელმა **ბორის ბეკერმა** საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი ქორწინების შესახებ ჰოლანდიელ მოდელ **შერლი (ლილი) კერსენბერგთან**.

41 წლის ბეკერის ქორწილი 2009 წლის 12 ივნისს, შვეიცარიაში შედგება. ამის შესახებ ჩოგბურთელმა კვირას, გერმანიაში პოპულარული ტელეშოუს (Wetten dass...?!) პირდაპირ ეთერში გამოაცხადა.

შეყვარებულებმა თავიანთი ქორწილის შესახებ მას შემდეგ გამოაცხადეს, რაც რამდენიმე კვირის წინ, კერსენბერგმა ძველი წყენა აპატია ბორისს და ჩოგბურთელთან დაბრუნდა. *„ალარ ვაპირებ მის დაკარგვას"*, - ალიარა ბედნიერმა ბეკერმა.

შეგახსენებთ, რომ ბორისს ჰოლანდიელ მოდელთან უკვე ჰქონდა რომანი. უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა კერსენბერგთან ურთიერთობა 2007 წლის 21 ნოემბერს გაწყვიტა, თანაც ეს მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით გააკეთა. მაშინ შერლიმ ასეთი კომენტარი გაუკეთა ბეკერის საქციელს: *„დიახ, განადგურებული ვარ, მაგრამ არ შემიძლია მისი შეძულება, რადგან ძალიან მიყვარს"*.

ბეკერისთვის ეს მეორე ქორწინება იქნება. თავის დროზე, ის სკანდალურად დაშორდა პირველ ცოლს, შავკანიან **ბარბარა ფელტუსს**, რომელმაც ქმარი ღალატში გამოიჭირა. ბორისსა და ბარბარას ორი შვილი ჰყავთ: უფროსი **ნოა გაბრიელი** 14 წლისაა, უმცროსი - ელიაშ ბალტაზარი 8-ის. გარდა ამისა, წარსულში ცნობილ ჩოგბურთელს ერთი ქალიშვილი ჰყავს ლონდონელ მოდელ **ანჟელა ერმაკოვასთან**.

**გია თვალაბეიშვილი**



ავტოსპორტი

# ალეზის ორმაგი ტრიუმფი

ცნობილმა ფრანგმა პილოტმა **ჟან ალეზიმ** ორივე რბოლა მოიგო Speedcar-ის კომერციული სერიის მორიგ ეტაპზე, რომელიც გასულ უქმეებზე დუბაის ტრასაზე გაიმართა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ალეზის გამარჯვება მეორე რბოლაში. მან მეშვიდე პოზიციიდან აილო სტარტი, მაგრამ ბრწყინვალე შეტევა განახორციელა და რამდენიმე შესანიშნავი მანერით ყველა კონკურენტი ჩამოიცილა, რომელთა შორის იყვნენ ფორმულა 1-ში ფრანგის ძველი მეტოქეები - **ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი, ჯონი ჰერბერტი** და **ჯანი მორბიდელი**. ალეზის ტრიუმფი მით უფრო ალსანიშნავია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რბოლის დროს, მისი მანქანის ძრავა ზეთს კარგავდა და ბოლს უშვებდა, მაგრამ ფრანგმა ფინიშს მაინც მიაღწია.

*„შესანიშნავი რბოლა იყო,* - განაცხადა კმაყოფილმა ალეზიმ. - *უნდა ალინიშნოს, რომ ჯანი და ჯონი ტრასაზე კორექტულად მოქმედებდნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ გაცილებით სწრაფი ვიყავი და ამას ანგარიში გაუწიეს. ჩემი აზრით, შოუ შედგა!*

*ჩემი მანქანა ბოლს უშვებდა, მაგრამ არ ვიცოდი, რაში მდგომარეობდა პრობლემა. გადავწყვიტე, იქამდე მებრძოლა, სანამ მანქანა საბოლოოდ არ გამოვიდოდა მწყობრიდან"*.

დუბაიში ორმაგი გამარჯვების მიუხედავად, ალეზი Speedcar-ის სერიის საერთო ჩათვლაში მხოლოდ მეხუთე ადგილს იკავებს, ლიდერი კი კვლავინდებურად ჯანი მორბიდელი გახლავთ.

**გია თვალაბეიშვილი**

მძლეოსნობა

# ოქროს ნაცვლად ბრილიანტის ლიგა

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IAAF) 2010 წლიდან საერთაშორისო ტურნირების ახალი სერიის ორგანიზებას აპირებს, რომლის სახელწოდება იქნება - „ბრილიანტის ლიგა". ეს ინფორმაცია ფედერაციის პრესსამსახურმა გაავრცელა.

ტურნირები, რომელიც ევროპაში, ამერიკასა და ჩინეთში გაიმართება, დღეს არსებულ ევროპულ „ოქროს ლიგას" ჩაანაცვლებს. უკვე დანამდვილებით არის ცნობილი, რომ „ბრილიანტის ლიგის" ეტაპებს უმასპინძლებენ - ლონდონი, ლოზანა, ოსლო, სტოკჰოლმი, მონტე კარლო, პარიზი, ბრიუსელი, ციურიხი, ნიუ იორკი და იუჯინი. დანარჩენი ორი ეტაპის მასპინძელი ქალაქები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

სულ „ბრილიანტის ლიგა" 12 ეტაპს მოიცავს, რომლის შედეგების მიხედვით, ყველაზე მეტი ქულის მფლობელი სპორტსმენები ოთხკარატიან ბრილიანტსა და 80 ათას დოლარს მიიღებენ.

**გია თვალაბეიშვილი**

კალათბურთი

# ლარი ბრაუნი საფრანგეთს ჩაიბარებს?

ლეგენდარულმა ამერიკელმა მწვრთნელმა **ლარი ბრაუნმა** ალიარა, რომ უარს არ იტყვის საფრანგეთის ნაკრების განვრთნაზე. როგორც იცით, ამ ზაფხულს „სამფეროვნებს" 2009 წლის ევრობასკეტის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად მოუწევთ ბრძოლა. საფრანგეთის კალათბურთის ფედერაცია უახლოეს დღეებში აპირებს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობის გამოცხადებას. დღეისთვის, ბრაუნის გუნდ „შარლოტ ბობკეტსში" საფრანგეთის ნაკრების ორი კალათბურთელი - **ბორის დიაო** და **ალექსის აჟინკა** თამაშობს.

*„მართლა მსურს საფრანგეთის ნაკრებისთვის დახმარების გაწევა - არ აქვს მნიშვნელობა, რა თანამდებობას მომცემენ ამ გუნდში. ძალიან მინდა იმ ნაკრების წარმატებაში დავიდო წილი, რომელშიც ჩემი ორი შეგირდი გამოდის"*, - განაცხადა ბრაუნმა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრების თავკაცის პოსტზე ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად მოსკოვის ცსკა-ს იტალიელი მწვრთნელი **ეტორე მესინა** განიხილებოდა, მაგრამ მან უარყო ფრანგების შეთავაზება, რადგან საკვალიფიკაციო ტურნირზე საფრანგეთს იტალიასთან მოუწევს დაპირისპირება.

**გია თვალაბეიშვილი**



გამოვიდა ახალი ნომერი